საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

25 ოქტომბერი **სამშაბათი** 2011
№251 (13548) ფასი 80 თეთრი

გმადლობთ!

საქართველოს ფუტსალის ნაკრები მინისტრმა მიიღო

↳2

ორი ქართული ლელო საფრანგეთში

ქართული ლეგიონის ამბები

↳13

ლევანტე! ლიდერი?

შუა კვირის ტურები იტალიასა და ესპანეთში

↳8

ტრაგიკული ქრონიკები

მარკო სიმონჩელის დაღუპვის შემდეგ საავტომობილო პრესამ გასული წლების ტრაგედიები გაიხსენა

↳14

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ფუტსალი

როგორც იქნა: საქართველომ დარბაზში მაინც გაიხარა

საქართველოს ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა თბილისში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში სომხეთთან 2:2-ისა და მალტის 10:0 განადგურების შემდეგ, 23 ოქტომბერს მოლდოვასთან გადამწყვეტი შეხვედრა გამართა, პენალტების სერიაში 8:7 (ძირითადი დრო 2:2) გაიმარჯვა, ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და მსოფლიოს 2012 წლის შესარჩევი ეტაპის შემდგომ რაუნდში გავიდა. ამ რაუნდის შეხვედრებს 14-18 დეკემბერს სლოვენია უმასპინძლებს, ჩვენების მეტოქეები სერბეთის, სლოვენიის და ისრაელის ნაკრებები იქნებიან, შემდგომ კი პლეი ოფში ჯგუფიდან 2-2 საუკეთესო შედეგის მქონე 14 საუკეთესო გუნდი გავა და ევროპის ქვეყნებისთვის განკუთვნილი მსოფლიოს ჩემპიონატის 7 საგზურის მფლობელის ვინაობას ორმატჩიან დაპირისპირებაში გაარკვევს.

ფუტსალის ნაკრები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა მიიღო

ფოტო: www.msy.gov.ge

მინისტრის მილოცვა

ფუტსალის ეროვნული ნაკრების წევრებსა და ფედერაციის ხელმძღვანელებს გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ვლადიმერ ვარძელაშვილი,** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავასთან** და ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტ **გიზო ფხოველიშვილთან** ერთად, სამინისტროში შეხვდა და წარმატება მიულოცა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მინისტრმა ფუტსალის ეროვნული ნაკრების წევრებს წარმატებული თამაშისთვის მადლობა გადაუხადა და სამინისტროს მხრიდან სრული მხარდაჭერა აღუთქვა. ლაპარაკია ძირითადი ეტაპისთვის გუნდის უკეთ მომზადების მიზნით ამხანაგური მატჩების ორგანიზებასა და დასკვნითი შეკრების მოწყობაზე.

მეტი გუნდი მეტი არჩევანია

დრამატულ შეხვედრაში გამარჯვებით გახარებული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ზაალ ჩიტალაძე** ემოციებს ვერ მალავდა, ან როგორ უნდა დაემალა, როდესაც ორ საათამდე გაწელილ შეხვედრაში გუნდები სნაიპერებივით მოწინააღმდეგის ერთ შეცდომას ელოდნენ. საბოლოოდ კი ყველაფერი პენალტების სერიაში გადაწყდა.

- სიხარული დიდია, გამოცდილ ნაკრებთან მძიმე შეხვედრა მოიგეთ.

- უპირველსად, ბიჭებს მინდა მადლობა გადავუხადო. რომ არა მათი შემართება, ამ შეხვედრას ვერ მოვიგებდით. რაც ძალა და ენერგია ჰქონდათ, მოგებისთვის გაიღეს. ეს წარმატება იმ ბიჭების დამსახურებაც არის, ვინც მოლდოვასთან ვერ ითამაშა, მაგრამ სომხეთთან და მალტასთან იბრძოლა. სამწუხაროდ, ტრავმის გამო ვერ გვეხმარებოდნენ ალთუნაშვილი და ძაბირაძე, რომლებიც ჩვენთვის ძალიან დიდი ძალას წარმოადგენენ.

და დიდი მადლობა გულშემატკივარს, მათი თანადგომის გარეშე ამ წარმატებას ვერ ვიზეიმებდით.

- წარმატება კარგია, მაგრამ გულახდილად ვთქვათ, მაღალი კლასის ფეხბურთელების აშკარა დეფიციტია.

- სამწუხაროდ, ასეა, მაგრამ ამაზე ვმუშაობთ. ამ პრობლემის მოგვარება ფუტსალის პოპულარიზაციითაც არის შესაძლებელი. ჩვენ სპორტის სამინისტროსა და ფეხბურთის ფედერაციის ყურადღება არ გვაკლია, უბრალოდ, რაც მეტი გუნდი და ფეხბურთელი იქნება, არჩევანის მეტი საშუალება გაგვიჩნდება.

- თუ გსურდათ რომელიმე ფეხბურთელის დამატება და ვერ მოახერხეთ?

- იყო სურვილი, მაგრამ დღეს ამაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან ახლა ჩვენი ბიჭების ზეიმია.

- შემდეგ ეტაპზე რა შანსები გვაქვს?

- ეტაპი სლოვენიაში ტარდება, სადაც მასპინძლების გარდა, სერბეთისა და ისრაელის გუნდებს შევხვდებით. ცხადია, ისინი ბევრად უფრო ძლიერი მეტოქეები არიან, მაგრამ შევეცდებით, საქართველო ბალკანეთშიც არ შევარცხვინოთ.

- მანამდე გაძლიერების იმედი თუ გაქვთ?

- ცხადია, გავძლიერდებით, რადგან ძაბირაძე და ალთუნაშვილი დაგვემატებიან.

მთელი წელია, არ გვითამაშია

დავით ბოგოხიძე, ნაკრების კაპიტანი:

- გამარჯვება ყოველთვის სასიხარულოა, განსაკუთრებით ასეთ დაძაბულ მატჩში.

- რომ იცოდეთ, როგორ ველოდებოდით მოლდოველების გაფუჭებულ პენალტს. ვფიქრობ, ჩვენ ეს გამარჯვება დავიმსახურეთ და ღმერთმა მოწყალე თვალით გადმოგვხედა.

- თუმცა, ისიც სათქმელია, რომ საკმაოდ ბევრი შეცდომა დაუშვით.

- ეს იმიტომ, რომ საკუთარ მოედანზე პირველად ვთამაშობდით და ძალიან ვნერვიულობდით. დიდი ხანია, საქართველოში შესარჩევი ციკლის შეხვედრები არ ჩატარებულა და თურმე საკუთარ მაყურებელსაც შეჩვევა სჭირდება, დიდი პასუხისმგებლობა ვიგრძენით.

თუმცა სწორედ მაყურებელმა შეგვმატა ძალა, ბოლომდე გვერდში დაგვიდგა და მოლდოვას დიდი მონდომებით ვეთამაშეთ.

- გულახდილად ვთქვათ, მოლდოველებმა გუნდურად უკეთ ითამაშეს, თქვენს მხარეზე კი მეტი ემოცია და ენთუზიაზმი იყო.

- რატომ გიკვირთ? ერთი წელია, რაც ბოლო შესარჩევი ვითამაშეთ, მას შემდეგ არც ამხანაგური შეხვედრა გვქონია და არც ოფიციალური ტურნირი. ასე გამოვედით მოედანზე და მოლდოველებს მაინც მოვუგეთ.

- მაშინ კიდევ კარგად გითამაშიათ.

- მეც მაგას ვამბობ. მოლდოველები ჩვენზე ხშირად თამაშობენ და ეს ეტყობოდათ კიდეც, ისეთი შეკრული გუნდია. ასეთს რომ აჯობებ და შემდეგ ეტაპზე გახვალ, დიდი წარმატებაა.

ბრაზილიელებით გავძლიერდებით

გიზო ფხოველიშვილი, ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტი:

- ელოდით ასეთ მძიმე თამაშს?

- ფუტსალი რთული თამაშია და მოგებისთვის დიდი შრომაა საჭირო. რომ იცოდეთ, მოლდოვას ფუტსალში გაცილებით მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე კლასიკურ ფეხბურთში. ბოლო ათი წელია, მსოფლიოს ჩემპიონატის ელიტრაუნდის მონაწილეა და ერთ-ერთ ძლიერ და ანგარიშგასაწევ ნაკრებად ითვლება. ასე რომ, დაძაბულობა მოსალოდნელი იყო და, სიმართლე გითხრათ, ძალიან ვინერვიულე.

- ნაკრებში ბრაზილიელების დამატება გსურდათ. რატომ ვერ მოხერხდა ეს?

- ლაპარაკი იყო რონისა და ბეტინიოს დამატებაზე. ახლა ვმუშაობთ, რათა მათ საქართველოს მოქალაქეობა მიიღონ. ვფიქრობ, ელიტრაუნდისთვის ბრაზილიელების დამატება შესაძლებელი იქნება.

- ელიტრაუნდისთვის სად მოემზადებით?

- ეს მწვრთნელის, ზაალ ჩიტალაძის გადასაწყვეტია, ის თავის ვარიანტს შემოგვთავაზებს და შემდეგ გეგმის განხორციელებას შევუდგებით.

მერაბ მამულაშვილი

ბავშვთა ფეხბურთი

საქართველო ფიფასა და უეფას არეალში

დასრულდა ფიფას გრასრუტის კურსი და ფესტივალი, რომელსაც საქართველოს ორმა ქალაქმა უმასპინძლა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, გრასრუტის კურსი ზუგდიდში, „ბაიას“ ბაზაზე დაიწყო და მასში მონაწილეობა ქართული საფეხბურთო კლუბებისა და საფეხბურთო სკოლების მწვრთნელებმა მიიღეს. მათთვის სპეციალური კურსი ნაიკითხეს ფიფას გრასრუტის ინსტრუქტორებმა, **ალექსანდრ ჩერნუხომ, ჟან მარი კონსმა** და უეფას გრასრუტის ინსტრუქტორმა **რობინ რასელმა**. საკუთარი პრეზენტაციები მოაწყვეს სფფ–ის წარმომადგენლებმაც.

მწვრთნელთა სემინარმა სამ დღეს გასტანა. სემინარის ბოლო დღეს ფიფას და უეფას ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით მომზადდა საფეხბურთო ფესტივალის პროექტი, რომელსაც რუსთავის „ფოლადის“ სტადიონმა უმასპინძლა.

ფესტივალში მონაწილეობა 130-მდე ბავშვმა მიიღო. ღონისძიებას დაესწრნენ სფფ-ის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** და გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე**, ასევე, მხარის გუბერნატორი **დავით კირკიტაძე**, რომელმაც ფიფას და უეფას ინსტრუქტორებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

სახალისო ფეხბურთის ფესტივალის მონაწილე ბავშვებს საჩუქრად მაისურები და ბურთები გადაეცათ. სემინარებისა და ფესტივალის მონაწილე მწვრთნელები კი საგანგებო სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ.

ალექსანდრ ჩერნუხო მასპინძლებს დაჰპირდა, რომ გაისად საქართველოში კიდევ უფრო მასშტაბური ფესტივალი ჩატარდება, რომლის ორგანიზებასაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად ფიფა ითავებს.

ლევან ჯანეზაშვილი

ფოტო: www.gff.ge

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 01:30
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებსა და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● ლეგიონერები

ცხადაძის 100 და სომხეთის ჩემპიონები

კახა ცხადაძე

კახა ცხადაძემ აზერბაიჯანის პრემიერლიგაში მე-100 მატჩი ჩაატარა. ბაქოს "ინტერის" ქართველმა თავკაცმა ამ საიუბილეო მაჩვენებელს ამჟამინდელი კლუბისა და ბაქოს "სტანდარდის" მთავარი მწვრთნელობით უწია. აღსანიშნავია, რომ ცხადაძე მეორე უცხოელი მწვრთნელია, რომელმაც აზერბაიჯანის უმაღლეს ლიგაში ასმატჩიან ნიშნულს მიაღწია – 108 პრემიერლიგური შეხვედრაა უკრაინელი **რომან პოკორას** ანგარიშზე.

ცხადაძე ამ ნიშნულს "გაბალასთან" საშინაო მატჩით შეხვდა, რომელიც ჩემპიონობისთვის მებრძოლი "ინტერისთვის" არცთუ ხელსაყრელი ანგარიშით, 1:1 დასრულდა.

შეგახსენებთ იმასაც, რომ სამი ქართველი სომხეთის ჩემპიონი გახდა – **გიორგი კრასოვსკის, შოთა ჯიქიასა** და **თენგიზ უგრეხელიძის** "ულისმა" შინ "შირაქთან" 2:2 ითამაშა და ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე მდევართათვის მიუწვდომელი შეიქნა.

გასულ უქმეებზე სულ ოთხმა ჩვენებურმა გაიტანა - **ოთარ მარცვალაძის, გიორგი მერებაშვილის, ივანე კანდელაკისა** და **ზაქარია ბეგლარიშვილის** გოლების შესახებ გუშინ გამცნეთ და შედარებით მაღალი დონის ლიგებში მოასპარეზე ქართველების თამაშზეც მოგანოდეთ ინფორმაცია.

ლევან ჯანეზაშვილი

● ინტერვიუ

თუ არ იოცნებე, რეალობას ვერ შეცვლი

თბილისის "დინამოში" რომან ფიფიას მისვლისა და მის მიერ ზურაბ პოლოლიკაშვილის გენერალურ დირექტორად მიწვევის მერე "დინამო" აქტიურად იყენებს საერთაშორისო კონტაქტებს, რაშიც უეფას მედიაოფიცერი, აწ უკვე კლუბის მუშაკი მამუკა კვარაცხელიაც აქტიურადაა ჩართული.

"დინამო" დონეცკის "შახტარის" მოდელითაც დაინტერესდა. უკრაინელთაგან გადმოსაღები მართლაც ბევრი გვაქვს, ამ საქმეში კი კვარაცხელიას უკრაინული კავშირებია გამოსადეგი - მისი მეშვეობით სამი დინამოელი მწვრთნელი, თემურ შალამბერიძე, თამაზ სამხარაძე და გიორგი ყოლბაია დონეცკში მწვრთნელთა სემინარზე მიავლიეს, სადაც ბავშვთა ფეხბურთზე ლექციებს "ბარსელონას", "ინტერისა" და "აიაქსის" აკადემიების მწვრთნელები და სკაუტები კითხულობდნენ.

ამ კვირაში კი კვარაცხელიას ინიციატივით დონეცკს დინამოელ მუშაკთა ოთხკაციანი დელეგაცია ეწვია – კლუბის უსაფრთხოების ოფიცერი გია ისიანი, ინტერნეტხელმძღვანელი სანდრო მოისწრაფიშვილი, "დინამო არენას" დაცვის უფროსი შალვა აბუაშვილი და სტადიონის დირექტორის მოადგილე ნიკა ჯღარკავა. მათ მასპინძლობა ქართველებმა, მამუკა კვარაცხელიამ და დავით პეტრიაშვილმა გაუწიეს. თამაში კი ისეთი იყო, სწავლისთვის უკეთესს ვერ ინატრებდი: ჩემპიონთა ლიგაში "შახტარი" პეტერბურგის "ზენიტს" მასპინძლობდა. რუსულ-უკრაინულ დაპირისპირებას უეფაც დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს და დონეცკში უსაფრთხოების შოტლანდიელი ოფიცერი დერეკ კირკვუდი საგანგებოდ მიავლინა.

კვარაცხელიას გუშინ გავესაუბრეთ.

- "შახტარი"-"ზენიტის" მატჩს ქართველები ხელმძღვანელობდით და ქართულ დელეგაციას როგორ უმასპინძლეთ?

- სულ ორი დღით იყვნენ ჩამოსულები და გადატვირთული გრაფიკი შეუდგინეთ; დაათვალიერეს სტადიონი, "შახტარის" მუზეუმი, ვიპ-ლოჟები, შეხვდნენ კლუბის ხელმძღვანელებს, დაესწრნენ მატჩის საორგანიზაციო თათბირს,

მამუკა კვარაცხელია

უყურეს თამაშს. მეორე დღეს საგანგებო შეხვედრა-სემინარი ჰქონდათ სტადიონის დირექტორთან და უსაფრთხოების ოფიცერთან. ჩვენთვის ასე აქტუალურ უსაფრთხოებას დონეცკში გაათმაგებულ ყურადღებას აქცევენ: "დონბას არენაზე" 520 კამერაა დამონტაჟებული - 460 სტადიონის პერიმეტრის შიგნით და 60 გარეთ!

მატჩის მნიშვნელობიდან გამომდინარე, გაათმაგებული იყო ყურადღება. თამაშის წინადღეს "ზენიტის" 14 გულშემატკივარი დააკავეს. პეტერბურგელებს ოფიციალურად 3 000 ფანი ჩამოჰყვათ და ვინ იცის, არაოფიციალურად კიდევ რამდენი ჩამოვიდა. დონეცკის პოლიცია სრულ მზადყოფნაში იყო. ორი უსაფრთხოების თათბირი გვქონდა, ფაქტობრივად, ყველაფერი მზად იყო და, დეტალური შემოწმების მიუხედავად, პეტერბურგელმა ფანებმა სტადიონზე 20-მდე მაშხალა მაინც შემოაპარეს და აანთეს. ბუნებრივია, "ზენიტს" უეფა სოლიდურადაც დასჯის.

მალე ათენში, უეფას მედიაოფიცერთა სემინარზე მივემგზავრები, იქიდან დაბრუნებული კი ჩვენი სტადიონის დირექტორ სანდრო შახოვს "დინამო არენას" მედიამოწყობის ახალ გეგმას წარვუდგენ. ნახავთ, როგორ ევროპულად გადასხვაფერდება ჩვენი სტადიონის მედიასერვისი.

- რა ფუნქციები გაქვთ კლუბში, რა მიზნები?

- კლუბის პრეზიდენტი რომან ფიფია ამის თაობაზე რომ დამეკითხა, ვუპასუხე – სამი ოცნება მაქვს: სტადიონს და გუნდს ქომაგი დაუბრუნდეს; კლუბი ჩემპიონთა ლიგისა თუ ევროპა ლიგის მუდმივი ბინადარი გახდეს; "დინამო არენაზე" ევროპის ლიგის ფინალი ან სუპერთასის მატჩი ჩატარდეს. მე სამივე რეალური მგონია, მით უმეტეს, რომ ეს კლუბის პრეზიდენტის დიდი სურვილია. პირველი ორი ზურაბ პოლოლიკაშვილის ოცნებაცაა და ესპანელთა ჩამოყვანაც ამას ემსახურება, მესამის განხორციელებას კი სანდრო შახოვთან ერთად ვეცდებით, მით უფრო, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ ამის შესახებ უკვე განაცხადა. მთავარია სამი პოზიცია – სტადიონი, ფედერაცია და მერია. ვფიქრობ, ფინალის თბილისში ჩატარება რეალურია და ეს ჩვენი დიდი გამარჯვება იქნება.

მერაბ მამულაშვილი

● სტუმრები

უეფას დელეგაცია და სერიოზული საკითხები

საქართველოს უეფადან მაღალი რანგის სტუმრები ეწვივნენ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უეფას ვიცე-პრეზიდენტი **მარიოს ლეფკარიტისი**, უეფას გენერალური მდივნის მოადგილე **თეოდორე თეოდორიდისი**, უეფას ქალთა ფეხბურთის განვითარების კოორდინატორი **ემილი შოუ** და უეფას ჰეთ თრიქის პროექტის მენეჯერი **დავით პეტრიაშვილი** ესტუმრნენ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ერთდღიანი ვიზიტის ფარგლებში სტუმრები სფფ-ის ხელმძღვანელებთან ერთად ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავენ, როგორიცაა სახელმწიფოსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ურთიერთობა, უეფასა და სფფ-ის ურთიერთობის განვითარება, ინფრასტრუქტურული და დიდი საერთაშორისო ღონისძიებების მასპინძლობის საკითხები, ქალთა ფეხბურთის განვითარება და სხვა.

ლევან ჯანეზაშვილი

რეკლამის მენეჯერის
ვაკანსია „ლელოში“
E-mail:hr@kvirispalitra.com

● პირველი ლიგა, X ტური

ერთიანი

A ზონა

დინამო-ჩხერიმელა 1:0

20. 10. გათუში. ადელი. 100 მაყურებელი
1:0 ნ. დიასამიძე (66)
დინამო: შ. მამინაშვილი. მ. ფარტენაძე, ნ. ხუხია, ლ. რამიშვილი, კ. მაკარიანი (60. ნ. დისამიძე), გ. გოგიტიძე, ზ. ლობჟანიძე, ა. მუჯირი, თ. ბერიძე (65. დ. სამსეიშილი), ნ. ნასუაშვილი (74. ი. ცანავა), ა. ბაციკაძე
სათადარიგოები: მ. ჯორბენაძე, ვ. ქორიძე, ვ. თევდორაძე, თ. კაკალაძე
მწვრთნელი: ი. ნასუაშვილი
ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, დ. ბერუაშვილი, ი. გვეტაძე, ი. გვარჯალაძე (80. გ. თურმანიძე), ი. ჭანკვეტაძე (84. გ. ივანაშვილი), ა. დოღონაძე (74. ბ. ახალაია), გ. გოგრიაშვილი, გ. ზაქარაშვილი, დ. კოსტავა, ო. გიორგობიანი, გ. ბოხუა
სათადარიგოები: ი. ორბელაძე, ლ. გუმბერიძე, ა. ქაშაკაშვილი
მწვრთნელი: მ. ხუნდაძე
გაფრთხილება: ზ. ლობჟანიძე, თ. ბერიძე; ა. დოღონაძე, გ. ზაქარაშვილი
არბიტრი. ხ. გაგნიძე

ჭიათურა-კოლხეთი (ხ) 1:0

20. 10. ჭიათურა. „თემურ მალრაძე“. 200 მაყურებელი
1:0 ბ. ჭუმბურიძე (51)
ჭიათურა: მ. ბადურაშვილი, ბ. ჭუმბურიძე, ნ. გაფრინდაშვილი, გ. ბრეგვაძე, ლ. ცუცქირიძე, გ. ქირია, ზ. ნოზაძე, შ. ფირცხალავა (90. ლ. მაჩაიძე), დ. ქირია, ლ. ბარათაშვილი, დ. სვესტოპუულო
სათადარიგოები: ზ. ჯაფარიძე, ო. კურტანიძე, ა. ბაბლიძე, ნ. ბაირამოვი, ლ. სალარიძე, გ. სამყურაშვილი
მწვრთნელი: მ. კიპაროიძე
კოლხეთი: დ. ხარძეიშვილი, გ. გოგენია, ო. ფიფია, ლ. გოგენია (61. ლ. მეფიშვილი), ც. ბუკია, ლ. ჩაჩიბაია, მ. ბესარაშვილი, ი. გერგაია (32. კ. ალანია), გ. ლომაია (75. პ. გაბრავა), მ. ჭკადუა, პ. ბაკარანძე
სათადარიგოები: ზ. გელაშვილი, ი. კუტალია, ვ. ფირცხელავა, დ. ნარსია
მწვრთნელი: გ. სანაია
გაფრთხილება: ზ. ნოზაძე, ლ. ცუცქირიძე; ო. ფიფია, მ. ბესარაშვილი, ც. ბუკია
არბიტრი: ო. ხეცაძე

მერცხალი-სტუ 2:0

20. 10. ოზურგეთი. „მეგობარობა“. 300 მაყურებელი
1:0 ბ. ბაჯელიძე (49), ზ. ტულუში (73)
მერცხალი: გ. გოგუა, ზ. ვარდუაშვილი, თ. ვარდუაშვილი (77. ზ. ხურციძე), ლ. ათუაშვილი (46. ი. ბაჯელიძე), მ. ქობულაძე, ს. გ. ჩიგოგიძე, ს. ვ. ჩიგოგიძე, ზ. ტულუში, ი. ტაკიძე, გ. ტყეშელაშვილი, ლ. კოტრიკაძე (46. ნ. მაჭავარიანი)
სათადარიგოები: ი. მურუსიძე, გ. გოგუა, ი. ხეცურიანი, გ. კაშია
მწვრთნელი: ხ. ჩხატარაშვილი
სტუ: დ. მეფარიძე, გ. კვაბაძე, ლ. თვალავაძე, ნ. მაღლაძე, ნ. ბიწკინაშვილი (75. ა. ლეჟავა), ლ. ციკოლია, ა. ლაღაძე, გ. გოგატიშვილი (57. ჯ. კოლუა), გ. ჯიშკარიანი (68. ლ. ცხოიძე), ლ. ჯიქიძე, ა. ბაგაშვილი
სათადარიგოები: ა. აბულაძე, ზ. ქავჭავაძე, ლ. საბაძე, გ. ბიბილეიშვილი
მწვრთნელი: გ. ფორჭოლიანი
არბიტრი. კ. ჭაჭუა

მესხეთი-სამგრელია 1:0

20. 10. ახალციხე. „მიხეილ იაძე“. 300 მაყურებელი
1:0 ი. ცნობილაძე (8)
მესხეთი: გ. ძამუნაშვილი, ლ. სარალიძე, დ. ლეკიშვილი, ზ. ბარძიმაძე (46. გ. მურადაშვილი), დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, მ. მურმანიშვილი, ზ. სუდაძე (70. ო. დარჩია), გ. წინამძღვრიშვილი, დ. ტლაშაძე, ი. ცნობილაძე
სათადარიგოები: გ. ქურდაძე, დ. ინასარიძე, მ. ლეკიშვილი, ი. მურადაშვილი, მ. მელაძე
მწვრთნელი: პ. გოგოლაძე
სამგრელია: ი. შენგელია, დ. ჩხიკვაძე, ლ. ხაჭაპურიძე, ზ. მიქელთაძე, ა. გუბელაძე (46. ს. ლეჟავა), შ. კერძევაძე (85. ბ. ახობაძე), გ. რუხაძე, ს. მიქაძე, რ. ნინუა, ი. ხვადაგიანი, პ. შათირიშვილი
სათადარიგოები: ლ. სუთიძე, კ. ღაღანიძე, ვ. ლეკვეიშვილი, ნ. ბანძავა
მწვრთნელი: გ. ბენდელიანი
გაფრთხილება: კ. ხანიშვილი; ლ. ხაჭაპურიძე, ტ. რუხაია
არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

მეშახტე-ლოკომოტივი 1:4

20. 10. ტყიბული. „ვლადიმერ გოჭორიშვილი“. 150 მაყურებელი
0:1 გ. მაისურაძე (3), 1:1 გ. ხეცურიანი (6), 1:2 გ. კაპანაძე (7), 1:3 გ. მაისურაძე (16), 1:4 დ. დარციმელია (88)
მეშახტე: თ. ჯოხაძე, თ. ხარებავა, ზ. ენდელაძე, ნ. ხარაბაძე, მ. კოპალიანი, კ. ხუჯაძე, ა. მეტრნიძე (76. თ. ჭელიძე), ვ. ჭრელაშვილი, გ. ხეცურიანი, დ. კუტალია (57. გ. უგლავა), ჯ. ავალიშვილი
სათადარიგოები: დ. ოდიშარია, ა. სახელაშვილი, ბ. ჯიშიაშვილი
მწვრთნელი: დ. რუხაძე
ლოკომოტივი: ბ. საჯაია, დ. საჯაია, ნ. ჭანტურია, დ. ბაქრაძე, დ. მიქავა, გ. ბოროზნა, დ. ჯიქია, მ. ცინცაძე, გ. მაისურაძე (46. ნ. შერაზადიშვილი), გ. შარანგია (81. დ. დარციმელია), გ. კაპანაძე (62. ბ. მახათაძე)
სათადარიგოები: გ. ასლამაზიშვილი, გ. გურეშიძე, გ. ბაქრაძე, ა. გუგუშვილი
მწვრთნელი: გ. ჩიტაური
გაფრთხილება: კ. ხუჯაძე; დ. ჯიქია
არბიტრი: ზ. ანიაშვილი

გამოტოვებული მაჩანები

მესხეთი-ლოკომოტივი	2:0
ჭიათურა-მერცხალი	2:1

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
გათუში	10	8	1	1	15-5	25
ჭიათურა	10	6	2	2	16-8	20
მერცხალი	10	6	2	2	16-11	20
ჩხერიმელა	10	5	2	3	13-12	17
სტუ.	9	4	2	3	18-17	14
მესხეთი	10	4	1	5	10-10	13
მეშახტე	10	2	2	6	11-15	8
კოლხეთი (ხ)	10	2	2	6-8	13	8
ლოკომოტივი	8	1	3	4	9-14	6
სამგრელია	9	0	3	6	5-16	3

ბომბარდირები

გიგა ბოხუა (ჩხერიმელა)	6
ირაკლი ცნობილაძე (მესხეთი)	5

მომდევნო ტური, 29 ოქტომბერი

ჭიათურა-დინამო (გათუში)
კოლხეთი (ხობი)-მეშახტე (ტყიბული)
ლოკომოტივი (თბ.)-მესხეთი (ახალციხე
სამგრედია-მერცხალი (ოზურგეთი)

30 ოქტომბერი

სტუ (თბილისი)-ჩხერიმელა (ხარაგაული)

B ზონა

გურია-ადელი 2:0

19. 10. ლანჩხუთი. ე. შევარდნაძე. 200 მაყურებელი
1:0 ლ. კვანტალიანი (22, საკუთარ კარში), 2:0 ი. კილაძე (53)
გურია: დ. კეკელიძე, რ. კუკულაძე (63. ჯ. გოგიბერიძე), ა. დვალიშვილი, გ. ნათენაძე, ზ. რაზმაძე, ტ. კუკულაძე, გ. მელქაძე, ლ. კობახიძე, ი. კილაძე, იაგო დვისაძე, გ. კვერნეხრიხლაძე (65. გ. კვიტაიშვილი)
სათადარიგოები: გ. გოგუაძე, გ. შეწირული, ნ. ტოროტაძე, ლ. რუსიეშვილი
მწვრთნელი: გ. ინნაძე
ადელი: გ. რომანაძე, მ. ფუტკარაძე, ს. კახიძე, გ. ზოიძე, გ. ხაჩიძე, ნ. წულუკიძე, ლ. კვანტალიანი, ლ. მამეიშვილი, ა. ლორია (49. ზ. მეავანაძე), ა. აბუსელიძე, დ. ჯალალანია (46. გ. სირაბიძე)
სათადარიგოები: ნ. დავითაძე, თ. ცინცაბაძე
მწვრთნელი: გ. ჯორბენაძე
გაფრთხილება: მ. ფუტკარაძე, გ. ხაჩიძე
არბიტრი: თ. ხუჭუა

ნ/დინამოელი-სამგურალი 0:3

19. 10. თბილისი. სპორტკომპლექსი „შატილი“. 100 მაყურებელი
0:1 თ. შეყრილაძე (29), 0:2, 0:3 გ. ბუხაიძე (77, 85)
ნ. დინამოელი: ა. ბილიხოძე, გ. კვანტალიანი, ა. ჩუენსუ, გ. ლომიძე, გ. თანიაშვილი (62. ი. ხელაძე), ზ. ძაგანია (46. ა. შენგელია), თ. ჩარგეიშელი, გ. ქვარაია, ი. ქავთარაძე (75. ბ. შუბითიძე), ლ. ლაბარტყავა, ვ. ჭანტურიშვილი
სათადარიგოები: ა. ნონოსი, ლ. ელიზბარაშვილი, გ. ჩუბინიძე, გ. ბერიშვილი
მწვრთნელი: რ. ბარამიძე
სამგურალი: დ. მემარნიშვილი, ბ. ხაჭიპერაძე, ზ. ჩიხლაძე, ზ. სალინაძე, ი. შალიკაშვილი, ლ. ცხადაძე, ხ. უგრეხელიძე, გ. გელენიძე (62. ზ. კუხალაშვილი), გ. უგულავა, თ. შეყრილაძე (83. რ. ჩიხლაძე), გ. ბუხაიძე (90. გ. გორგოძე)
სათადარიგოები: ლ. გორდეზიანი, ლ. ნავერიანი, ნ. უგრეხელიძე
მწვრთნელი: გ. გოგიაშვილი
გაფრთხილება: ხ. უგრეხელიძე
არბიტრი: დ. სანოძე

სულორი-ჩიხურა 0:4

19. 10. ვანი. „გ. ნიკოლაიშვილი“. 100 მაყურებელი
0:1 ბ. დვალიშვილი (29, საკუთარ კარში), 0:2 ნ. კვასხვაძე (59), 0:3 ლ. ნოზაძე (61), 0:4 ნ. კვასხვაძე (83)
სულორი: დ. ხურციძე, ლ. გაბუნია, პ. ბელთაძე, ნ. გიორგაძე, თ. ძაგნიძე (72. გ. კვიმსაძე), ბ. დვალიშვილი, ნ. ნიკოლეიშვილი, გ. ორბელაძე, ბ. ბელექანია (67. თ. მაღლაკელიძე), ბ. სულაბერიძე, ბ. მჭედლიძე (46. მ. ნაფეტვარიძე)
სათადარიგოები: ი. დვალიშვილი, კ. გოგაძე, გ. თევზაძე, დ. იენინაძე
მწვრთნელი: მ. კორძაძე
ჩიხურა: რ. თევდორაძე, ლ. ჩიკვაიძე, ჯ. ბერიანიძე, ლ. ჭელიძე, ი. ზაბახიძე, ლ. ვაშაკიძე (67. ნ. გუშარაშვილი), ლ. ნოზაძე, ლ. ბაკურაძე (55. ე. ზივზივაძე), გ. სილაგავა, ნ. კვასხვაძე, თ. მუმლაძე (74. ი. ლილუაშვილი)
სათადარიგოები: ზ. მწყერაშვილი, გ. სალარიძე, ა. ივანიშვილი, გ. ქიმაძე
მწვრთნელი: ს. ფრეიძე
გაფრთხილება: ბ. სულაბერიძე, ბ. მჭედლიძე; ე. ზივზივაძე
არბიტრი: ა. გუნთაძე

ზოოვეტი-აეტი 2:0

19. 10. თბილისი. სპორტის აკადემიის სტადიონი. 100 მაყურებელი
1:0 ი. სვანიძე (55), 2:0 ი. ალასანია (87)
ზოოვეტი: მ. ძიძიგური, თ. ჯიმშელეიშვილი, ი. ალასანია, მ. მახათაძე, გ. ჭოველიძე (34. ს. ლორთქიფანიძე), გ. პატარქალიშვილი, შ. ფარულავა, თ. მოსიაშვილი, ი. ჯოჯიშვილი (46. ი. მღებრიშვილი), ი. სვანიძე, ლ. ჯოხაძე
სათადარიგოები: უ. მამულაშვილი, ზ. ტიელიძე, ბ. მამარდაშვილი, მ. გალეგაშვილი, ნ. გვარამაძე
მწვრთნელი: ე. გუგუშვილი
აეტი: ლ. ეზიეშვილი, ლ. ბიწაძე, თ. მეტრეველი, გ. ბაგალიშვილი, დ. ლობჟანიძე, გ. ნარსია, პ. კვიკვინია (75. გ. ბაკურაძე), გ. ჯაჭვლიანი, ლ. არაყიშვილი, ნ. ზაქარიაძე, გ. მარგიანი
მწვრთნელი: ო. სოხაძე
გაფრთხილება: გ. მახათაძე; ლ. არაყიშვილი, ლ. ბიწაძე
არბიტრი: მ. ურუშაძე

იმერეთი-სქური 1:2

19. 10. ხონი. „ცენტრალური“. 300 მაყურებელი
0:1 გ. შელია (39), 1:1 ნ. ჩიხლაძე (45, პენალტით), 1:2 გ. ჭკუასელი (56)
იმერეთი: ს. მეძველია, ვ. ბრეგაძე, რ. კაშია, დ. ხაბურძანია (46. გ. ხელაძე), გ. ცაგარეიშელი (63. დ. გოდერიძე) ნ. გოდერიძე, დ. კუხალაშვილი, გ. გენძეხაძე, ბ. ჩხეტიანი, ნ. ჩიხლაძე, იაკობ დეისაძე (55. დ. სულაბერიძე)
სათადარიგოები: გ. ნიქაბაძე, ნ. ჩაჩიბაია, დ. ქუჯაბულაძე, ე. რუხაძე
მწვრთნელი: დ. ჭელიძე
სქური: ნ. ჯოლოგუა, ი. ფაცაცია. ჯ. ყურუა (87. ზ. გახარია), ა. მიქენაია, გ. შელია (73. დ. რაფავა), შ. გაბუნია, ლ. გაბუნია, დ. სვანიძე, ლ. ბოჯგუა, გ. სართანია, გ. ჭკუასელი
სათადარიგოები: ტ. ხარჩილავა, ა. სოხინი, ზ. მოლაშხია, გ. ლუკავა, ზ. ღარიბაშვილი
მწვრთნელი: ნ. ბოჯგუა
გაფრთხილება: დ. ხაბურძანია, ვ. ბრეგაძე; ი. ფაცაცია, ა. მიქენაია, ბ. სვანიძე, გ. სართანია
არბიტრი: ზ. ასკარ-ოღლი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ჩიხურა	10	9	1	0	25-2	28
2. გურია	10	7	2	1	27-8	23
3. ნ/დინამოელი	10	5	1	4	19-11	16
4. იმერეთი	10	5	1	4	15-13	16
5. ზოოვეტი	10	5	1	4	13-17	16
6. სქური	10	4	2	4	12-15	14
7. სამგურალი	10	3	4	3	13-10	13
8. ადელი	10	2	1	7	10-19	7
9. სულორი	10	1	2	7	3-26	5
10. აეტი	10	1	1	8	5-21	4

ბომბარდირები

იაგო დეისაძე (გურია)	12
თორნიკე მუმლაძე (ჩიხურა)	7
ზურაბ ძაგანია (ნ. დინამოელი)	6
ნიკოლოზ ჩიხლაძე (იმერეთი)	6

მომდევნო ტური, 28 ოქტომბერი

გურია (ლანჩხუთი)-იმერეთი (ხონი)
ადელი (გათუში)-ნ. დინამოელი (თბ)
სამგურალი (წყალტუბო)-სულორი (ვანი)
ჩიხურა (საჩხერე)-ზოოვეტი (თბილისი)
აეტი (ცოხუმი)-სქური (წალენჯიხა)

საქართველოს ჩემპიონატი | **უმაღლესი ლიგა. X ტურის მიმოხილვა**

საინტრიგო და უკომპრომისო

ტურის წინათქმას სათაურად „გამძლეობის ტესტი“ შევურჩიეთ და ამის მიზეზი მართლაც ჩემპიონატის კალენდარის შემჭიდროებული გრაფიკი იყო: უმაღლესი ლიგის გუნდებს 16 დღის განმავლობაში ხუთ-ხუთი ოფიციალური მატჩის ჩატარება უწევდათ! და აი, საშემოდგომო „ბოქსინგ-დეის“ პირველი ტურიც, რომელიც ისეთი საინტრიგო აღმოჩნდა, თქვენი მოწონებული; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, კვლავაც უხვგოლიანი ტური გამოდგა — ექვს შეხვედრაში გატანილი 19 გოლი ნამდვილად არ არის ურიგო შედეგი; აქვე, ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ ანალოგიური მაჩვენებელი იყო პირველ ტურშიც, ხოლო წინა ტურში ერთით მეტი გოლი გავიდა. არც ის არის უმნიშვნელო ფაქტი, რომ უკვე ზედიზედ მესამე ტურია, უმაღლესი ლიგის მატჩები საყაიმო ანგარიშით არ მთავრდება: იმედი დავიტოვოთ, მსგავსი უკომპრომისობა პირველი ეტაპის დასრულებამდე გაგრძელებულიყოს.

X ტურში არაერთი დასამახსოვრებელი ფაქტი მოხდა: ექვსიდან სამ შეხვედრაში გადამწყვეტი გოლები ბოლო წუთებზე გავიდა, ჩემპიონატში პირველი ჰეთ-თრიქიც ვიხილეთ, ერთი სენსაციაც (უფრო ზუსტად, მოულოდნელი შედეგი) დაფიქსირდა და ასე შემდეგ. თუმცა, ჯობს, ყოველივე ამაზე ცალკ-ცალკე ვისაუბროთ.

გაგრა-დილა 2:1 — გურამ გოლენჯაშვილი ფოტო

პოპულარული 2:1 და შთამბეჭდავი ჩემპიონი

ამ ტურამდე უმაღლეს ლიგაში ყველაზე „პოპულარული“ ანგარიში 2:0 და 2:1 იყო; თუმცა შაბათის ექვსი მატჩიდან ოთხი სწორედ რომ 2:1 დამთავრდა და ამ შემთხვევაში „აბსოლუტურ ლიდერთან“ გვაქვს საქმე. გასული ტური იმითაც იყო აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატის დაწყებიდან მეორედ დაფიქსირდა ოთხბურთიანი სხვაობა: ქვეყნის ჩემპიონმა „ზესტაფონმა“ სტუმრად „სპარტაკი“ არ დაინდო და 5:1 დაამარცხა. თანაც, საქმე მხოლოდ დიდი ანგარიშით მოგებაში არ არის: ახალგაზრდა მწვრთნელის, **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდი ტურიდან-ტურამდე აუმჯობესებს თამაშის ხარისხის და ჩემპიონატში ზედიზედ ოთხი გამარჯვებაც ამის დასტურია. ისე, ცოტა არ იყოს უცნაურია, მაგრამ ფაქტია: აქამდე ჩემპიონატში მხოლოდ ერთხელ იყო დაფიქსირებული ოთხბურთიანი სხვაობა, როცა „ზესტაფონი“ გადადებულ შეხვედრაში შინ 0:4 დამარცხდა გორის „დილასთან“. აი, სწორედ ამის მერე დაიწყო მოქმედმა ჩემპიონმა თავისი შთამბეჭდავი სერია და გუნდი თუ თავის ლიდერებს შეინარჩუნებს, ზედიზედ მეორე ტიტულიც ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ. ლიდერებიც შემთხვევით არ გვიხსენებია: ბოლო ორ ტურში მეტოქეთა კარში გატანილი ცხრავე გოლი **ჯაბა დვალის, ნიკოლოზ გელაშვილისა** და **შოთა გრიგალაშვილის** ანგარიშზეა. 26 წლის დვალი, მისი თანატოლი გელაშვილი და 25 წლის გრიგალაშვილი, საერთოდაც, ჩემპიონატის გამორჩეულ ფეხბურთელებად მიიჩნევიან და საკუთარი ოსტატობა „სპარტაკთან“ მატჩშიც დაამტკიცეს. დიდი ანგარიშით მარცხის მიუხედავად, ცხინვალელთა გუნდის გასაკრიტიკებლად ენა არავის უნდა მოუბრუნდეს: მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმერ ხაჩიძემ** ძლიერ მეტოქესთან დაცვითი ტაქტიკის ნაცვლად „გახსნილი ფეხბურთი“ აირჩია და ამიტომაც იყო, ტურის ეს მატჩი ყველაზე სანახაობრივი რომ გამოდგა.

ბაია-დინამო 2:1 — ფოტო: www.fcdinamo.ge

გოლები წყვილ-წყვილად და საცალოდ

„გაგრა“-„დილა“, „კოლხეთი“-„სიონი“, „ბაია“-„დინამო“, — სამივე ეს მატჩი ერთნაირი ანგარიშით (2:1) დამთავრდა და სამივე შემთხვევაში გადამწყვეტი გოლი მასპინძლებმა ბოლო წუთებზე გაიტანეს! ამასაც თავი რომ დავანებოთ, სამივე შეხვედრის შედეგს მასპინძელთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა: „გაგრამ“ ექვსმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა, „კოლხეთმა“ პირველი საშინაო გამარჯვება მოიპოვა, ხოლო ელგუჯა ქომეთიანის დამოძღვრილმა „ბაიამ“ პირველად შეძლო „დინამოს“ დამარცხება! ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულიანი გუნდის ბოლოდროინდელ ასპარეზობაზე ქვემოთ ვისაუბრებთ, მანამდე კი კონკრეტული ფეხბურთელები ვახსენოთ, ამ ტურში თავი რომ გამოიჩინეს. უპირველესად, რაღა თქმა უნდა, ჯაბა დვალზე უნდა ვთქვათ — ჩემპიონატის პირველი ჰეთ-თრიქი რომ შეასრულა! ბოლო ორ მატჩში გატანილი 4 გოლით დვალი საუკეთესო ბომბარდირთა დავაშიც ჩაება და თანაგუნდელ ნიკოლოზ გელაშვილთან ერთად სერიოზულ კონკურენციასაც გაუწევს დღესდღეობით ნომერ პირველი გოლიადორს **დიმიტრი ტატანაშვილს**. ეს უკანასკნელი ხომ, მართლაც ცალკე აღნიშვნის ღირსია: 28 წლის ფორვარდმა სეზონში მეოთხე „დუბლი“ შეასრულა! შეგახსენებთ, რომ ვიდრე უცხოეთში (ჩეხეთში) გაემგზავრებოდა, ტატანაშვილს გოლების უმეტესობა მაშინ გაჰქონდა, როცა „ამერის“ (იმედია, ეს გუნდი გეხსომებათ) შემადგენლობაში... შეცვლებზე შემოდიოდა ხოლმე; ახლა კი, რუსთავის „მეტალურში“ ჩარიცხვის შემდეგ, გოლები მხოლოდ წყვილ-წყვილად გააქვს!

ბომბარდირთა დავა ვახსენეთ და „დინამოს“ სახელიან ლეგიონერ **ჩისკოზეც** დადებით კონტექსტში უნდა ვისაუბროთ: 31 წლის უნივერსალმა ჩემპიონატის ცხრა მატჩში 6 გოლის გატანა კი მოახერხა, მაგრამ ხოლოდ მისი შედეგიანი თამაში საკმარისი ნამდვილად არ არის. დაბოლოს, იმ ფეხბურთელებზეც, სეზონში პირველი გოლი რომ გაიტანეს, ოღონდ ყველა მათგანის ზუსტი დარტყმა როდი აღმოჩნდა თავისი გუნდისათვის წარმატების მომტანი; აი, მაგალითად, „სპარტაკის“ 21 წლის ნახევარმცველმა **თეიმურაზ შონიამ** ჩემპიონის კარში მართლაც ეფექტური გოლი გაიტანა, მაგრამ საბოლოოდ პრესტიჟის ბურთიღა აღმოჩნდა. იმავეს თქმა შეიძლება „მერანის“ 29 წლის კაპიტანზე **გიგა ჟვანიაზე,** „დილას“ 27 წლის ახალწვეულ **ირაკლი ბერაიასა** და „სიონის“ 25 წლის ნახევარმცველზე **გიორგი ქუცურუაზე.** სამაგიეროდ, დანარჩენი მეგოლეების ზუსტმა დარტყმებმა მნიშვნელოვნად განაპირობა თავიანთი გუნდის წარმატებები. უმრავლესობამ სეზონში პირველი გოლი გაიტანა: 30 წლის **ალექსანდრე ინწკირველმა,** 22 წლის **დავით ციცხვაიამ** (ორივე-„კოლხეთი“), 30 წლის **რევაზ გოცირიძემ** („ტორპედო“), 22 წლის **ლევან შარიქაძემ,** 21 წლის **ირაკლი ხუციძემ** (ორივე-„გაგრა“), 25 წლის **ნიკა მგელაძემ** („ბაია“).

სპარტაკი-ზესტაფონი 1:5 — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

X ტურის სიმბოლური ნაკრები

დინამო: კრიზისი თუ დროებითი ჩავარდნა?

მოგეხსენებათ, რომ XXIII ჩემპიონატი ახლებური სისტემით ტარდება: ორი წრის შემდეგ საუკეთესო რვა გუნდი „ცალკე“ ტურნირში გააგრძელებს ასპარეზობას, ბოლო ოთხი გუნდი და პირველი ლიგის 4 საუკეთესო გუნდი კი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის იბრძოლებენ. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ პირველ რვა გუნდს მეორე ეტაპზე მხოლოდ ერთმანეთთან დაგროვილი ქულები გადაჰყვებათ; ჰოდა, სადღეისოდ სატურნირო ცხრილში „დინამო“ ოთხი ქულით კი ჩამორჩება „ზესტაფონს“, მაგრამ რეალურად ჩამორჩენა ბევრად უფრო სოლიდურია. განვმარტავთ: „დინამომ“ ჩემპიონატის სტარტიდან მოყოლებული უკვე სამი მატჩი წააგო და სამივეჯერ ისეთ გუნდებთან დამარცხდა („ტორპედო“, „ბაია“, „მეტალურგი“), ძალიან დიდი ალბათობით საუკეთესო რვა გუნდში რომ მოხვდებიან. სამაგიეროდ, „ზესტაფონმა“ ისეთ გუნდებთან დაკარგა ქულამამ დააფიქსირა კიდეც ამ ტურის ყველაზე მოულოდნელი ანგარიში. ანდა, იყო კი „დინამოს“ ზედიზედ მეორე მარცხი სენსაცია თუ მოულოდნელობა?..

ლები, დღესდღეობით ქვედა ოთხეულში რომ იმყოფებიან („კოლხეთი“, „დილა“); მოკლედ, დღეს რომ არიან პირველ-მერვე ადგილებზე, მეორე ეტაპზეც ეს გუნდები რომ გადავიდნენ, „დინამოსა“ და „ზესტაფონს“ შორის სხვაობა... 9 ქულა იქნებოდა! საერთოდაც, ლაპარაკი იმაზე, რომ „დინამოში“ კრიზისია, საფუძველმოკლებული არ უნდა იყოს; თუმცა არც სიტუაციის დრამატიზებაა საჭირო - ყოველ შემთხვევაში, იმავე პირველი ეტაპის ბოლომდე „დინამოს“ სამწვრთნელო შტაბსა თუ ფეხბურთელებს არაერთხელ ექნებათ სატურნირო მდგომარეობის გამოსწორების შანსი. ოღონდ, ისიც ვთქვათ, თუ რამდენ ხანს გასტანს კლუბის მეპატრონის **რომან ფიფიას** მოთმინება — ვისაც, ვეჭვობთ, თავისი კლუბის ბოლოდროინდელი ასპარეზობა აკმაყოფილებდეს. ამიერიდან, „დინამოსთვის“ ყველა მატჩს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და გუნდის ესპანელმა თავკაცმა **ალექს გარსიამ** ყოველივე ეს, ალბათ, ჩვენზე უკეთ იცის. აი, ამ ინფორმაციის შესახებ კი, საეჭვოა საქმის კურსში იყოს: თბილისის „დინამომ“ ჩემპიონატში ზედიზედ ორი მატჩი უკანასკნელად ხუთი წლის წინათ, 2006-07 წლების სეზონის დასაწყისში წააგო!

გია ტუხაშვილი

ლიგა 1. XI ტური. გამოხმაურება

იოან გურკუფი მინდორს დაუბრუნდა

მთელი სისწრაფით უფსკრულისკენ

ტურის მატჩი

ბუნებრივია, როცა ქვეყნის ჩემპიონი და მესამეადგილოსანი ხვდებიან, ის შეხვედრა უქმეების უმთავრეს დაპირისპირებად ინათლება ხოლმე. ასე იყო ლიგა 1-ის XI ტურშიც. ანგარიში სტუმრებმა პირველი ტაიმის შუაწელს გახსნეს და რამდენიმე წუთის განმავლობაში სერიოზულ უპირატესობას ფლობდნენ. შემდეგ ინიციატივა მასპინძლებმა იგდეს ხელთ და მათ ზეწოლას "ლომებმა" შესვენებამდეც ვერ გაუძლეს და საპასუხო გოლი მიიღეს კარში. მეორე ტაიმში სათამაშოდ სულ სხვა "ლილი" გამოვიდა, რომელმაც მეტოქისგან ქვა ქვაზე არ დატოვა. აი, რა განაცხადა მატჩის შემდეგ "ლიონის" მთავარმა მწვრთნელმა **რემი გარდმა**: *"იმედგაცრუებული ვარ პრაქტიკულად ყველაფრით – თამაშით, შედეგით, ზოგადად გუნდის გარჯით. არადა, თავიდან მშვენივრად გამოვიყურებოდით – ანგარიში გავხსენით, მერე მეორის გატანაც შეგვეძლო. ბაფეტიმბი გომისს თავი რომ გამოეჩინა, ყველაფერი სხვანაირად წარიმართებოდა.*

სეზონის დაწყების წინ კლუბმა შეცვალა თავისი სტრატეგია, ის აქცენტს ახლა ახალგაზრდა ფეხბურთელებზე აკეთებს. ბუნებრივია, ეს აისახა გუნდზე - ჩვენ ახლა უფრო არასტაბილურები ვართ. ამის მიუხედავად, ჩვენს ამბიციებზე უარს არ ვამბობთ და ჩემპიონობისთვის ნამდვილად ვიბრძოლებთ".

განსხვავებულ ხასიათზე იყო "ლილის" მთავარი მწვრთნელი **რუდი გარსია**: *"ლიონთან" შეხვედრაში დავრწმუნდით, რომ უმძიმეს ვარჯიშებს შედეგი ყოველთვის მოაქვს. აშკარა უპირატესობას ვფლობდით მეტოქესთან სტანდარტული მდგომარეობების გათამაშებისას და ეს გამოვიყენეთ კიდეც. ჩემმა ბიჭებმა თავიანთი უდრეკი ხასიათი ყველას უჩვენეს. კარგია, რომ უკვე ზედიზედ მესამე შეხვედრა მოვიგეთ და ცხრილის იმ ნაწილს დავუბრუნდით, სადაც გვეკუთვნის კიდეც ყოფნა".*

ტურის მოვლენები

XI ტურის შემდეგ "ლიონი" მე-5 ადგილზე დაეშვა. არადა, თუ გავიხსენებთ, მე-6 ტურში "მარსელის" დამარცხების (2:0) შემდეგ "ლომები" ლიგა 1-ის ცხრილს სათავეში უდგნენ. ბოლო 4 მატჩში კი (ჩემპიონთა ლიგის შეხვედრის ჩათვლით) გუნდმა 3 წააგო, რისი წყალობითაც რემი გარდის ბიჭები ფეხზე ისე მყარად ვეღარ დგანან. გუნდის ახალგაზრდა დამრიგებელს სერიოზული საფიქრალი დაუგროვდა. გაუმკლავდება თუ არა ის კრიზისს, ამას მომავალი გვიჩვენებს. ერთადერთი, რაც "ლიონის" გულშემატკივრებს იმედს ჩაუსახავდა, ეს მინდორზე **იოან გურკუფის** დაბრუნებაა, რომელმაც მიუხედავად ხანგრძლივი პაუზისა, მინდორზე 75 წუთი დაყო და სანამ ტემპს უძლებდა, უმაღლეს დონეზე ითამაშა. "ლომებს" შორის ის საუკეთესო იყო.

ლიგა 1-ის გუნდებს შორის ცალკე გამოსაყოფია "ბრესტი", გუნდი, რომელმაც ჩემპიონატის 11 მატჩიდან 9-ში ფრედ ითამაშა. მსგავს მშვიდობისმოყვარე გუნდს ფრანგი ჟურნალისტები უბრალოდ ვერც იხსენებენ. თუმცა ის ასევე ერთადერთია, ვისაც მატჩში 3 ქულა ჯერ არ აუღია. როდემდე გაგრძელდება **ალექს დიუპონის** ორიგინალური გუნდის ეს სერია, უახლოეს ტურებში ვნახავთ.

ჩვენმა ფრანგმა კოლეგებმა მიიჩნიეს, რომ ტურის უმთავრესი იმედგაცრუება "ლორიანისა" და "ტულუზის" დაპირისპირება იყო. სპეციალისტები ამ შეხვედრისგან ბევრს ელოდნენ, თუმცა შაბათის ცენტრალურ მატჩში გულშემატკივარმა საზიზღარი სანახაობა იხილა. კარის მიმართულებით ორივე გუნდმა სულ 17-ჯერ დაარტყა და რეალური ხიფათიო რომ ვთქვათ, არც ერთზე არ ითქმის. გუნდებს კი, რომელთაც მინიმუმ ევროთასების ზონაში მოხვედრის პრეტენზია აქვთ, მეტი მოეთხოვებათ.

დაბოლოს, არ ვიქნებით მართლები, თუკი "მარსელის" მოგებას განსაკუთრებულად არ გამოვყოფთ. "ველოდრომზე" მსხვერპლის როლში "აიაჩო" გამოვიდა. გამგელებულმა პროვანსელებმა კორსიკელებს წირვა გამოუყვანეს. **დიდიე დეშამის** გუნდმა ფანტასტიკურად ითამაშა. ხოლო იმისაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მიუხედავად წაგებისა გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში "არსენალთანაც" კარგად ითამაშა, გამოდის, რომ საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონები ნელ-ნელა გამოდიან კრიზისიდან.

თუკი "მარსელი" ნელ-ნელა სახეს იბრუნებს, შეუძლებელია ფრანგული ფეხბურთის გულშემატკივარს "ბორდოს" დაცემა არ აღელვებდეს. ჟირონდელები ყოველ ტურში უფრო და უფრო უარესად გამოიყურებიან. X ტურში "ნიცასთან" წაგების შემდეგ **ფრანსის ჟიიოს** შეგირდები ცხრილში მე-18 ადგილზე დაეშვნენ, "ბრესტთან" ვერმოგების შემდეგ კი ისინი ამავე პოზიციაზე დარჩნენ. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ შესაძლოა, "მონაკოს" შემდეგ ლიგა 1-მა ზედიზედ მეორე ტრადიციული და ამბიციური გუნდი მოისაკლისოს. ჟირონდელები მთელი სისწრაფით უფსკრულისკენ მიიჩქარიან.

ლიდერი

ახლა კი თქვენი ნებართვით ორიოდე სიტყვით ლიგა 1-ის ლიდერს შევეხებით. იქიდან გამომდინარე, რომ "დიჟონი" ლიგის დებიუტანტია, თანაც დაცვა მოისუსტებს, "პარი სენ-ჟერმენის" თავდასხმა კი უბრალოდ ბრწყინავს, მატჩის დაწყებამდე დედაქალაქელები ულაპარაკო ფავორიტებად მიიჩნეოდნენ. თუმცა ყველაფერი ისე არ განვითარდა, როგორც ამას ელოდნენ. მატჩის დასრულების შემდეგ **ნენეს** დუბლით მოპოვებულ სამ ქულას ფრანგმა ჟურნალისტებმა დაუმსახურებელი უწოდეს. გთავაზობთ დედაქალაქელთა კომენტარებს.

მამადუ სახო: *"კარგი შედეგი იყო გუნდისთვის. ჩვენ სულ უფრო ახლოს ვართ მიზანთან. ნენეს კი შეუძლია საკუთარი თავით ამაყი იყოს. მიუხედავად მისი მაღალი ოსტატობისა, თანაგუნდელთა გარეშე დღეს ის ორ გოლს ვერ გაიტანდა".*

ნენე: *"ყოველ ჩვენგანს აქვს დადებითი თვისებები, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ გუნდის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. დღეს მნიშვნელოვანი იყო, რომ გავიმარჯვეთ, რადგან ამის წყალობით კონკურენტებთან სხვაობა შევინარჩუნეთ. დუბლის წყალობით დღეს განუზომლად ამაყი ვარ და ჩემი გულიც სულ სხვანაირად ძგერს".*

ანტუან კომბუარე: *"მშვენიერი გამარჯვება იყო მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ნამდვილად არ გამოგვდიოდა. წინ კიდევ დიდი გზა გვაქვს".*

ტურის ნაკრები

გილერმე ოჩოა (აიაჩო) – **მატიე დეგიუში** (ლილი), **ჟან არმელ კანა-კანაგიკი** (რენი), **მაპუ იანგამგბივა** (მონპელიე), **ანრი ბედიმო** (მონპელიე) – **ფლორან ბალმონი** (ლილი), **იოან გურკუფი** (ლიონი), **იუნეს ბენჰანდა** (მონპელიე) – **ანდრე აიუ** (მარსელი), **ნენე** (პარი სენ-ჟერმენი), **ვუსა სოვი** (ლილი)

ამბები

ევროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნულ ნაკრებად

საგა დასასრულის გარეშე

"გალათასარაიმ" გადაწყვიტა, იანვარში მოსკოვის ცსკა-ს ბრაზილიელი თავდამსხმელის, 27 წლის **ვაგნერ ლავის** ტრანსფერის თაობაზე მიმართოს. მოსალოდნელია, რომ მოსკოველები ფეხბურთელში მინიმუმ 16 მილიონ ევროს მოითხოვენ. სტამბულელები კი ამდენის გადახდას არ აპირებენ. მათ არმიელებთან სერიოზულად მოუწევთ ვაჭრობა. "ლომებს" ეს იდეა მას მერე გაუჩნდათ, რაც რუსულ პრესაში მოსკოვური კლუბის პრეზიდენტის **ევგენი გინერის** კომენტარი ნაიკითხეს, სადაც ის აცხადებდა, რომ მზადაა მოსკოვში გატარებული 8 წლის შემდეგ ბრაზილიელი გუნდიდან გაუშვას. თავად ბრაზილიელს კი მოსკოვიდან წასვლა უკვე 2 წელია უნდა, მაგრამ არაფერი გამოსდის.

ვენესუელელი წყალქვეშა ნავზე?

"ვილიარეალი" ნელს სერიოზული პრობლემების წინაშე დგას. ლა ლიგაში გუნდი 8 ტურის შემდეგ ერთადერთი მოგებით მე-16 ადგილზეა და გასავარდნ ზონაში მყოფ "გრანადას" სულ 3 ქულით უსწრებს, თანაც გუნდს სულ რაღაც 7 გოლი აქვს გატანილი. ნაცვლად იმისა, რომ გუნდმა შეტევის გაძლიერების გზები ეძიოს, გუნდის მთავარი მწვრთნელი **ხუან კარლოს გარიდო** დაცვითი ტიპის ფეხბურთელებს ეკურკურება. იტალიური Redazione-ს ინფორმაციით, "სუბმარინების" სატრანსფერო მიზნებში მოექცა "ლანსისა" და ვენესუელის ნაკრების 27 წლის უნივერსალი მცველი **გაბრიელ სიჩერო**. ფეხბურთელი ფრანგულ კლუბში არენდით ასპარეზობს. მისი სატრანსფერო უფლებები კი "კარაკასს" ეკუთვნის. ესპანელები სწორედ სამხრეთამერიკელებთან აპირებენ მოლაპარაკებების დაწყებას.

გაბრიელს ვენესუელის ეროვნულ გუნდში 34 მატჩი აქვს ჩატარებული.

სლოვენია თავუაცის გარეშე დარჩა

სლოვენიის ნაკრები მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. 50 წლის **მატიას კეკმა** ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი განაგრძო. სპეციალისტმა ამის თაობაზე ფედერაციის ხელმძღვანელობას წინასწარ აცნობა. სად განაგრძობს მუშაობას ის, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა სლოვენიური პრესა წერს, რომ წინადადებები მას ნამდვილად არ აკლია. კეკის პოტენციურ მემკვიდრეთა შორის ჟურნალისტები **სლავიცა სტოიანოვიჩს** გამოყოფენ.

მატიას კეკი

ბენფიკა: მაქსველი ან ანსალდი

ლიგა საგრეშის ლიდერი "ბენფიკა" იანვარში შემადგენლობის სერიოზულად გაძლიერებას გეგმავს. გუნდის მთავარი მნვრთნელი **ჟორჟე ჟეზუსი** ჯერ კიდევ მოსამზადებელ ეტაპზე დარჩა ესპანელი **ხოან კაპდევილას** თამაშით უკმაყოფილო და ამ მიზეზით ვეტერანი სათამაშო პრაქტიკის გარეშე დატოვა. გაიხსნება თუ არა სატრანსფერო ფანჯარა, "არნივები" გუნდში დიდი ზარზეიმით მოყვანილ ფეხბურთელს ალბათ ესპანეთშივე დააბრუნებენ. მით უფრო, რომ მას არაერთი მთხოვნელი ჰყავს. ასე რომ, გუნდს ნამდვილად დასჭირდება ბრაზილიელი **ემერსონის** შემცვლელი, ვინც ყველა თამაშს თავიდან ბოლომდე ვერ ჩაატარებს. სწორედ ამიტომ ჟეზუსი მისი კონკურენტის შეძენით არის დაინტერესებული. ლაპარაკია ორ კონკრეტულ კანდიდატურაზე – 30 წლის ბრაზილიელ **მაქსველზე** "ბარსელონადან" და 25 წლის არგენტინელ **კრისტიან ანსალდიზე** "რუბინიდან". ამ უკანასკნელის შეძენა ლისაბონელებს უკვე ორი წელია სურთ, მაგრამ ყაზანელები მას ისეთ ფასს ადებენ, რის გადახდასაც ისინი ვერ აუდიან.

ხურბისი ნიგერში

"მარსელის", "ბორდოს", "ტულუზის", "აიაჩოსა" და კიდევ რამდენიმე ფრანგული კლუბის ყოფილი დამრიგებელი **როლან კურბისი** შესაძლოა სამუშაოდ აფრიკაში ნაკიდეს, ოღონდ არა მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე. ნიგერიის ფეხბურთის ფედერაცია მას ნაკრების კონსულტანტის თანამდებობას სთავაზობს. "ეკიპის" ცნობით სამწვრთნელო კარიერის განახლებაზე თავად მუსიე როლანმა თქვა უარი, რადგან ამჟამად ის ტელევიზიაში მუშაობს და მასთან გაფორმებული კონტრაქტის დარღვევას არ აპირებს. ბოლოს მთავარ მწვრთნელად კურბისი 2009 წელს "მონპელიეში" მუშაობდა.

ჰენეკი უკვე მეხუთედ

გულგარეთის ნაკრების ოდინდელმა ლეგენდარულმა მთავარმა მწვრთნელმა **დიმიტარ პენევმა** სოფიის ცსკა კარიერაში უკვე მეხუთედ ჩაიბარა. ამ ინფორმაციას ბულგარული წყაროები ავრცელებენ. გადაწყვეტილება, რომ **მილან რადუკანოვი** პოსტზე კლუბის საპატიო პრეზიდენტს შეეცვალა, ცსკა-ს დირექტორთა საბჭომ მიიღო. 66 წლის სპეციალისტი აცხადებს, რომ წინადადებაზე, ჩაებარებინა გუნდი, დიდხანს არც უფიქრია.

რადუკანოვით ხელმძღვანელობის უკმაყოფილების უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ კლუბმა ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზური ბუქარესტის "სტიაუას" დაუთმო, თორემ უშუალოდ ბულგარეთის ჩემპიონატში გუნდის ასპარეზობაზე ცუდი არაფერი ითქმის, გუნდი ჩემპიონატს ლიდერობს.

გვერდი მოამზადა
ლევან გიგილაშვილმა

უცხოური ფეხბურთი

● გერმანია. ბუნდესლიგა. X ტურის გამოხმაურება

აჭრილ-დაჭრილი რეკორდმაისტერი

ვერდერი და გლადბახი ღმერთს არ უძნია, ბაიერნის მდევრობა ახლა დორტმუნდმა და შალკემ უნდა სცადონ

დაძაბა თუ არა გერმანიის ჩემპიონატი „ბაიერნის“ მარცხმა რეალურად, ამას მომდევნო ტურებში გავიგებთ. ახლა კი ფაქტი მხოლოდ ის არის, რომ მიუნხენურმა გრანდმა ჰანოვერში წაგებით დორტმუნდის „ბორუსიას“ სამი ქულის დისტანციაზე მიახლოვების საშუალება მისცა, ჟერომ ბოატენგის გაძევებას კი გერმანიაში უდიდესი დისკუსია მოჰყვა. ამასობაში, მიუნხენური გრანდის კონკურენტად უკვე „შალკეც“ უნდა ჩაითვალოს. ის, რომ „ვერდერმა“ და „გლადბახმა“ მოწინავე პოზიციები დაკარგეს, საერთო ჯამში ორი ადამიანის დამსახურებაა - ვგულისხმობთ „ჰოფენჰაიმის“ ფორვარდ ვედად იბიშევიჩსა და „აუგსბურგის“ მეკარე სიმონ იენტცშს.

თქვენ წინაშეა ბუნდესლიგის მე-10 ტურის გამოხმაურება.

შეხლა-შემოხლა ჰანოვერი-ბაიერნის დროს, რომელსაც ჟერომ ბოატენგის მოედნიდან გაძევება მოჰყვა

აურზაური ბოატენგის წითლის გამო

გარდა იმისა, რომ „ჰანოვერისა“ და „ბაიერნის“ მატჩმა გერმანიის ჩემპიონატი ცოტათი მაინც დაძაბა, გულშემატკივრებისთვის ამ შეხვედრის ყურება ერთი სიამოვნება იყო. შეხვედრა იმდენად დაძაბული და დრამატული გამოვიდა, რომ საფინალო სასტვენის შემდეგ, თვით რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესიც** კმაყოფილი იყო – მიუხედავად წაგებისა. *„ამ წაგებისგან ჩვენ უფრო მეტი რამ მივიღეთ და ვისწავლეთ, ვიდრე რამდენიმე დიდი ანგარიშით მოგებული თამაშისგან,“* - თქვა „დონ იუპმა“.

ბავარიელები მხოლოდ ერთი მომენტით დარჩნენ უკმაყოფილოები – ჟერომ ბოატენგის გაძევება მიუნხენში უსამართო გადაწყვეტილებად მიაჩნიათ. განსაკუთრებით მწარე განცხადება „ბაიერნის“ პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** გააკეთა: *„სერჟიო პინტუ სამარცხვინო კაცია. წლებია, მსახიობობს და მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველამ იცის, სიმულანტობა დღემდე გასდის. მე რომ ჰოლივუდის რეჟისორი ვიყო, პინტუს სერიოზულ ფილმში მთავარ როლს მივცემდი“*, - ამბობდა აჭარხლებული ული.

რაფინიასთან ორთაბრძოლის შემდეგ, **პინტუ** აღარ წამომდგარა და სწორედ ამიტომ დაეტაკნენ ერთმანეთს ბოატენგი და **შულცი**, რასაც რეკორდმაისტერის მცველის გაძევება მოჰყვა. მატჩის შემდეგ თვით „ჰანოვერის“ მწვრთნელმა **მირკო სლომკამაც** აღიარა, მსაჯს მოედნიდან არავინ უნდა გაეძევებინაო. შეგახსენებთ, მეორე ტაიმში მოედანი ჰანოვერელ **სტივ ჩერუნდოლოსაც** დაატოვებინეს.

ფინკის მეტ-ნაკლებად წარმატებული დებიუტი

„ჰამბურგის“ ხელმძღვანელები **ტორსტენ ფინკის** დათანხმებას ისე ზეიმობდნენ, თითქოს ტიტული მოიგეს, ერთ-ერთმა ბულვარულმა გაზეთმა „ბაზელიდან“ გადმოსულ მწვრთნელს მესიაც უწოდა, თავად ფინკმა კი გერმანიის თასის მოგებაზე ილაპარაკა. მოკლედ, „ჰამბურგი“ ოპტიმიზმით აღივსო, რაც მართლაც სასიამოვნოა იმის ფონზე, რომ ბუნდესლიგის უკანასკნელი დინო ამ ტურამდე აუტსაიდერი გახლდათ. ფინკის სადებიუტო თამაში კი საშინლად დაიწყო: სტარტიდან ზუსტად 65 წამის შემდეგ, „ვოლფსბურგი“ უკვე იგებდა. თუ ამ გოლს არ ჩავთვლით, „ჰამბურგმა“ ახალი მწვრთნელის ხელში საკმაოდ კარგად ითამაშა და მართალია, საბოლოოდ მხოლოდ ფრეს დასჯერდა, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ თამაშიდან გამომდინარე, ჰამბურგელებს ოპტიმიზმის უფლება ნამდვილად აქვთ. ასე რომ, მომდევნო ტურებში HSV-ს თამაშის ყურება ძალიან საინტერესო იქნება.

ისევ ის, მსუბუქი ბორუსია

„ოლიმპიაკოსთან“ განცდილი კრახიდან ზუსტად სამ დღეში, გამწარებულმა დორტმუნდის „ბორუსიამ“ „კიოლნი“ გამოიჭირა და სულ კუდით ქვა ასროლინა. მოქმედი ჩემპიონის 5:0 პირველ რიგში იმის მაუწყებელია, რომ **იურგენ კლოპის** შეგრიდები იმ სიმსუბუქეს იბრუნებენ, რაც გასულ სეზონში ჰქონდათ. **შინჯი კაგავასა** და **მარსელ შმელცერის** სახით კი გოლები სწორედ პრობლემურმა მოთამაშეებმა გაიტანეს – იაპონელი ბოლო დროს კრიტიკის უმთავრესი ობიექტი იყო, შმელცერი კი საშინელ შეცდომებს უშვებდა. რაც ყველაზე საინტერესოა, დორტმუნდელებს კიდევ უფრო დიდი ანგარიშით გამარჯვებაც შეეძლოთ. მოკლედ, ბუნდესლიგაში ზედიზედ მეოთხე თამაშის მოგების შემდეგ, „ბორუსია“ მეორე ადგილზეა და შეიძლება ითქვას, რომ გუნდში ყველაფერი კარგადაა – თუ არ ჩავთვლით ჩემპიონთა ლიგას, რომელსაც დორტმუნდელები, როგორც ჩანს, ამ სეზონში ფეხებზე დაიკიდებენ. პრინციპში, სხვა გზა აღარც აქვთ...

კაცი ხარ, სიმონ!

„აუგსბურგის“ მეკარე **სიმონ იენტცშმა** „ვერდერთან“ ძალიან კარგად ითამაშა და მეტწილად სწორედ მისი დამსახურებაა ის, რომ ბუნდესლიგის დებიუტანტმა ფავორიტად შერაცხილ ბრემენულ კლუბთან არ წააგო (1:1). თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სიმონს მარჯვენა ხელის არათითი ჰქონდა მოტეხილი, „აუგსბურგის“ კიპერი ტურის გმირის სტატუსსაც იმსახურებს.

„თითი მტკიოდა, მაგრამ თამაში ძალიან მინდოდა,“ - ამბობს იენტცში. ექიმებმა ტკივილი ნემსით გაუყუჩეს და ისე შეუხვიეს, რომ დისკომფორტი არ შეჰქმნოდა. ამას სიმონის უდიდესი მოტივაციაც დაემატა და შედეგი სახეზეა: მისი კარის დალაშქვრა მხოლოდ **კლაუდიო პისარომ** შეძლო და ისიც ერთადერთხელ. და რაკი გოლი „აუგსბურგმაც“ გაიტანა (**ბელინგჰაუზენი**), **აკაკი გოგიას** გუნდმა მნიშვნელოვანი ქულა მოიპოვა.

სიმონ იენტცშის კარგმა თამაშმა „ვერდერს“ ერთობ საინტერესო დასკვნა გააკეთებინა: *„დღეს დამტკიცდა, რომ „ბაიერნის“ კონკურენტები არ ვართ,“* - თქვა საფინალო სასტვენის შემდეგ ბრემენელთა მარჯვენა მცველმა **კლემენს ფრიტცმა**.

ვედო დაბრუნდა

ვედად იბიშევიჩი დაბრუნდა და პირველივე მატჩში გაიტანა გოლი, რომლითაც „ჰოფენჰაიმმა“ მიონხენგლადბახის „ბორუსია“ დაამარცხა. ბოსნიელს ამ სეზონში არც ერთი თამაში არ ჰქონდა ჩატარებული და შესაბამისად, უბედნიერესი იყო. *„პირველ რიგში ის გამიხარდა, რომ ძირითად შემადგენლობაში ვითამაშე. ორმაგად სასიხარულოა ის, რომ გამარჯვების გოლიც გავიტანე,“* - თვალები უბრწყინავდა ვედოს.

ოქროს ფარფანი

„ვერდერისა“ და „გლადბახის“ სახით, „ბაიერნს“ ორი მდევარი ჩამოშორდა, მაგრამ „დორტმუნდთან“ ერთად, ეს სტატუსი მე-10 ტურის შემდეგ „შალკემაც“ მიიღო. გელზენკირხენულმა კლუბმა კვირას ძალიან საინტერესო თამაშის მოგება შეძლო – 1:0 ლევერკუზენში. შეხვედრა ისე წარიმართა, რომ მასპინძლებსაც შეეძლოთ მოგება, მაგრამ სამი ქულა ბოლოს სტუმრებს დარჩათ, რაც პირდაპირ ვთქვათ, **ჯეფერსონ ფარფანის** დამსახურებაა, რომელიც ბუნდესლიგაში მე-100 შეხვედრას ატარებდა. მართალია, საფინალო სასტვენის შემდეგ ლევერკუზენელები კიდევ ერთხელ და, ვინ მოთვლის, მერამდენედ ჩიოდნენ, მსაჯმა დაგვჩაგრაო და ამაში იმას გულისხმობდნენ, რომ ფარფანმა გოლამდე **შიურლესთან** ორთაბრძოლისას თამაშის წესები დაარღვია, მაგრამ გოლი ჩათვლილია, შედეგი კი დფიქსირებული და „შალკეს“ შემტევიც ქებას იმსახურებს. ბუნდესლიგისთვის კი მისი გოლი იმას ნიშნავდა, რომ „ბაიერნს“ ახლა რურის ორი წარმომადგენელი, დორტმუნდის „ბორუსია“ და „შალკე“ მისდევენ.

მე-10 ტურის სიმბოლური ნაკრები (4-2-2-2, კიკერი)

რონ-რობერტ ცილერი (ჰანოვერი, 1) – **ლუკაშ პიშჩეკი** (ბორუსია დ, 1), **ფილიპ ვოლშაიდი** (ნიურნბერგი, 2), **მატს ჰუმელსი** (ბორუსია დ, 3), **მარსელ შმელცერი** (ბორუსია დ, 1) – **სვენ გენდერი** (ბორუსია დ, 2), **სებასტიან კელი** (ბორუსია დ, 1) – **ჯეფერსონ ფარფანი** (შალკე, 2), **კრისტიან პანდერი** (ჰანოვერი, 2) – **როგერტ ლევანდოვსკი** (ბორუსია დ, 2), **ვედად იბიშევიჩი** (ჰოფენჰაიმი, 1)

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, წესით არავის უნდა გაუკვირდეს ის, რომ „კიკერმა“ მე-10 ტურის სიმბოლურ ნაკრებში ერთბაშად ექვსი დორტმუნდელი შეიყვანა.

ტურის გმირი

რონ-რობერტ ცილერი (ჰანოვერი)

ამ სეზონში დიდი იშვიათობაა ის, რომ „ბაიერნმა“ ერთ გოლზე მეტი ვერ გაიტანოს და გასულ უქმეებზე სწორედ ასეთი გამონაკლისის მომსწრენი გავხდით. ის ფაქტი, რომ **მარიო გომესმა** მოედანი უგოლოდ დატოვა, პირველ რიგში სწორედ „ჰანოვერის“ კიპერ **რონ-რობერტ ცილერის** დამსახურებაა, რომელმაც გერმანიის წინა და მიმდინარე ჩემპიონატში საუკეთესო ბომბარდირს რამდენიმე „მკვდარი ბურთი“ აუღო. დავიდ ალაბას გოლის მომენტში კი 22 წლის მეკარე უკვე უძლური იყო..

საუკეთესო ფეხბურთელები

10 ტურის შემდეგ, „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

ფეხბურთელი	კლუბი	ს/შ.
1. დანიელ ვან ბუიტენი	ბაიერნი	2.30
2. მარიო გიოტცე	ბორუსია (დ)	2.31
3. ფრანკ რიბერი	ბაიერნი	2.35
4. კლაუდიო პისარო	ვერდერი	2.50
5. მატს ჰუმელსი	ბორუსია (დ)	2.55
6. მარკო როისი	ბორუსია (მ)	2.55
7. ბასტიან შვაინშტაიგერი	ბაიერნი	2.55
8. ანდრე ტერ შტეგენი	ბორუსია (მ)	2.60
9. სვენ გენდერი	ბორუსია (დ)	2.63
10. სიმონ იენტცში	აუგსბურგი	2.65

გოლს ან ბოლოს პასის რეიტინგი

ფეხბურთელი	კლუბი	თამაში	გოლი	პასი	ქულა
1. ფრანკ რიბერი	ბაიერნი	10	4	8	12
2. მარიო გომესი	ბაიერნი	9	10	1	11
3. როგერტ ლევანდოვსკი	ბორუსია (დ)	10	7	4	11
4. პაპის დემბა სისე	ფრაიბურგი	10	7	3	10
5. კლაუდიო პისარო	ვერდერი	9	7	3	10
6. ლუკას პოდოლსკი	კიოლნი	9	6	4	10
7. კლაას-იან ჰუნტელაარი	შალკე	10	8	1	9
8. მარიო მანჯუკიჩი	ვოლფსბურგი	10	6	3	9
9. მოჰამედ აბდელაუ	ჰანოვერი	7	7	1	8
10. რაული	შალკე	10	4	3	7

● ვოლფსბურგი

მაგათის ახალი ჯეკო

14 გოლი 17 მატჩში: მანჯუკიჩი გოლეადორად ყალიბდება

„ვოლფსბურგის“ ახლო და მოულოდნელად ძალიან წარმატებული წარსული **ედინ ჯეკოს, გრაფიტესა** და **ზვიეზდან მიშიმოვიჩის** სახელებთან ასოცირდება. დაგვეთანხმებით, ამ სამეულიდან ყველაზე მეტად ბოსნიელი თავდამსხმელი ჯეკო გამოირჩეოდა, რომელიც მერე „მანჩესტერ სიტიში“ 40 მილიონ ევროდ გაიყიდა. დღესდღეობით „ვოლფსბურგში“ დაახლოებით ასეთივე ფიგურად ყალიბდება 25 წლის ხორვატი ფორვარდი **მარიო მანჯუკიჩი**, რომელმაც **ფელიქს მაგათი** და „მგლების“ გულშემატკივრები არც გასულ უქმეებზე გაანბილა და „ჰამბურგს“ გოლი მეორე წუთზე გაუტანა.

„როცა „ვოლფსბურგში“ დავბრუნდი, პირველივე ვარჯიშზე მივხვდი, რომ ჩემი მთავარი თავდამსხმელი სწორედ მარიო მანჯუკიჩი იქნებოდა“, - ეს თვით „დესპოტი ფელიქსის“ სიტყვებია.

ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მარიომ უდიდესი პროგრესი განიცადა და თუკი თავიდან თავს მაინც უცხოდ გრძნობდა, ახლა უკვე ბოლომდე გაშინაურებულია. ამ სეზონში მანჯუკიჩმა უკვე 6 გოლის გატანა მოასწრო და ბომბარდირებშიც გამოჩნდა, ბოლო 17 თამაშში კი 14 გოლი აქვს გატანილი. ბუნდესლიგის მასშტაბით ამაზე უკეთესი მაჩვენებელი მხოლოდ **მარიო გომესს** აქვს.

„ვიცი, რომ ედინ ჯეკოს მადარებენ და ხშირად წერენ იმაზე, რომ „ვოლფსბურგისთვის“ ახალი ჯეკო ვარ, მაგრამ მე ეს არ მაინტერესებს. ყველამ მომიტევოს, მაგრამ ამგვარი შედარებები, ჩემი აზრით, უაზრობაა და არც იმას ვითვლი, რამდენი გოლი გავიტანე მას მერე, რაც „ვოლფსბურგში“ ვთამაშობ. უბრალოდ ასეთი ვარ, ციფრებს არ დავდევ. რაც შეეხება „ჰამბურგის“ კარში გატანილ გოლს, პატრიკ ოხსმა იმდენად კარგად ჩაანოდა, რომ უშუალოდ ამ გოლს ყველა ნორმალური თავდამსხმელი გაიტანდა,“ - თავმდაბლობა გამოიჩინა მარიომ „ჰამბურგთან“ მატჩის შემდეგ.

არადა, ფაქტია, რომ დღესდღეობით ხორვატი თავდამსხმელი „ვოლფსბურგისთვის“ წარმატებისა და ზოგადად სიცოცხლის უმთავრესი გარანტიაა – თუ გახსოვთ, გასულ სეზონში „ვოლფსბურგი“ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას სწორედ მანჯუკიჩმა გადაარჩინა – ბოლო ტურში, „ჰოფენჰაიმთან“ შესრულებული დუბლით.

„მარიოს ამბავი ძალიან მაგონებს ჯეკოს ვოლფსბურგულ კარიერას. თავის დროზე, ჩვენთან ედინმაც ასე დაიწყო და მერე მსოფლიო დონის ტოპთავდამსხმელად ჩამოყალიბდა. მასაც ისეთივე გენიალური პარტნიორი რომ ჰყავდეს, როგორიც ჯეკოს ჰყავდა გრაფიტეს სახით, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა,“ - ეს **მარსელ შეფერის** სიტყვებია.

მართლაც: მანჯუკიჩს მეწყვილეები არ უვარგა, რის გამოც მაგათი უმეტესად ერთი ცენტრფორვარდით თამაშობს ხოლმე. **სრდიან ლაკიჩი** ჯერჯერობით უგოლოდაა, **პატრიკ ჰელმესს** კი სამადლოდ მხოლოდ ორი გოლი აქვს გატანილი...

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სერია A. VIII ტურის შეჯამება

ფორვარდთა შედეგიანი უქმეები

და ისევ, ამბავი პრინციპის გამეფებისა

ტურის სიმბოლური ნაკრები

სტეკელენბურგი (რომა) - **მაიკონი** (ინტერი), **დიასი** (ლაციო), **დომიცი** (უდინეზე), **ლულიჩი** (ლაციო) - **ჯაკომაცი** (ლეჩე), **მერკელი** (ჯენოა), **ბოატენგი** (მილანი) - **მატრი** (იუვენტუსი), **იოვეტიჩი** (ფიორენტინა), **დი ნატალე** (უდინეზე)

VIII ტურის სიმბოლურ ნაკრებში, თავდასხმაზე ექვსი გოლი მოდის, რაც მიმდინარე სეზონში უპრეცედენტო შედეგია. ზემოთ ჩამოთვლილმა ფორვარდებმა განსაკუთრებით იყოჩაღეს და ბუნებრივია, რჩეულ ფეხბურთელთა შორისაც მოხვდნენ. **ალესანდრო მატრიმ** ორჯერ გაუტანა „ჯენოას“, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ მის გუნდს სამი ქულა მოეპოვებინა. ანალოგიური რამ მოხდა **სტევან იოვეტიჩის** შემთხვევაში, ვის დუბლსაც „კატანიამ“ ორი გოლით უპასუხა და ფლორენციიდან საპატიო ქულა გაიყოლა. სამაგიეროდ, **ანტონიო დი ნატალეს** შედეგიანი თამაში გამოდგა სამი ქულის მომტანი, „უდინეზემ“ 3:0 მოუგო „ნოვარას“ და სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა.

ნახევარდაცვაში და მთლიანად ტურში **კევინ პრინც ბოატენგი** უნდა გამოვარჩიოთ, რომელმაც ჰეთთრიკი შეასრულა და „ლეჩესთან“ პაექრობაში სასწაულები აკეთა. მის მხარდამხარ **ჯაკომაცის** და **მერკელს** ვხედავთ, რომლებსაც **მაიკონი, დომიცი, დიასი** და **ლულიჩი** უმაგრებენ ზურგს. მეკარეთაგან **სტეკელენბურგი** უნდა გამოვარჩიოთ, რადგან „რომას“ კიპერმა შესანიშნავად იასპარეზა და ის, რომ დედაქალაქელებმა „პალერმოსთან“ კარი მშრალად შეინახეს, სწორედ მისი დამსახურებაა.

ტურის გმირი

თქმა არ სჭირდება, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, რომ ტურის გმირი **კევინ პრინს ბოატენგი** გახლავთ. „მილანმა“ „ლეჩესთან“ პირველი ტაიმი სამი ბურთის სხვაობით წააგო, რამაც „სტადიო ვია დელ მარეზე“ სენსაციის სუნი დაატრიალა - შესვენებისას **მასიმილიანო ალეგრიმ** უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო, თამაშში ბოატენგი ჩართო და სწორედ ამით შეატრიალა თამაშის ბედი სათავისოდ.

მეორე ტაიმის შუაწელს ანგარიში უკვე 3:3 იყო, ჰეთთრიკის ავტორი კი სწორედ განელი ნახევარმცველი გახლდათ. საოცარია, მაგრამ ბოატენგის კიდევ მინიმუმ ორჯერ შეეძლო მეტოქის კარის აღება, მისი დარტყმულები მცირე მანძილით ასცდა მასპინძელთა კარს. საბოლოოდ, „მილანმა“ მოიგო თამაში, რაც კოლოსალური წვლილი ტურის უდავო გმირმა კევინ პრინც ბოატენგმა შეიტანა.

ტურის დებიუტი

ერიკ ლამელას „რომაში“ გადასვლას იტალიაში ბევრი სკეპტიკურად შეხვდა, რადგან არგენტინელი ძალიან ახალგაზრდაა, მხოლოდ 19 წლის გახლავთ და ახალ კონტინენტზე, მისთვის სრულიად ახალ გარემოში ამოყო თავი - ასეთ დროს კი ტალანტის დაკარგვის საფრთხე ძალიან დიდია. მით უმეტეს, ლამელა აპენინებზე „რივერ პლეიტიდან“ მოხვდა, გუნდიდან, რომელიც გავარდა არგენტინის უმაღლესი ლიგიდან, რამაც თავად ფეხბურთელის კვალიფიკაცია და ნიჭი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ლამელას ტრანსფერს თვით **ლუჩანო მოჯიც** კი გამოეხმაურა და ირონიულად განაცხადა: რომის ცირკში ჯამბაზის ადგილი გათავისუფლდა, ერიკს შეუძლია იქ დასაქმდესო. ეს უფრო შეურაცხყოფაა და არა ირონია, რამაც „რომას“ მთავარი მწვრთნელი, მუდამ გაწონასწორებული **ლუის ენრიკეც** კი აღაშფოთა.

ვერ გეტყვით, რას იზამს მომავალში ლამელა, მაგრამ დებიუტი რომ შესანიშნავი გამოუვიდა, ეს ფაქტია - მისმა „რომამ“ საკუთარ მოედანზე „პალერმო“ მიიღო და მინიმალური ანგარიშით, 1:0 დაამარცხა. როგორც უკვე იცით, ან შესაძლოა არ იცოდით და მიხვდით, ერთადერთი გოლი სწორედ ლამელამ გაიტანა. არგენტინელმა მარჯვენა ფრთაზე მიიღო ბურთი, ერთი მეურვე ოსტატურად მოატყუა და მოჭრილი დარტყმით ბურთი მეკარისაგან შორეულ კუთხეში გაახვია.

ტურის ფრაზა

ფრანჩესკო გვიდოლინი (უდინეზეს მთავარი მწვრთნელი): *„ვუმიზნებთ თუ არა სკუდეტოს? - ნუ ხუმრობთ, ჩემპიონატი ახალი დაწყებულია და უახლოეს პერიოდში ბევრი რამ შეიცვლება. დარწმუნებული ვარ, რომ გრანდები სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცევიან. იქამდე კი უბრალოდ უნდა დავტკბეთ მომენტით“.*

სერიები

მოგება: ლაციო - 3 თამაში
წაგება: ნოვარა, პალერმო - 2
წაუგებლად: უდინეზე, იუვენტუსი - 7
მოუგებლად: ჩეზენა - 7

საუკეთესო თავდასხმა: 12 გოლი - მილანი; 11 - იუვენტუსი, ლაციო, ჯენოა.
საუკეთესო დაცვა: 1 გაშვებული - უდინეზე; 4 - სიენა; 5 - იუვენტუსი, კალიარი, ნაპოლი.
უარესი თავდასხმა: 2 გოლი - ჩეზენა; 4 - ბოლონია; 6 - ლეჩე, კიევო.
უარესი დაცვა: 15 გაშვებული - ნოვარა; 13 - ლეჩე, ინტერი, პარმა.
ზუსტი გადაცემები: 3933 - მილანი; 3689 - იუვენტუსი; 3495 რომა.
კარში დარტყმები: 110 - ლაციო; 109 - იუვენტუსი; 107 - მილანი.
კარში დაურტყეს: 42 - ჯენოა; 40 - მილანი; 38 - ფიორენტინა.

ციფრები და ფაქტები

- „უდინეზეს“ სასტარტო 7 პაექრობაში წაგება არ აქვს, ეს გუნდის ახალი რეკორდია;

■ ■ ■

- სერია A-სა და ევროპის ლიგაში ერთად „უდინეზეს“ 447 წუთია გოლი არ გაუშვია;

■ ■ ■

- „ლეჩემ“ ყველა, ანუ 5 საშინაო თამაში წააგო საკუთარ მოედანზე, 4 სერია A-ში, ერთი კი იტალიის თასზე;

■ ■ ■

- „მილანმა“ პირველი საგარეო გამარჯვება მოიპოვა მიმდინარე სეზონში;

■ ■ ■

- კევინ პრინც ბოატენგმა პირველი ჰეთთრიკი შეასრულა „მილანის“ შემადგენლობაში; ბოლო ფეხბურთელი, რომელმაც „როსონერის“ ამუნიციით ერთ მატჩში სამი გოლი გაიტანა, **რონალდინიო** გახლდათ, ბრაზილიელმა „სიენა“ „დაბომბა“ 2010 წლის იანვარში;

■ ■ ■

- სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში გატანილი 12 გოლიდან, „მილანმა“ 7 მეორე ნახევარში გაიტანა;

■ ■ ■

- ალესანდრო მატრიმ მეშვიდე დუბლი გააკეთა კარიერაში;

■ ■ ■

- სერია A-ს ეგიდით, „ჯენოას“ ტურინში გამარჯვება 1991 წლის იანვრის შემდეგ აღარ მოუპოვებია;

■ ■ ■

- „ჯენოას“ კაპიტანმა **მარკო როსიმ** მეორასე შეხვედრა ჩაატარა სერია A-ში და ეს საიუბილეო ამბავი მე-11 გოლით აღნიშნა, რომელთაგან 4 „იუვენტუსის“ კარში აქვს გატანილი;

კევინ პრინს ბოატენგი

Made in GERMANY
REHAU
Unlimited Polymer Solutions
ენერგოდამზოგავი ფანჯრები
დაიცავს სითბოს. დაგიზოგავთ ფულს.
REHAU QUALITY
მაქსიმალური სითბოიზოლაცია
შეიძინეთ ფანჯრები „ენერგოარედიტით“ და დაიბრუნეთ დირებულების 15% უკან
ა-ვე ლუქსი რეჭაუს ლიცენზირებული მწარმოებელი
ჯეჯელიძის 2 245 02 05 www.fanjara.ge

■ ■ ■

- „კალიარის“ მშრალი სერია უკვე 375 წუთია გრძელდება;

■ ■ ■

- „ნაპოლიმ“ „კალიარისთან“ გასვლით პაექრობაში ნულოვანი ფრე ბოლოს 1992 წლის აპრილში ითამაშა;

■ ■ ■

- „ინტერმა“ პირველი საშინაო გამარჯვება მოიპოვა მიმდინარე სეზონში და პირველი გოლი გაიტანა „ჯუზეპე მეაცაზე“;

■ ■ ■

- „ატალანტამ“ ისტორიაში მხოლოდ მესამეჯერ მოიგო „პარმასთან“ გასვლითი პაექრობა;

■ ■ ■

- „ჩეზენამ“ მესამე გასვლითი თამაში წააგო ისე, რომ გოლიც კი არ გაუტანია;

■ ■ ■

- „ჩეზენა“ ერთადერთი გუნდია ჩემპიონატში, რომელსაც ჯერ კიდევ არ მოუპოვებია გამარჯვება;

■ ■ ■

- „კატანიამ“ პირველად აიღო ქულა ფლორენციაში 1971 წლის შემდეგ;

■ ■ ■

- **სენად ლულიჩმა** „ლაციოდან“ და **პაბლო გონსალესმა** „სიენადან“ პირველი გოლები გაიტანეს სერია A-ში;

გლობალური სტატისტიკა

საუკეთესო დასწრება: VI ტური, ინტერი-ნაპოლი, 64 824 გულშემატკივარი
ყველაზე დაბალი დასწრება: II ტური, კიევო-ნოვარა, 7 000 გულშემატკივარი
ყველაზე დიდი საშინაო გამარჯვება: იუვენტუსი-პარმა 4:1 (II ტური), ფიორენტინა-პარმა 3:0 (IV), ჯენოა-კატანია 3:0 (IV), სიენა-ლეჩე 3:0 (V), მილანი-პალერმო 3:0 (VII), უდინეზე-ნოვარა 3:0 (VIII).
ყველაზე დიდი საგარეო გამარჯვება: ინტერი-ნაპოლი 0:3 (VI ტური).
ყველაზე უცგოლიანი თამაში: პალერმო-ინტერი 4:3 (II ტური), ლეჩე-მილანი 3:4 (VIII).

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. უდინეზე	7	4	3	0	10-1	15
2. ლაციო	7	4	2	1	11-7	14
3. იუვენტუსი	7	3	4	0	11-5	13
4. კალიარი	7	3	3	1	8-5	12
5. ნაპოლი	7	3	2	2	10-5	11
6. რომა	7	3	2	2	8-6	11
7. მილანი	7	3	2	2	12-11	11
8. კატანია	7	2	4	1	9-10	10
9. პალერმო	7	3	1	3	9-10	10
10. ფიორენტინა	7	2	3	2	8-6	9
11. სიენა	7	2	3	2	6-4	9
12. ჯენოა	7	2	3	2	11-10	9
13. კიევო	7	2	3	2	6-6	9
14. პარმა	7	3	0	4	9-13	9
15. ატალანტა	7	4	2	1	10-8	8
16. ინტერი	7	2	1	4	9-13	7
17. ნოვარა	7	1	2	4	10-15	5
18. ლეჩე	7	1	1	5	6-13	4
19. ბოლონია	7	1	1	5	4-12	4
20. ჩეზენა	7	0	2	5	2-9	2

შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა

მომდევნო ტური

25 ოქტომბერი: იუვენტუსი-ფიორენტინა;
26 ოქტომბერი: ატალანტა-ინტერი, ჩეზენა-კალიარი, კიევო-ბოლონია, ჯენოა-რომა, ლაციო-კატანია, მილანი-პარმა, ნაპოლი-უდინეზე, ნოვარა-სიენა;
27 ოქტომბერი: პალერმო-ლეჩე.

ბომბარდირები: 6 - **დი ნატალე** (უდინეზე); 5 - **პალასიო** (ჯენოა), **ჯოვინკო** (პარმა); 4 – **დენისი** (ატალანტა); 3 - **მიკოლი** (პალერმო), **მილიტო** (ინტერი), **ოსვალდო** (რომა), **რიგონი** (ნოვარა), **ჩერჩი** (ფიორენტინა), **კლოზე** (ლაციო), **კავანი** (ნაპოლი).

ასისტენტები: 5 - **ანტონიო კასანო** (მილანი); 3 - **ფაბრიციო მიკოლი** (პალერმო), **ანდრეა პირლო** (იუვენტუსი), **როდრიგო პალასიო** (ჯენოა), **ალბერტო აკვილანი** (მილანი).

ლაშა ნიკლაური

უცხოური ფეხბურთი

დღეს

გრანადა-ბარსელონა 22:00

ტრავმა: ხუანი, მარტინში, იგჰალო, იებდა (?) - სანჩესი, აფელაი, პიკე, პუიოლი

სევილია-რასინგი 00:00

ტრავმა: ნეგრედო (?), პეროტი - კოლსა, ოსმარი, აკოსტა, კენედი

დისკვალიფიკაცია: კანუტე, ნავარო (სევილია)

ხვალ

ხეტაფე-ოსასუნა 22:00

ტრავმა: გავილანი, უსტარი, მასილელა - მასუდი, ეჩაიდე, რიკარდო, როვერსიო

ლევანტე-რეალ სოსიედ. 22:00

ტრავმა: ხორდა - ილარამენდი, ველა (?)

რაიო ვალეკანო-მალაგა 22:00

ტრავმა: დუდა, ბაპტიშტა, ხიმენესი (მალაგა)

სარაგოსა-ვალენსია 22:00

ტრავმა: პინტერი, ბრაულიო, მინერო - პარეხო, მადურო, ალბელდა, დეალბერტი, კანალესი

მალიორკა-სპორტინგი 00:00

ტრავმა: ვიქტორი (?), მარტი (?), კასერესი, ხუნიეში, ლაკუსი, ზუიველროონი - ნაჩო ნოვო, კარმელო

რეალი-ვილიარეალი 00:00

ტრავმა: ალბიოლი (?), დიარა, კოენტრაო, კარვალიო, შაპინი - ა. ლოპესი, ნილმარი

ზეგ

ესპანიოლი-ბეტისი 22:00

ტრავმა: მატიონი, ალბინი - ვადილიო, დორადო, ნელსონი

ბილბაო-ატლეტიკო 00:00

ტრავმა: გურპეგი, კასტილიო, პერესი, გომესი - ხუანფრანი, გაბი, კოშტა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ლევანტე	8	6	2	0	14-3	20
2. რეალი	8	6	1	1	28-6	19
3. ბარსელონა	8	5	3	0	26-4	18
4. სევილია	8	4	4	0	8-4	16
5. ვალენსია	8	4	3	1	11-8	15
6. მალაგა	8	4	1	3	10-11	13
7. ბეტისი	8	4	0	4	10-13	12
8. ესპანიოლი	8	4	0	4	7-11	12
9. ატლეტიკო	8	2	4	2	9-7	10
10. ოსასუნა	8	2	4	2	9-15	10
11. ბილბაო	8	2	3	3	11-11	9
12. მალიორკა	8	2	3	3	7-9	9
13. ვალეკანო	8	2	3	3	8-11	9
14. სარაგოსა	8	2	3	3	9-16	9
15. სოსიედადი	8	2	2	4	7-10	8
16. ვილიარეალი	8	1	4	3	7-14	7
17. ხეტაფე	8	1	3	4	6-10	6
18. გრანადა	8	1	2	5	2-10	5
19. სპორტინგი	8	1	1	6	5-12	4
20. რასინგი	8	0	4	4	4-13	4

ბომბარდირები: 10 - ლიონელ მესი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი); 9 - გონსალო იგუაინი (რეალი); 6 - რობერტო სოლდადო (ვალენსია), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 5 - ხუანლუ (ლევანტე); 4 - იმანოლ აგირეჩე (რეალ სოსიედადი), სანტი კასორლა (მალაგა), სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა), მიკუ (ხეტაფე), რაულ გარსია (ოსასუნა), ტომერ ჰემედი (მალიორკა).

● ესპანეთი. ლა ლიგა. IX ტურის წინ

როცა ერთი ბარსელონელის გასამრჯელო მთელ ლევანტეს დააპურებდა

კანუტე და სესკი შერიგდნენ, ესპანეთმა კი საფეხბურთო პრინციპ კარგა ხნით დაკარგა



ლევანტეს ნახევარდაცვის ლიდერი ხუანლუ

47 წლის **ხუან იგნასიო მარტინესი** საკუთარ, ორთავ თვალს არ უჯერებს, ფიქრობს, რომ ჯერაც სიზმარშია; თან, იმავდროულად, სხვებსაც და თავსაც მოუწოდებს, ზეცაში ფრენა არ გვინდაო, მაგრამ ფაქტი ჯიუტია - „ლევანტეს“ თავკაცმა უნდა დაიჯეროს, რომ სწორედ მან შეძლო შეუძლებელი, ზედიზედ 6 თამაში მოიგო და ვალენსიური საზომითაც კი მესამე კლუბი ისტორიაში პირველად გახადა ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ლიგის ლიდერი. „ლევანტეს“ 20 ქულა აქვს, ერთით მეტი, ვიდრე „რეალს“ და ორით, ვიდრე „ბარსელონას“; 8-დან 6 მატჩი მოიგო, ორი ფრედ დაასრულა და ბურთების შეფარდებაც უნაკლო აქვს - 14:3. ჰოი, საოცრებავ!

ყველამ კარგად უწყის, რომ ბოლოს 90%-იანი ალბათობით (თუ მეტით არა) პრიმერას ტიტული მაინც იმ ორი სუპერგანდის გასაყოფი იქნება. არც ის იყო დიდი მოულოდნელობა, რომ ჩემპიონატის სტარტზე რომელიმე გუნდს შეეძლო თავი გამოედო და ტურნირი გაეხალისებინა, მაგრამ „ლევანტეს“? ელიტიდან გავარდნის ერთ-ერთ უპირველეს კანდიდატს?

„ძალიან ბედნიერი ვარ, ირგვლივ საოცრებები ხდება, ფანები ეიფორიაში არიან და მათ ეს ნამდვილად დაიმსახურეს. იყო ლა ლიგის ლიდერი, როცა ხარ „ლევანტე“, ეს მეტისმეტია. ამიტომაც, თუკი კვლავ გვსურს წარმატებული თამაში, უნდა დავივიწყოთ, სად ვართ, არ მოვწყდეთ მიწას. სე ზონი ძალიან გრძელია, მეგობრებო“, - თქვა ხუან იგნასიომ მას მერე, რაც ვალენსიური დერბიც მოიგო („ვილიარეალი“ 3:0 გაანადგურა).

ადრე ამბობდნენ, „ლევანტეს“ გადაბერებული შემადგენლობა ჰყავსო - ახლა წერენ, გუნდის ფეხბურთელები „ოქროს ასაკში“ შესულანო. ადრე ამბობდნენ, „ლევანტემ“ იმდენად ცოტა დახარჯა ზაფხულში, განწირულიაო, ახლა აღფრთოვანებულნი არიან იმით, რომ, თურმე შეიძლება 400 ათასი ევროთი გუნდი ისე გაძლიერო, ვარსკვლავებს შესწვდეს. ადრე პესიმისტური განწყობა იყო, დებიუტანტი და უცნობი მწვრთნელი ლა ლიგაში რას მიაღწევსო, ახლა კიდევ ქოთანს სახელური იქიდან მოაბეს, რომ ხუან იგნასიოს შემთხვევაში მოულოდნელობის ფაქტორმა ითამაშა დადებითი როლიო...

შესაძლოა, „ლევანტეს“ ვალენსიაში იმდენივე ფანი არ ჰყავს, რამდენიც სახელოვან „ვალენსიას“, მაგრამ მათ ერთგულებაში კლუბის 102-წლოვან ისტორიაში ეჭვი არავის შეჰპარვია. „ელ მადრიგალიდან“ გამოგზავრებულ ავტობუსს ღამის 2 საათზე „სიუტატ დე ვალენსიაზე“ მოუწია შევლა, რადგან ახალ ლიდერებს სტადიონზე ფანები ელოდნენ. ყველაზე მეტი ოვაცია მწვრთნელს, კაპიტან **სერხიო ბალესტეროსს**, დუბლის ავტორ **ხუანლუ გომესსა** და მე-3 გოლის გამტან **არუნა კონეს** ხვდათ წილად.

იცით, რა თქვა ხუანლუმ? წაიკითხეთ, საინტერესოა: *„ეს ნამდვილი სასწაულია, ჩვენ ხომ მცირებიუჯეტიანი კლუბი ვართ - „ბარსას“ ან „რეალის“ ერთი ფეხბურთელის გასამრჯელო „ლევანტეს“ 25-ვე ფეხბურთელს გვეყოფა. ეს ხომ დიდებულია, როცა „ბარსას“ და „რეალს“ ცხრილში უსწრებ, მიუხედავად ამხელა სხვაობისა. თუმცა, ყველამ კარგად ვიცით, ჩვენი მიზანი არ იცვლება - ლა ლიგაში ადგილი უნდა დავიმკვიდროთ“.*

ხვალ „ლევანტე“ შეეცდება, ზედიზედ მე-7 მატჩი მოიგოს. საამისოდ, „ბაყაყებმა“ ბასკური „რეალ სოსიედადი“ უნდა დაჯაბნონ. ხუან იგნასიომ „წყალქვეშა ნავი“ ისე ჩაძირა, რომ ერთი ფეხბურთელიც არ დაშავებია. ასე რომ, „ლევანტე“ კვლავ ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებს.

ტური დღეს ანდალუსიაში იწყება, სადაც ერთ-ერთი აუტსაიდერი „გრანადა“ (5 ქულა, მე-18 ადგილი) ჩემპიონს მასპინძლობს. „ბარსას“ და „სევილიას“ თამაში სკანდალური აღმოჩნდა. განსაკუთრებით საინტერესოა, რა მოხდა **ფრედერიკ კანუტესა** და **სესკ ფაბრეგასს** შორის, რა უთხრა ისეთი სესკმა, რომ აფრიკელი ფორვარდი მას მოსაკლავად ეცა. სევილიელები ამტკიცებდნენ, რომ ესპანელმა მალელი რასობრივად შეურაცხყო, თუმცა კატალონიელები ამას უარყოფენ.

ბოლოს კი ყველაფერი მშვიდობით დასრულდა - კანუტემ „ტვიტერზე“ დაწერა: *„ბოდიში ყველას. რაც გუშინ მოხდა, ჩემი ბრალიცაა. რა თქმა უნდა, იყო პროვოკაცია და შეურაცხყოფა, მაგრამ ჩემი საქციელი, როგორც მისი, მოსაწონი არაა. მაგრამ ფეხბურთში ასეთები ხდება“*. მალეევე კიდევ ერთი წარწერა გაჩნდა მალელის გვერდზე: *„მე და სესკმა ტელეფონით ვისაუბრეთ. ორივე დამნაშავე ვართ და ეს ორივეს კარგად გვესმის“*. მოკლედ, საკითხი ორ მოჩხუბარს შორის ამოწურულია, თუმცა კანუტეს მაინც არ აქვს თავი ქუდში - დღეს „რასინგთან“ თამაშს გამოტოვებს და შეიძლება, შემდეგიც გამოატოვებინონ.

ალექსის სანჩესი 11 ნოემბერს დაბრუნდება, როცა ჩილეს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი აქვს გასამართავი. **ჟერარდ პიკემ** ჯგუფთან ერთად ივარჯიშა, მაგრამ მისი თამაში „გრანადასთან“ ნაკლებ სავარაუდოა. ეს კი კვლავ „ბარსას“ ყბადაღებულ პრობლემას ქმნის დაცვის ცენტრში, რადგან **კარლეს პუიოლიც** ვერ ითამაშებს. კაპიტანმა ექიმთა შტაბს საზარდულის ტკივილით მიაკითხა და მას დასვენება გამოუწერეს.

„გრანადას“ ორ ლეგიონერს, ალჟირელ **ჰასან იებდას** და პორტუგალიელ **კარლუშ მარტინშს** ერთნაირი ტრავმები აქვთ, მაგრამ იებდა უკვე გამოჯანრთელების პირასაა, ხოლო მარტინში კიდევ 3 კვირას იუქმებს. ანდალუსიელებს მცველი **დავიდ კორტესი** გამოუჯანმრთელდათ, რომელიც მუხლს იტკივებდა. „გრანადამ“ სეზონში სულ 2 გოლი გაიტანა, მაშინ როცა „ბარსამ“ - 24. **პეპ გვარდიოლას** ანდალუსიაში პირველი გუნდის 17 ჯანმრთელი ფეხბურთელი მიჰყავს, რომელთაც სარეზერვოდან მონტოიასა და კუენსას დაამატებს.

„გრანადასთან“ მატჩი ჩვენთვის კარგი ტესტი იქნება. მოკლე დროში ამდენი მატჩის ჩატარება სერიოზული გამოცდაა. ვვარაუდობ, სულ სხვა თამაში იქნება, ისეთი არა, როგორც „სევილიასთან“, - განაცხადა პეპმა, რომლის ხელმძღვანელობითაც „ბარსამ“ სულ რაღაც მე-14-ედ ვერ შეძლო გოლის გატანა. სხვათა შორის, **ლიონელ მესის** პენალტებში არცთუ კარგი სტატისტიკა ჰქონია - 22-დან 6 გააცუდა.

ხვალ „რეალი“ ტურის ცენტრალურ მატჩში „ვილიარეალს“ მასპინძლობს. თითქოს ყველაფერი რიგზეა - „სამეფო კლუბი“ დაფრინავს, მაგრამ პრობლემა მაინც საიდანღაც გამოძვრა - **ჟოზე მოურინიოსა** და კაპიტან **იკერ კასილიასს** შორის შავმა კატამ გაირბინა. პორტუგალიელმა ის ვარჯიშზე დაგვიანებისთვის დასაჯა, იმის მიუხედავად, რომ იკერმა საცობში გაჭედვის მტკიცებულება - მობილურით გადაღებული ფოტო - წარადგინა.

„ვალენსიასა“ და „ბილბაოს“ მატჩი ხიფათიანი აღმოჩნდა, ორივე გუნდმა 2-2 ქულა და თითო გამორჩეული ფეხბურთელი დაკარგა. 20 წლის **სერხიო კანალესი**, რომელიც „ვალენსიას“ „რეალისგან“ ჰყავს ნათხოვარი და რომელმაც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ორჯერ დაარბია, პირველ ტაიმში ისე დაშავდა, რომ კარგა ხანს მოუწევს უქმობა. მან მუხლის წინა ჯვარედინი იოგი ნაწილობრივ გაიწყვიტა - ახლა მისთვის ორი ვარიანტი არსებობს, საუკეთესო შემთხვევაში სერხიო მოედანს 3 თვეში დაუბრუნდება, უარესში - 6 თვეში. ყველაფერი დამოკიდებულია შემოწმებაზე. თუკი მადრიდელი ექიმები ჩათვლიან, რომ ფეხბურთელს ოპერაცია არ ესაჭიროება, მაშინ პირველი ვარიანტი ამოქმედდება, თუ არა და მეორე.

მეორე ტაიმში შემოსული **კარლოს გურპეგი**, რომელიც „ბილბაოს“ კაპიტანია, სეზონს მთლიანად გამოტოვებს. მას ზუსტად იმავე ტრავმა აქვს, რაც კანალესს, ოღონდ თუკი ვალენსიელს მხოლოდ ნაწილობრივ აქვს გაწყვეტილი კუნთი, გურპეგის დაზიანება სრულია.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

● მანჩესტერული დერბის გამოძახილი

რუნის დაბადების დღე



უეინ რუნი და მისი მეუღლე კილინი

გარეთ ბერი მეუღლე ლუიზთან ერთად

ჯო ჰარტი მეგობარ გოგონა კიმბერლი ქრიუსთან სთან ერთად

„მანჩესტერ სიტის“ მიერ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მისსავე მოედანზე 6:1 დარბევიდან სულ ორიოდ საათში **უეინ რუნიმ** წვეულება გადაიხადა, სადაც „სიტის“ ორი ფეხბურთელი, **გარეთ ბერი** და მეკარე **ჯო ჰარტი** მიიწვია. წვეულება „იუნაიტედის“ ვარსკვლავის 26-ე დაბადების დღეს ეძღვნებოდა. რუნიმ და მისმა სტუმრებმა ქალაქის ცენტრში მდებარე ჩინურ რესტორან „უინგზში“ იპურმარილეს.

კაცმა რომ თქვას, ვარსკვლავმა ცოტა უცნაურ დროს მოაწყო ქეიფი — ის 24 ოქტომბერს გახლავთ დაბადებული და, ალბათ, უფრო ლოგიკური იქნებოდა ხალხი ორშაბათ საღამოს რომ დაეპატიჟებინა. ასე კი გამოვიდა, რომ დადგა თუ არა 24, რუნი და კამპანია რესტორანში შეცვივდნენ. „უინგზის“ გარეთ რასაკვირველია პაპარაცების ლაშქარი იყო ჩასაფრებული. მათ სურათები გადაიღეს და შთაბეჭდილებები თვითმხილველებსაც გამოჰკითხეს.

ერთ-ერთმა ფანმა თქვა: *„როდესაც დავინახე რესტორანში „სიტის“ ფეხბურთელები შემოდიოდნენ, ბარმენს ორმაგი ვისკი შევუკვეთე. მერე გავიგე, რომ ეს ხალხი რუნის დაბადების დღეზე ყოფილა დაპატიჟებული და მთლად გადავირიე. „იუნაიტედის“ ფეხბურთელი „სიტის“ ფეხბურთელებთან, განსაკუთრებით ასეთი თამაშის შემდეგ, როგორ უნდა ქეიფობდეს? კინაღამ კარისკაცთან მივვარდით თხოვნით, რომ ისინი გარეთ გაეყარა“.*

24 წლის ჯო ჰარტს თან მეგობარი გოგონა, **კიმბერლი ქრუ** ახლდა, 30 წლის გარეთ ბერი კი მეუღლე **ლუიზთან** ერთად იყო. ტაბლოიდებმა ყურადღება მიაქციეს, რომ უეინის წითელ, საღღესასწაულო კაბაში გამოწყობილ ცოლს, **კოლინს** საჩუქრებით სავსე ორი ჩანთა ეჭირა ხელში. მოკლედ, ეს ყველაფერი არ შეეფერებოდა იმ განწყობილებას, ისტლენდელებთან საშინელი წაგების შემდეგ, ქალაქ მანჩესტერის იმ ნაწილში რომ სუფევდა, რომელსაც რუნი წარმოადგენს.

დაბადების დღეზე დაპატიჟებული იყო „სტოკ სიტის“ 30 წლის თავდამსხმელი **პიტერ კრაუჩი** მეუღლითურთ.

„იუნაიტედის“ ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელიც ქეიფს ესწრებოდა თქვა: *„თავიდან უეინი დათრგუნვილი ჩანდა, თუმცა ამაში გასაკვირი არაფერია. რამდენიმე საათით ადრე „იუნაიტედმა“ ხომ საშინლად წააგო. თუმცა, ცუდი განწყობა მალე გავიდა და წვეულებაც ეშხში შევიდა. მასპინძელმაც და სტუმრებმაც დიდებული დრო გაატარეს“.*

ბალოტელი და მსოფლიო

მარიო ბალოტელი

„მანჩესტერ სიტის“ თავკაცმა, **რობერტო მანჩინომ** „იუნაიტედის“ 6:1 დამარცხების შემდეგ გამოაცხადა, რომ ამ შეხვედრაში ორი გოლის ავტორი, 21 წლის **მარიო ბალოტელი** მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. საინტერესო დამთხვევაა: მანჩესტერული დერბი მანჩინისთვის „სიტის“ თავკაცის რანგში მეასე იყო. რაც შეეხება ბალოტელის, მან მიმდინარე სეზონში პრემიერლიგის ხუთ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და... ექვსი გოლი გაიტანა.

მოგეხსენებათ, დერბის წინადღეს ბალოტელი, როგორც „შექანებული“ კვლავ გაზეთებში მოხვდა. მან საკუთარი სააბაზანოდან ოთახში ფეიერვერკის მაშხალები შეყარა და როდესაც დიდი ტკაცუნი ატყდა, საშინლად შეეშინდა. ბალოტელის სახანძრომ უშველა. „სიტის“ მწვრთნელს ჟურნალისტებმა მის საუკეთესო თავდამსხმელობასთან ერთად ამის შესახებაც ჰკითხეს. მანჩინიმ თქვა:

„რა მოხდა მაშხალებთან დაკავშირებით, არ ვიცი. ჩემთვის მნიშვნელოვანი ის არის, რომ მარიო და მისი მეგობარი ამ ინციდენტის დროს არ და ზიანდნენ. რაც შეეხება დერბის, მარიოს ის ამბავი საერთოდ არ დასტყობია. თუ თქვენ მას ზე, როგორც ფეხბურთელ ზე ლაპარაკი დაგაინტერესებთ, გეტყვით, რომ მე მას მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულში შევიყვანდი.

ბალოტელის მთავარი პრობლემა მისი ასაკია. ის ახალგაზრდაა და ამის გამო ცხოვრებისეული შეცდომები მოსდის, თუმცა, როგორც ფეხბურთელი შეუდარებელია. დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. მოუთმენლად ველი დღეს, როდესაც მარიო დაღვინდება. ეს მისი ფეხბურთისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ამის შემდეგ ის შეძლებს იმ დონეზე თამაშს, მესი და რონალდო რომ თამაშობენ“.

მთელმა მსოფლიომ მიაქცია ყურადღება, რომ პირველი გოლის გატანის შემდეგ ბალოტელიმ „სიტის“ მაისურა აიწია და გამოაჩინა შიდა მაისურაზე წარწერილი: Why always me? ქართულად ეს ნიშნავს: „ყოველთვის მე რატომ?“

მანჩინიმ ამაზე ასე ბრძანა: *„მე მისი მაისურა არ დამინახავს, მაგრამ ასეთი საქციელი მის ბუნებაშია. მგონი, მოსწონს, ასე რომ იქცევა, ფანებს თავს გიჟად რომ აჩვენებს. პირადად, მე, მირჩევნია, შემდეგზე მაისურა აღარ აიწიოს და გოლი ჩვეულებრივად იზეიმოს. საერთოდ კი მარიო საუცხოო ბიჭია, მე ის ძალიან მიყვარს“.*

მანჩინიმ ბალოტელი მოედნიდან 70-ე წუთზე გაიყვანა. ამას ერთადერთი ახსნა აქვს: გაუწონასწორებელი ბალო მეორე ყვითლისგან დააზღვია. მატჩის შემდეგ აფრო-იტალიელი „სიტის“ ფანების ოვაციის ობიექტი გახდა. მანჩინი:

„ძალიან კმაყოფილი ვარ, „იუნაიტედი“ სტუმრად რომ დავამარცხეთ. მეეჭვება, ასეთი რამ ბევრმა გუნდმა შეძლოს. „იუნაიტედის“ მონაწილეობით ბოლო სამი თუ ოთხი თამაში ვნახე და ყურადღება მივაქციე, რომ ეს გუნდი მეტოქეს მის კართან სახიფათო მომენტის შექმნის საშუალებას აძლევს ხოლმე, თუმცა ექვსი გოლის გატანას არ ველოდი. 6:1 მნიშვნელოვანია „სიტის“ ფანებისთვის და, ალბათ, ცხრილში გატანილი და გაშვებულის გოლების სხვაობისთვის. ჩემთვის მთავარი, რასაკვირველია, გოლების რაოდენობა არ ყოფილა, სამი ქულა იყო.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს მხოლოდ ერთი თამაში იყო. ამ მოგების მიუხედავად მიმაჩნია, რომ „იუნაიტედი“ ჩვენზე მთელი თავით წინ არის და ამის გამოსწორება ერთადერთი რამით, ჩემპიონის ტიტულის მოპოვებით შეიძლება. ჩემპიონები რომ გავხდებით, შეიძლება სიტუაცია შეიცვალოს, მაგრამ დღეს „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩვენზე ძლიერი გუნდია“.

„მანჩესტერ იუნაიტედის თავკაცმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** კი, გარდა იმისა, რაც თამაშის მიმოხილვაში მოგახსენეთ — ასე საშინლად ცხოვრებაში არ წამიგიაო — ბრძანა:

„ჩვენ ამ შოკს დავძლევთ. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ისტორია ცხოვრების თავიდან დაწყებისგან შედგება. იანვრისთვის თქვენ წინაშე ისევ ძველებური „იუნაიტედი“ წარდგება. ჩვენ, ტრადიციულად, სეზონის მსვლელობისას ვუმატებთ და მეორე ნახევარში განსაკუთრებითკარგად ვთამაშობთ. ეჭვი არ მეპარება, რომ ახლაც იგივე მოხდება. გამოსაფხიზლებლად ეს ჩინებული ანგარიშია“.

ტერი ვენეიბლზის აზრით

გთავაზობთ ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, ტერი ვენეიბლზის მიერ შემოთავაზებულ მანჩესტერული დერბის ანალიზს:

რატომ გაიმარჯვა „სიტიმ“ ასე დამაჯერებლად?

იმიტომ, რომ „სიტის“ არ შეეშინდა ძლიერ მოწინააღმდეგესთან, მის მოედანზე, შემტევი შემადგენლობის გაყვანა და გოლის გატანაზე ორიენტირებული ფეხბურთის. სტუმრებმა ითამაშეს ლაღად, რასაც „ოლდ ტრეფორდზე“ ჩასული გუნდების უმეტესობა არ აკეთებს. „სიტი“, ამ დღეს, ძალიან ჰგავდა ესპანეთის ნაკრებს, თუმცა მწვავე შეტევებთან ერთად ისტლენდელები დაცვაში იდგნენ მტკიცედ. განსაკუთრებით **ვენსან კომპანი** გამოირჩეოდა.

„იუნაიტედი“ პირველი 15-20 წუთის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას, მაგრამ როგორც კი „სიტიმ“ გოლი გაიტანა, ყველაფერი შეიცვალა. გულსატკენი იყო, მასპინძლებს მეორე ტაიმში უმეტესად ათი კაცით რომ მოუხდათ თამაში, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ მათ აჯობეს.

ვინ იყო მატჩის გმირი?

დავიდ სილვა. კაფანდარა ესპანელი „სიტის“ შეტევათა სული და გული იყო. მან ამ დღეს კიდევ უფრო დიდი ავტორიტეტი შეიძინა. „იუნაიტედმა“ სილვას წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. ის იმდენად თავდაჯერებული და შთაგონებული იყო, რომ კაცს გაუჩნდებოდა კითხვა: რატომ არ ყიდულობენ პრემიერლიგის სხვა კლუბები ესპანელ ფეხბურთელებს?

კიდევ რამ განაპირობა „სიტის“ გამარჯვება?

როგორც ვთქვით, „სიტი“ შეტევაში გაბედულად თამაშობდა, მაგრამ მისმა მწვრთნელმა, **რობერტო მანჩინიმ** ძალიან სწორი ნაბიჯი გადადგა, როდესაც ნახევარდაცვაში მუხლჩაუხრელად მომუშავე ფეხბურთელების ტრიოს დაეყრდნო. მე **იაია ტურეს, ჯეიმს მილნერსა** და **გარეთ ბერის** ვგულისხმობ. თამაშის დაწყებიდან 20 წუთის შემდეგ „იუნაიტედის“ თავდამსხმელები **ეშლი იანგისა** და **ნანის** დახმარებას უკვე მოკლებულნი იყვნენ. მეორე მხრივ, ამ ტრიოს მიერ ზურგგამაგრებული სილვა მასპინძელთა დაცვას არბევდა.

„იუნაიტედს“ რალა სჭირდა?

„იუნაიტედს“ გამთამაშებლები აკლდა. მასპინძელთა ნახევარდაცვის შუა ნაწილი ჩამშლელებით იყო დაკომპლექტებული. ისინი დავიდ სილვას და „სიტის“ სხვა შემტევების გაჩერებაზე ხარჯავდნენ ძალებს, ფრთის ხალხი კი მოწყვეტილი დარჩა. იქნებ ფერგის უფრო შემტევი შემადგენლობის გაყვანა მართებდა, მაგრამ ძნელია გააკრიტიკო მწვრთნელი და მოთამაშეები, რომლებიც აქამდე დიდებულ შედეგებს აღწევდნენ და ეჭვი არ არის, მომავალშიც საუცხოო შედეგებს მიაღწევენ.

ტერი ვენეიბლზის აზრით, მანჩესტერული დერბის გმირი ესპანელი დავიდ სილვა იყო

ვინ გახდება ჩემპიონი?

ვიღაც ახლავე იტყვის, რომ ჩემპიონი „სიტი“ გახდება. მართლაც, ისტლენდზე შესანიშნავი გუნდი ჰყავთ. აქ ისეთი ფეხბურთელები თამაშობენ, როგორიც, მაგალითად, **სერხიო აგუეროა**, მაგრამ დღის წესრიგში ერთი მნიშვნელოვანი საკითხია: „სიტი“ დღევანდელმა წარმატებებმა არ უნდა გაიტაცოს და ფეხბურთელებმა არ უნდა ჩათვალონ, რომ თავი ქუდში აქვთ. ფერგის ხალხმა იცის, რას ნიშნავს ჩემპიონობისთვის ბრძოლა და ისიც კარგად იცის, რომ ახლა ძალების მოსაკრებად დრო დასჭირდება. მხოლოდ სულელი ჩამოწერს „მანჩესტერ იუნაიტედს“.

● ისევ რასიზმი

ტერი ანტონის წინააღმდეგ

კვირას „ლოფტას როუდზე“ დასავლეთ ლონდონის ორი გუნდი შეხვდა ერთმანეთს: „ქუინზ პარკ რეინჯერსმა“ „ჩელსის“ 1:0 მოუგო. ეს გახლდათ შეხვედრა, რომელშიც მსაჯმა „ლურჯებს“ ორი ფეხბურთელი გაუძევა, ყვითელ ბარათებს კი თვლა არ ჰქონდა. ამავე შეხვედრაში მოხდა კიდევ ერთი ინციდენტი — „რეინჯერსის“ მცველი, **ანტონ ფერდინანდი** და „ჩელსის“ კაპიტანი, **ჯონ ტერი** შელაპარაკდნენ. ამბობენ, თითქოს ტერიმ ფერდინანდი რასისტულად შეურაცხყო. ტერი ბრალდებას უარყოფს.

ანტონ ფერდინანდი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვეტერანი მცველის, **რიო ფერდინანდის** ძმაა. ის 26 წლის გახლავთ, ტერი კი მასზე უფროსია, ოცდაათისაა. თუკი ინტერნეტში დაგდებულ ვიდეოჩანაწერით სიმართლის დადგენა შეიძლება, ტერიმ ფერდინანდი მართლა შეურაცხყო, თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ჩელსელი ამას ცივად უარყოფს:

ანტონ ფერდინანდი (მარცხნივ) და ჯონ ტერი

„ძალიან ვწუხვარ, რომ ხალხი კომპიუტერის ეკრანიდან ასკვნის, რა ვუთხარი ანტონს. მათი დასკვნა მცდარია. საქმე ასე იყო: მომეყურა, რომ ანტონმა რასიზმში დამდო ბრალი, რაზეც აგრესიულად ვუპასუხე, ასეთ რამეებს არ ვამბობ-მეთქი. მე რასობრივი შეურაცხყოფა მართლაც არავისთვის არასდროს მიმიყენებია და მწყინს, ხალხი რომ მაბრალებს.

ანტონს დიდი ხანია ვიცნობ. თამაშის შემდეგ მე ის ვნახე, ველაპარაკე და ჩვენ შორის ყველაფერი მოგვარდა. ის არაფერში მდებს ბრალს. მე ვამაყობ, რომ პრემიერლიგის ერთ-ერთ ყველაზე მრავალეროვან გუნდს ვკაპიტნობ და ღრმად მწამს, რომ რასიზმის ადგილი ფეხბურთში არ არის“.

თამაშის შემდეგ „რეინჯერსის“ და „ჩელსის“ ფეხბურთელებმა, გასახდელში, დიდი ყვირილი ატეხეს, მაგრამ, თვითმხილველის თქმით, ხელი არავის აუწევია.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

● თავისუფალი ჭიდაობა



ქართველთა გამარჯვება სომხეთში

ამ დღეებში „მართვეს“ ჭაბუკთა გუნდმა სომხურ ვანაძორში მწვრთნელისა და ვეტერანებში მსოფლიოს 9-გზის ჩემპიონ **ჟორა ოგანესიანის** სახელობის ტურნირში იასპარეზა. იქ სულ ხუთი ქართველი ჭიდაობდა, რომელთაგანაც მედალი ორმა მოიპოვა, თანაც ოქროსი. ჩემპიონები **გაიოზ გონგლაძე** (42) და **ტარიელ გაფრინდაშვილი** (69) გახდნენ.

შეგახსენებთ, რომ ამ ასაკის მოჭიდავეები ჭაბუკთა ნაკრებში ცდილობენ ადგილის მოპოვებას. იქამდე ჯერ კიდევ ბევრი ტურნირია დარჩენილი, მაგრამ ჯერჯერობით ორივე ფალავანი უმთავრეს კანდიდატთა შორისაა. გონგლაძემ წლეულს ხაშურის ტურნირი მოიგო, ონში კი მეორეზე გავიდა. გაფრინდაშვილმა გაიმარჯვა ხაშურში, ხოლო სომხურ იჯევანში მეორეზე გავიდა.

ნოემბრის დასაწყისში „მართვეს“ წარმომადგენლები კვლავ იასპარეზებენ სომხეთში, ამჯერად - ერევანში.

ირაკლი თავაძე

● ძიუდო

ნავერიანის ბურნირი მარნეულში

შაბათს მარნეულის ახალაშენებულმა სპორტულმა კომპლექსმა რეგიონში ძიუდოს დიდი ქომაგისა და რეგიონული ფედერაციის ხელმძღვანელ თენგიზ ნავერიანის ხსოვნის პირველ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა ძიუდოში. უცხოელთაგან მასში აზერბაიჯანელები გამოდიოდნენ, სომხები კი, წინასწარი დაპირების მიუხედავად, ვერ ჩამოვიდნენ, რის გამოც ორგანიზატორებს მოუბოდიშეს.

შეჯიბრება გუნდური პრინციპით ჩატარდა 1996-97 წლებში დაბადებულთა შორის. მასში 12 ნაკრები მონაწილეობდა - თბილისი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, იმერეთი, ქუთაისი, შიდა ქართლი, ქვემო-ქართლი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, აფხაზეთი, სამცხე-ჯავახეთი და აზერბაიჯანი. გუნდები ორ ჯგუფად გაიყვნენ და ბრმა წილისყრით შეხვდნენ ერთმანეთს. ნახევარფინალში ბრძოლის უფლება თბილისი-შიდა ქართლმა და კახეთი-მცხეთა-მთიანეთის გუნდებმა მოიპოვეს. ამ შეხვედრებში თბილისელებმა და კახელებმა იმარჯვეს, რითაც მთავარი პრიზისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს. ფინალური შეხვედრაც საკმაოდ დაძაბული გამოდგა - დედაქალაქელებმა 5:3 იმარჯვეს და დიპლომთან ერთად ჩემპიონისთვის განკუთვნილი 3-ათასლარიანი ჯილდოც ირგუნეს. კახელებს 2 000 ერგოთ, ბრინჯაოს მედლები და 500-500 ლარი კი შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის გუნდებს გადაეცათ. ტურნირის ყველაზე ტექნიკურ მონაწილედ თბილისელი **გიორგი გველესიანი** დასახელეს, ყველაზე ლამაზი გდებისთვის დაწესებული პრიზი სამეგრელო-ზემო სვანეთის გუნდის წევრ **ბექა ფალიანს** გადაეცა, **სიმონ მამარდაშვილმა** (კახეთი) კი ყველაზე სწრაფი გამარჯვებით დაამახსოვრა ყველას თავი.

ირაკლი თავაძე

● თავისუფალი ჭიდაობა. მეტოქე

ბუვაისას შემდეგ - ადამიც?

საიტიევები წყვილად ბრუნდებიან

უფროსი ძმის, თავისუფალ ჭიდაობაში სამგზის ოლიმპიური და ექვ-ექვსგზის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ **ბუვაისა საიტიევის** (74) კვალდაკვალ დიდ სპორტში დაბრუნება მისმა უმცროსმა ძმამ, ასევე ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ადამ საიტიევმაც** (84) გადაწყვიტა. ამის შესახებ ჟურნალისტებს კრასნოიარსკში უფროსმა საიტიევმა თავად განაცხადა, სადაც ამ უქმეებზე ჭაბუკთა შორის გამართულ საკუთარი სახელობის ტურნირზე ჩავიდა ხასავიურტიდან. მოგეხსენებათ, ჩეჩენი ძმები ახლა ხასავიურტში ცხოვრობენ და ლონდონის ოლიმპიადაზე მოსახვედრად ვარჯიშებიც იქვე განუახლებიათ. „ადამი ძალიან კარგ ფორმაშია და არაა გამორიცხული, ივან იარიგინის ტურნირზეც იჭიდაოს. მან ჩემზე ადრე დაიწყო ვარჯიში. ის ძალიან ორგანიზებულია, იცავს რეჟიმს, უნიკალური ადამიანია და ამ თვალსაზრისით მისთვის ადვილი იქნება დაბრუნება, თუმცა ზოგადად, ამხელა შესვენების შემდეგ ეს რთული საქმეა. მე მუდამ ინტერესით ვაკვირდები მის მზადებას, რადგან ერთ დარბაზში ვვარჯიშობთ, და ყოველთვის მომწონდა ის, როგორც სპორტსმენი“ - განუცხადა ბუვაისა საიტიევმა „სპორტ-ექსპრესს“.

ძმები საიტიევები და მწვრთნელი დიმიტრი მინდიაშვილი

33 წლის ადამ საიტიევი ოლიმპიური ჩემპიონობის გარდა, ევროპის სამგზის და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონიცაა, თუმცა ყოველთვის უფროსი ძმის ჩრდილში იდგა. ამის მიუხედავად, ისტორიაში მაინც ჩაეწერა - ტიტულები ხომ თავისთავადაა ამის წინაპირობა, მაგრამ ერთი ოჯახიდან ორი ოლიმპიური ჩემპიონიც ძალზე იშვიათი ამბავია მსოფლიოს სპორტში. მათი ოჯახური მიღწევა უფრო შთამბეჭდავი ხდება ბუვაისას მიღწევების ფონზე, რომელიც ოლიმპიადის სამჯერ მომგებ მოჭიდავეთა სამეულში შედის, ამ სამეულიდან კი ერთადერთი მოქმედი ფალავანია. რაც შეეხება ადამ საიტიევს, მან მოიგო სიდნეის ოლიმპიადა - ოთხიდან ერთადერთი თამაშები, რომელიც ბუვაისამ ჩააგდო, 2006 წლის შემდეგ კი, როცა ევროპის პირველობაზე გაიმარჯვა, დიდ შეჯიბრებებზე არც უჭიდავია.

84 და 74 საჯილდაო ქვა

ადამ საიტიევის დაბრუნება გეგმებს სერიოზულად უცვლის ბუვაისასაც, რომელიც ვარჯიშების განახლების შემდეგ სწორედ 84-ში გეგმავდა გადაბარგებას, ახლა კი ირკვევა, რომ ისევ 74-ში დარჩება. „სპორტს-ექსპრესი“ სახელოვან უფროს ძმას საკუთარ გეგმებზეც დაეკითხა და ამ კონტექსტში მან არა 84-ზე, არამედ 74-ზე ილაპარაკა. ყოველ შემთხვევაში, რუსეთის ოლიმპიურ გუნდში მოსახვედრად უმთავრეს კანდიდატად ოლიმპიური პრიზიორი, მსოფლიოს ორგზის და ევროპის ოთხგზის გამარჯვებული, დაღესტნელი ავარელი **მახაჩ მურთაზალიევი** დაასახელა და არა 84-ის რომელიმე ფალავანი. „ოლიმპიურ გუნდში მოსახვედრად ჩემი უმთავრესი კონკურენტი მახაჩ მურთაზალიევია, რომელთანაც ხალიჩაზე აუხსნელი დამრჩა ურთიერთობა. ის მსოფლიოს მძვინვარე ჩემპიონია, რომელსაც ზურგს უმაგრებს სერიოზული ხალხი, მთელი რესპუბლიკა. ძალიან ბევრს სურს, ის ოლიმპიურ გუნდში იხილოს და უნდა აღვნიშნო - საკმაოდ სწორადაც ამოძრავებთ საამისო სურვილი. მე ვიგრძენი წინააღმდეგობა, თუმცა ეს აზარტს მაძლევს და მზად ვარ ჯანსაღი ავანტიურისთვის“ - განაცხადა საიტიევმა, რითაც ხაზი გაუსვა რუსეთის მრავალეროვნულ ნაკრებში არსებულ ეროვნულ დაპირისპირებას. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე ამგვარ მომენტზე რუსეთიდან დაბრუნებული **გიორგი გოგშელიძეც** ლაპარაკობდა, ჩრდილოკავკასიელ სპორტსმენებს მთელი მათი რესპუბლიკები უმაგრებენ ზურგს და ყველაფერს აკეთებენ ნაკრებში თავიანთი ხალხის გასაყვანად, რადგან ეროვნული თვითმყოფადობის წარმოსაჩენად სხვა საშუალება თითქმის არ აქვთო. ეტყობა, მსგავსი მიდგომა შედარებით პატარა რესპუბლიკის - ჩეჩნეთის შვილმა საიტიევმა უკვე იგრძნო დაღესტნელებთან და ოსებთან ურთიერთობაში, თუმცა შეგახსენებთ, რომ მას ჩეჩნეთთან დიდი კავშირი არც აქვს - კარიერის უმეტესი წლები კრასნოიარსკში გაატარა **დიმიტრი მინდიაშვილთან** სავარჯიშოდ, ახლა კი ხასავიურტში ცხოვრობს, სამშობლოში იშვიათად ჩადის, თუმცა იქ მაინც ძალზე პოპულარულია. არადა, როგორც მისი სიტყვებიდან ირკვევა, დაბრუნებამდე ბუვაისა საიტიევი ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ **მარაფელ მარტინეტის**, რუსეთის სპორტის მინისტრ **ვიტალი მუტკოს**, ჭიდაობის იქაური ფედერაციის ხელმძღვანელობას შეხვედრია და მათგან სრული მორალური მხარდაჭერა მიუღია, თუმცა კარგად იცის იქაური ამბები და გარკვეული შიში მაინც რჩება.

რაო, ცარგუში მოიძულეს?

აქ ისიც ვთქვათ, რომ ბოლო წლებში მურთაზალიევიც ფრიად გაანწალა მუხლისა და მხრის ტრავმამ, თუმცა ახლა მკურნალობის კურსი უკან დარჩა და ისიც ინტენსიურად ემზადება. თუმცა დავუბრუნდეთ ისევ საიტიევს, რომელსაც საერთოდ არც უხსენებია კიდევ ერთი კონკურენტი, ევროპისა და მსოფლიოს ორ-ორგზის ჩემპიონი, აფხაზი **დენის ცარგუში**, ხოლო როცა ამის შესახებ ჟურნალისტმა შეახსენა, ცოტა არ იყოს, აგდებულად თქვა მასზე, ძალიან ცუდად გამოვიდა მსოფლიოს ჩემპიონატზე და ათეულშიც ვერ მოხვდაო. მოგვიანებით კორესპონდენტის კითხვის პასუხად ნათქვამს კი დაამატა, ეს ერთი წაგება მისი ჩამოწერის მიზეზი არ უნდა გახდესო, მაგრამ ისიც დასძინა, ნებისმიერ სპორტსმენს მოეძებნება შემცვლელიო. კაცმა რომ თქვას, ცარგუშისა და ბუვაისა საიტიევის შედარება უადგილოცაა - აფხაზი უფრო შრომით შექმნილი ვარსკვლავია, ხოლო ჩეჩენი ბუნებით დაჯილდოებული ტალანტია. აქ შეგვიძლია მინდიაშვილის ამასწინანდელი ინტერვიუც გავიხსენოთ, სადაც ცარგუშზეც სთხოვეს კომენტარის გაკეთება. სახელოვანმა მწვრთნელმა მისი დადებითი თვისებებიც ჩამოთვალა, მაგრამ მერე ასეთი რამეც განაცხადა, არიან სპორტსმენები, რომლებსაც წარმატება ახალი მიღწევებისთვის სტიმულს აძლევს, მაგრამ ზოგს „პიუნონური ჩვევებიც“ უვითარდება, ვარჯიშებს აცდენენ და ვეღარც შედეგებს აღწევენ, ჰოდა, ცარგუშსაც ასე დაემართაო. აქედან გამომდინარე, ნათელია, საიტიევთა სამწვრთნელო შტაბი ცარგუშზე როგორი აზრისაა.

...და ჩვენების გეგმები

ვფიქრობთ, ბუვაისა საიტიევის 74-ში დაბრუნება ჩვენთვისაც კარგია, რადგან მიგვაჩნია, ადამ საიტიევთან საბრძოლველად უკვე ლიცენზირებულ მსოფლიოს პრიზიორ **დავით მარსაგიშვილს** მეტი შანსი აქვს. თავის მხრივ, ასევე ლიცენზიამოპოვებულ მსოფლიოს კიდევ ერთ ბრინჯაოს მედალოსანს - **დავით ხუციშვილსაც** (74) უფრო წარმატებით შეუძლია ბუვაისა საიტიევთან გამკლავება, თუმცა ვისურვოთ, რომ ეს მართლაც უძლიერესი მოჭიდავე ვერ მოხვდეს რუსეთის ნაკრებში - ჩვენებურს მურთაზალიევთანაც და ცარგუშთანაც ბევრად მეტი შანსი აქვს, ვიდრე - უფროს საიტიევთან. დასასრულს, იმასაც შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს პირველობიდან მომავალი ბუვაისა საიტიევი რამდენიმე დღით საქართველოშიც შეჩერდა და სხვა ქართველ მოჭიდავეებთან ერთად ხუციშვილიც ძალიან აქო, უდავოდ ნიჭიერია, მაგრამ ტექნიკურად ცოტა უფრო უნდა მოუმატოს ჭიდაობასო.

ირაკლი თავაძე

● ქრონიკა

რამაზ ფალიანი

უმონაგრო მსოფლიო და თურქული შანსი

წლეულს მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატზე ქართველმა სპორტსმენებმა - **ზაალ კვაჭატაძემ** (69 კგ), **ჯაბა ხოსიტაშვილმა** (75 კგ) და **მიხეილ ბახტიძემ** (მძიმე) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ამგვარმა წარმატებამ დაგვაიმედა, რომ ბაქოს სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენი მოკრივეები ლონდონის ოლიმპიადის 3-4 საგზურს შესწვდებოდნენ. პირველი წრის შემდეგ თითქოს ყველაფერი აქეთკენ მიდიოდა, მაგრამ მე-2 წრეში სრული ფიასკო განვიცადეთ - ერთბაშად რვა ჩვენებური ჩამოშორდა კვარცხლბეკისაკენ მიმავალ ბილიკებს.

მაინც რა მოხდა ბაქოში?

გვესაუბრება საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **რამაზ ფალიანი**:

- მსოფლიოს ჩემპიონატისთვის იანვრიდან ინტენსიურად და მონდომებით ვემზადებოდით. რომ არაფერი ვთქვათ შინაურ ვარჯიშებზე, ხუთჯერ სხვადასხვა ქვეყნის მოკრივეებთან ერთობლივი საწვრთნელი შეკრებები გავმართეთ, იმავე ქვეყნებში საერთაშორისო ტურნირებშიც ვიასპარეზეთ, მედლებიც მოვიპოვეთ, ამდენად, თურქეთში კონტინენტის პირველობაზე მიღწეული წარმატებაც ლოგიკური იყო. ბაქოშიც ველოდით კარგ შედეგებს. მით უმეტეს, რომ განთესვამაც გაგვიმართლა - უძლიერესი საკრივო ქვეყნების წარმომადგენლები, ფაქტობრივად, პირველ-მეორე წრეში აგვცდნენ... ახალი დებულებით, ორი წრის გადალახვა, შესაძლოა, საკმარისიც ყოფილიყო ლონდონის საგზურის მოსაპოვებლად, რადგან მესამეში დამარცხების შემთხვევაში მძლეველი ფინალში თუ გავიდოდა, ლიცენზიას წაგებულიც გაინაღდებდა. სამწუხაროდ, კარგი შანსი გავუშვით ხელიდან.

ბაქოს რინგზე სტარტი ჩვენი გუნდის მხოლოდ ორი წევრისთვის გამოდგა უიღბლო. 56 კილოში გიორგი კილანავამ 24 წლის ავსტრალიელ ლუკ ბოიდთან 10:17 წააგო. არადა, მწვანე კონტინენტის წარმომადგენელს დღემდე არაფრით გამოუჩენია თავი. მართალია,

>> მე-11 გვერდზე

● ჩოგბურთი

ჩახნაშვილი პოზიციებს იბრუნებს



მაკა ჩახნაშვილი

გუშინ WTA-ის და ATP-ის ახალი რეიტინგლისტები გამოქვეყნდა. 21 წლის **ანა ტატიშვილმა** ერთი საფეხურით წაინია - მას 758 ქულა აქვს და მსოფლიოს 88-ე ჩოგანია. შეგახსენებთ, რომ ანა კარიერაში ყველაზე მაღლა ივლისის რეიტინგში იყო, როცა ის მსოფლიოს 82-ე ჩოგანი გახდა. წლის რბოლაში ჩვენი თანამემამულე 87-ე პოზიციაზეა, ხოლო წყვილთა რეიტინგში - მე-80-ზე. ტატიშვილმა წლეულს ტურნირებზე 174 ათასი დოლარი გამოიმუშავა, სულ, კარიერაში კი - 384 ათასი დოლარი.

უფრო შესამჩნევი წინსვლა აქვს **მაკა ჩახნაშვილს**, 28 წლის ქართველმა ერთ კვირაში 14 ადგილით წაინია და 359 ქულით მსოფლიოს 167-ე ჩოგანია. ბუნებრივია, ეს არ არის ჩვენი ყოფილი პირველი ჩოგნის საუკეთესო შედეგი კარიერაში (2007 წლის ივლისში 134-ე იყო), მაგრამ კარგია, რომ ბოლო სამი სეზონის ჩავარდნის შემდეგ მან ისევ შეძლო მეორე ასეულში დამკვიდრება. მაკამ წლეულს 35 ათასი დოლარი გამოიმუშავა, კარიერაში კი - 276 ათასი დოლარი.

ქალები

277 (-17) **სოფიო შაფათავა** - 190 ქულა; 304 (-48) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 164; 413 (+4) **ეკა გორგოძე** - 91; 460 (+32) **თათია მიქაძე** - 78; 467 (-27) **სოფიო ქვაცაბაია** - 77; 987 (+1) **ნათია გეგია** - 11; 1012 (დებიუტანტი) **ანი გოგვაძე** - 10; 1214 (-3) **მაგდა ოქრუაშვილი** - 3.

როგორც ხედავთ, სიახლე ისაა, რომ რეიტინგში 15 წლის ანი გოგვაძე მოხვდა. შესამჩნევია ტრავმირებული კალაშნიკოვას უკუსვლა და მიქაძის წინსვლა, გორგოძემ კი კარიერის მორიგ საუკეთესო ნიშნულს უწია.

ვაჟები

1 236 (+3) **გიორგი ცივაძე** - 3 ქულა; 1 343 (+1) **ლადო ჩიხლაძე** - 2; 1 856 (+8) **ალექსანდრე მეტრეველი** - 1.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ქართული სპორტი

კრივი

« მე-10 გვერდიდან

პეკინის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა, მაგრამ პირველსავე შეხვედრაში გამოეთიშა შეჯიბრებას. გიორგიმ პირველი რაუნდი კარგად წარმართა, თუმცა მერე მწვრთნელთა რჩევები არ გაითვალისწინა - ტემპში აჰყვა მეტოქეს და გულშემატკივრებში გადაინაცვლა.

გამოცდილი სპორტსმენია ნიკოლოზ იზორია, 2004 წლის ევროპის ვერცხლის პრიზიორი და ორი ოლიმპიადის მონაწილე. ბაქოში მისი გვეიმედებოდა, მაგრამ პირველსავე პაექრობაში 2008 წლის კონტინენტის პირველობის მეორეადგილოსან მიკლოშ ვარგასთან (უნგრეთი) ხელი მოეცარა. მოგეხსენებათ, ნიკამ მძიმე ტრავმა გადაიტანა. მას შემდეგ კიდევ თუ დაუბრუნდებოდა რინგს, არავის ეგონა. იზორიას მტკიცე ხასიათი აღმოაჩნდა. ვარჯიში განაახლა და წლეულს გაზაფხულზე ბაქოს საერთაშორისო ტურნირის მედალიც მოიპოვა. მსოფლიოს ჩემპიონატზე მარცხის შემდეგ ნიკამ გვითხრა, რომ აქტიურ სპორტს თავს ანებებს და მწვრთნელობას დაიწყებს - თანაქალაქელ თემურ ოჩიგავას დაუდგება გვერდით. მის მდიდარ გამოცდილებას ნაკრების წევრთა დასაოსტატებლადაც გამოვიყენებთ - საწვრთნელი შეკრებებისას ჩვენთან ერთად იქნება.

აზერბაიჯანის დედაქალაქში დასანანი მარცხი განიცადა კობა ფხაკაძემ (64 კგ). ორი წლის წინათ მილანის მსოფლიოს ჩემპიონატზე უფრო მჩატე წონაში მან მესამე ადგილი დაიკავა. ახლაც მედალს ველოდით მისგან. პირველ წრეში დიდი სხვაობით (29:5) სძლია განელ მეტოქეს და აზერბაიჯანელ გეიბათულა გაჯიალიევს დაუპირისპირდა. პირველი რაუნდი ჩვენებურის უპირატესობით ნარიმართა. მეორეში მასპინძელმა სიმწრისგან თავი დაარტყა სახეში. ფხაკაძე იატაკზე აღმოჩნდა. რეფერის 10 დათვლამდე რომ არ წამომდგარიყო, აზერბაიჯანელს დისკვალიფიკაციას მისცემდნენ და კობაც მე-3 წრეში გავიდოდა, მაგრამ იგი ვაუკაცი ბიჭია და ამ გზით არ ისურვა შეჯიბრებაზე ნინსვლა. ორთაბრძოლის განახლების შემდეგ ფხაკაძემ ბოლომდე ვერ შეძლო საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა და ორი ქულით დამარცხდა.

- მესმის, რომ ჩვენი მოკრივეების ფიასკოში ობიექტური მიზეზებიცაა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ „ვარსკვლავომანიამაც“ ხომ არ იჩინა თავი?

- არც უმაგისობაა. ევროპის პრიზიორობამ არა მარტო მედალოსნებს, არამედ ნაკრების სხვა წევრებსაც ცუდი სამსახური გაუწია, არადა, პირიქით უნდა ყოფილიყო. ბიჭებმა ზედმეტად ირწმუნეს საკუთარი ძალები, თანაც პირველი ბარიერის იოლად გადალახვამ გაათამამა ისინი. ახლა კი გრძნობენ საკუთარ შეცდომებს, მაგრამ...

- მატარებელი უკვე ჩავლილია.

- ყოველივეს მიუხედავად, ლონდონის ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსი ჯერ არ დაგვიკარგავს. როგორც გითხარით, ბიჭები, ასე ვთქვათ, მიწაზე დაეშვნენ. მწვრთნელებთან ერთად ბაქოში დაშვებულ შეცდომებს გავაანალიზებთ, დავსახავთ გზებს მათ გამოსასწორებლად. აპრილში თურქეთი სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს და იქ ვეცდებით საგზურების მოპოვებას.

- ჰო, მაგრამ თურქებს ჯერჯერობით არც ერთი ლიცენზია არ აუღიათ და თავიანთი ქვეყნიდან რას გამოგვატანენ, თანაც იქ საგზურები მხოლოდ გამარჯვებულებებს თუ შეხვდება.

- როგორც ვიცი, 91 კილოსა და მძიმე წონაში ერგებათ ლიცენზიები მხოლოდ ტურნირის ჩემპიონებს, დანარჩენ წონებში კი მსგავსი ბედნიერება ფინალისტების ხვედრი იქნება. ჩვენი ფედერაციის გენერალური მდივანი ვლადიმერ ახალკაცი, რომელიც მთელი მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში გვერდიდან არ მოგვცილებია და ბევრი კარგი საქმე გაგვიკეთა, ამჟამად ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირზეა დელეგატად მიწვეული და კრივის მსოფლიო ფედერაციის მესვეურებთან გაარკვევს, თუ როგორ განაწილდება 2012 წლის თამაშების დარჩენილი საგზურები.

- ნაკრებში ცვლილებები თუ იგეგმება?

- აუცილებლად. როგორც გითხარით, ნიკოლოზ იზორიას აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ 60 კილოში ადგილი ვაკანტური გახდა. ჯერჯერობით გიორგი კილანავას ვარჯიში არ განუახლებია და არც ის ვიცი, რას აპირებს სამომავლოდ. ნოემბრის მეორე დეკადაში მოკრივეთა ეროვნული ჩემპიონატი გაიმართება. ყველა უძლიერესი სპორტსმენი ჩაებმება ამ შეჯიბრებაში ნაკრებში ადგილის დასაბეჭდად. ბევრ წონაში კონკურენცია გაიზარდა, პერსპექტიული ახალგაზრდები გამოჩნდნენ. ეროვნული გუნდის კარი კი ყველასთვის ღიაა, რადგან იქ დაჯავშნილი ადგილები არავის აქვს. იანვრიდან საწვრთნელ შეკრებებს გავივლით, ორ საერთაშორისო ტურნირშიც გამოვცდით ნაკრების წევრებს და მხოლოდ საუკეთესოებს წავიყვანთ თურქეთის სალიცენზიო ტურნირში საასპარეზოდ.

ბაქოში ყოველმხრივ შეგვიწყო ხელი ოლიმპიური ნაკრების ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა, რომლის მადლიერები ვართ. იგი შეგვპირდა, რომ ჩვენს ბიჭებთან მეტი კონტაქტი ექნება, იზრუნებს მათს ჯანმრთელობაზე, რაც სამომავლოდ დიდად დაგვეხმარება.

ვაჟა დანელია

ავტორის ფოტო

ფიგურული ციგურაობა

აბა, პირველ დღეს რა დაემართა?

21 წლის **ელენე გედევანიშვილმა** ISU-ს გრან პრის მეორე ეტაპზე იასპარეზა. ქართველისთვის პირველი სერიოზული სტარტი სეზონში ვერ გამოდგა წარმატებული - ონტარიოში, „სკეიტ ამერიკაზე“ ელენემ 10 მონაწილეს შორის მე-7 ადგილი დაიკავა. არადა, რომ არა ჩავარდნა მოკლე პროგრამაში, მას მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შეეძლო.

პირველი დღის შემდეგ ქართველი მოციგურავე უკანასკნელ ადგილზე იყო, ლიდერებს გვარიანად ჩამორჩებოდა და წინსვლის პერსპექტივაც არ ჰქონდა, თუმცა თავისუფალი პროგრამა ჩვენებურმა ჩინებულად შეასრულა - 97,61 ქულა დაიმსახურა. ეს მესამე შედეგი იყო დისციპლინაში, მასზე უკეთ მხოლოდ ამერიკელმა **ალისა შჩისნიმ** და იტალიელმა **კაროლინა კოსტნერმა** ისრიალეს. საბოლოოდ, „სკეიტ ამერიკა“ შჩისნიმ მოიგო 177,48 ქულით, კოსტნერი მეორე ადგილზე გავიდა (177,35 ქულა). პოდიუმს შესწდა შვედი **ვიქტორია ჰელგესონიც** (145,75). ქართველმა სპორტსმენმა 140,12 ქულა მოაგროვა. ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა, გედევანიშვილს იაპონელმა **ჰარუკა იმაიმ**, რუსმა **ქსენია მაკაროვამ** და ამერიკელმა **კაროლინ ჟანგმა** გაუსწრეს. ქართველმა მხოლოდ ამერიკელი **ჟოელ ფორტე**, იტალიელი **ვალენტინა მარკეი** და შვედი **იოში ჰელგესონი** ჩამოიტოვა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

თვვგადასვლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტერანი კალათბურთელი პაატა გურასპაული

დაბადების დღე

1981 წელს მე და ბესიკ ლიპარტელიანი სსრკ ახალგაზრდულ ნაკრებში გამოგვიძახეს. კანდიდატებს არჩევდნენ.

ტალინში ჩვენთვის განკუთვნილ სასტუმროში მოგვათავსეს. მაშინ ასე იყო - ერთი რიგითი კალათბურთელი, რომელიც იმ დღეს მორიგეობდა, ვალდებული იყო თვალი ედევნებინა ყველასთვის და ყველაფრისათვის. მას უნდა უზრუნველეყო დისციპლინა, დროზე გაღვიძება, დროზე ძილი, სადილი და ა.შ. ასევე ევალებოდა სისუფთავის დაცვა შენობაში. კედელზე ჩამოკიდებულ სპეციალურ დაფაზე თავში იწერებოდა მორიგის გვარი და სახელი.

3 თებერვლის დილა გათენდა. სამი თებერვალი ჩემი დაბადების დღეა და წინა ღამიდანვე თადარიგი დავიჭირე, რომ როგორმე ჩუმად მაინც აღმენიშნა მეგობრებთან ერთად თუნდაც „ორიოდ ჭიქით“, მაგრამ „კაცი ბჭობდა - ღმერთი იცინოდაო“. ავხედე დილით სტენდს და... „მორიგეს“ გასწვრივ მსხვილი ასოებით წერია - პაატა გურასპაული.

შემომეყარა გულზე. ეს მინდა ახლა?! წელიწადში ერთხელ მაქვს დაბადების დღე და ისიც მორიგეობაში უნდა გავატარო?! ჩემს სიცოცხლეში პირველად გამიფუჭდა ხასიათი დაბადების დღეზე.

„ოხ, მე ამის დამწერის!!! ოხ, ამ გრაფიკის შემდგენლის!!!“ - ვიგინები გულში და ვილანძღები ხმამაღლა.

ღმერთმა სულ არ გამწირა, ჩემთან ერთად მორიგეობა (ალბათ არ მენდობოდნენ) „მიუსჯიათ“ ცნობილი კალათბურთელი ხოსე ბირიუკოვისთვის.

როგორც იქნა, ბედს შევურიგდი და ლანძღვა-გინებას მოვრჩი, რომ დერეფანში ატყდა ხმაური. ეს - ხოსე ბირიუკოვი იგინება და ილანძღება სუფთა რუსულით.

- ჩტო სტაბოი, ხოსე? - ვეკითხები.

- კაკ ჩტო! - ჭკუაზე არაა საწყალი - სევოდნია ია დოლჟენ დეჟურიტ! სვოლოჩი!!

- ნუ ი ჩტო?

- კაკ ნუ ი ჩტო, დიავოლ... სევოდნია მაია დენ რაჟდენია! სვოლოჩი, ნუ!

ამიტყდა ხარხარი.

საღამოს თბილისიდან ხორაგი ჩამოვიიდაააა... ჩიტის რძე არ აკლია. შამპანურ-კონიაკებიც არ დავიწყებიათ ჩემებს. ხაჭაპურები ჯერ კიდევ თბილი იყო და მაგის ჩიტები ვიყავით სწორედ, მორიგეობისთვის შეგვეწირა თავი. იმ საღამოს გავიგე, რომ ხოსე და მე თურმე ერთად და იმავე წელს, დღეს, საღამოს 8 საათზე ვყოფილვართ დაბადებულები. რაღა ბევრი გავაგრძელო და იმ საღამოს გვარიანად მოვულხინეთ. იმდენად „გვარიანად“, რომ მწვრთნელებიც გავიყვანეთ „საქმეში“, რომლებმაც სუფრაზე გაგვიმხილეს, თურმე სპეციალურად მოუწყვიათ ეს ამბავი, რომ დისციპლინა არ დაგვერღვია. ჩვენი საბუთები ხომ მათ ხელში იყო და იცოდნენ თარიღები. არა და, მათი ეშმაკობა ქართველზე და ნახევრად ესპანელზე გაჭრიდა? (ხოსეს დედა ჰყავდა ესპანელი).

ასე მოვილიე ერთ დღეს დაბადების დღეც და მორიგეობაც.

თქვენი ვარ, თქვენი, ქართველებოოო!!!

1981 წელია. თბილისში ტარდება გაგარინის სახელობის ტურნირი კალათბურთში, იმ დღეს სსრკ ახალგაზრდული ნაკრები თბილისის „დინამოს“ ხვდება. მე სსრკ-ს ახალგაზრდული ნაკრების გუნდში ვირიცხები. როგორი საქმეა, შენი გუნდის წინააღმდეგ ითამაშო. რა ვქნა აღარ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე. თამაშზე უარს ვერ ვიტყვი, შეიძლება გამრიცხონ... შეიძლება კი არა - გამრიცხავენ. არადა, ჩვენს კალათში ბურთი როგორ ჩავაგდო? არ ჩავაგდებ და სიმულიანტად მომნათლავენ, ჩავაგდო და... და აქ გამახსენდა ერთი ინციდენტი, რომელიც ამ ამბამდე ორი წლით ადრე „დინამოს“ სტადიონზე მოხდა.

საფეხბურთო „დინამო“ ჩვენსავე სტადიონზე ხვდება სსრკ ნაკრებს, რომელშიც ერთი ჩვენი თანამემამულე, ცნობილი ფეხბურთელი (გვარს შეგნებულად არ ვამხელ) თამაშობდა. თავდამსხმელი იყო და მოგეხსენებათ თავდამსხმელის ფუნქცია გოლის გატანაა...

დაიწყო თამაში და თითქოს ჯინაზეო, ამარაგებენ და ამარაგებენ პასებით ნაკრების წევრები ამ ჩვენს ქართველ თავდამსხმელს. შავ დღეშია... აღარ იცის, როგორ მოიქცეს... ხან ვითომ ბურთი „გაექცა“, ხან ვითომ ფეხებში „გაებლანდა“. ცოდვილობს და ცოდვილობს. ზემოთაც აღვნიშნე - სწორუპოვარი ბომბარდირი გახლდათ, აბა ნაკრებში ისე ვინ მიიწვევდა და ლოგიკურია მისგან გოლს ნაკრების მამები საკუთარი გუნდის კარში ითხოვენ. ამაზე დიდი სასჯელი სპორტსმენისთვის არ არსებობს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რა „მომთხოვნია“ ქართველი მაყურებელი.

მოკლედ, ეს სიტუაციაა და კიდევ მიაწოდეს ამ „ჩვენსას“ ბურთი, ესეც ახტა და „ვერ შეწვდა“. ისმის ქართველი მაყურებლის „სამადლობელი და საქებარი ყიჟინა - ყოჩაღ! ყოჩაღ ქართველო! მაგრამ შესვენებაზე ნაკრების მწვრთნელმა თითი დაუქნია - ნუ სიმულიანტობ, თორემ კარიერას დაემშვიდობებიო.

ჩაყოლას რომ ჩათრევა ჯობია - იცით. ეს ჩვენიც ათამაშდა მეორე ტაიმში, მაგრამ კართან მისულმა ისევ „გამაზა“ ვითომ. რას იზამ? ძნელია „მამლუქობა“. ერთი ისეთი პასი მიიღო, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და მოწყენილად გაგზავნა ბურთი ჩვენი „დინამოს“ კარის ბადეში.

პროფესიული ჩვევაა (ინსტინქტი) და გოლის გამტანი ტრადიციულად შეხტა და მარჯვენა ხელი მაღლა შესტყორცნა. ისევე ერთდროულად შემოეხვივნენ ნაკრების წევრები.

მოულოდნელობისგან წამით გარინდული „დინამოს“ სტადიონი ერთბაშად გაიბერა, გაფართოვდა.

აიფოფრა და „ცუნამიც“ წამოვიდა:

- ოოხ, მე შენიიი!

- ოხ, მე შენი ქართველობააა!

- ოხ, შე გამყიდველოოო! იუდაააა!

...და აი, ამ მდგომარეობაში ვიყავი მე იმ დღეს და მწვრთნელებს ყელგამოწელვით შევეხვიწე - პირველ ხუთეულში ნუ შემიშვებთ მოედანზე-მეთქი, რაც ნაწილობრივად შემისრულეს კიდევაც. მაგრამ მოედანზე მაინც გამოვჩნდი. ვერ აგიწერთ, რა მძიმე წუთები და წამები გადავიტანე. ეს ის პროცესია, წამი რომ საათად გეჩვენება. ბედის დაცინვას რა ვუთხარი. თამაშის ბოლო წუთზე ერთი ქულით ვაგებთ (სსრ ნაკრები), გულში მიხარია, რომ მაყურებლის რისხვა ამცდა და ვიღაც რუსმა ალალბედზე ნასროლი ბურთი სულ ბოლო წამზე არ ჩასვა თბილისის „დინამოს“ კალათში. თამაშიც დამთავრდა და წავაგეთ... ერთი... ერთი ქულით (ქართველებმა).

აღარ ვიცი, რა ვქნა... როგორ მოვიქცე... გამიხარდეს თუ მეწყინოს? აღარ ვიცი რა ვქნა, ვიცი ერთი, რომ მაყურებელი მე მიყურებს. ესაა ტანჯვა, ითამაშო შენი გუნდის წინააღმდეგ, რა მექნა? თავი ჩავლუნე, ორივე ხელი თავს ზემოთ აღვმართე და ვუკრავ ტაშს, თან გასახდელისკენ მივიპარები. ტაში ჩვენს მაყურებელს ეკუთვნოდა, თუმცა ვინ გაიგებს? ტაში ყველამ თანაბრად გაინაწილა...

ჯარიმა

საქართველოში რომ არეულობა იყო, ის პერიოდია.

სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი ჩამაბარეს (რომელიც მაშინ სადღაც „ჭ“ ჯგუფში იყო), ამოსწიე და უმაღლეს ლიგაში გაიყვანეო. მოთამაშე მწვრთნელი ვარ.

როგორი საქმეა? გუნდი ძლივს იბერავს სულს. არავითარი შანსი არაა. არ მინდა ტრაბახში ჩამეთვალოს, მაგრამ მაგრად მოვინდომე, რაა მერე? მოინდომე და იყავი, მარტო ენთუზიაზმი გიშველის? მაგრამ ბრძოლას აზრი ყოველთვის აქვს. ნელ-ნელა მონდომებით და თავდადებით გუნდი „ამოიქაჩა“. თუმცა ისე ვერა, რომ მტერს თვალი დაუყენოს.

ერთი გადამწყვეტი, ძალიან მნიშვნელოვანი გასვლითი მატჩია დაგეგმილი სოხუმის უძლიერეს სუბტროპიკული ინსტიტუტის გუნდთან.



პაატა გურასპაული

მიკიბ-მოკიბვის კაცი არ ვარ; შევედი სასოფლო ინსტიტუტის მაშინდელ რექტორთან, რომელიც სპორტის ამ სახეობის თავგადამკვდარი ქომაგი იყო და ვეუბნები:

- ბატონო ოთარ - ამ გაჭირვებულ პერიოდში, ზედმეტი ფული რატომ უნდა დახარჯოთ, მაინც წავაგებთ სოხუმში და ნუ წავალთ. ზედმეტი ხარჯია-მეთქი.

- რას ამბობ! - წახვალთ, წახვალთ და მოიგებთ კიდევაც. უფროსთან კამათი წყლის ნაყვაა და წავედით მატარებლით.

რა დასამალია და ხელჩაქნეულმა იმ ღამეს (ნაცნობებს გადავეყარე) მაგრად შევუბერე არაყ-კონიაკი კუპეში.

დილით სოხუმში ვართ. მატჩი საღამოს 8 საათზეა. „პახმელიაზე“ იქაური მეგობრის ოჯახშიც დავამატე იმ აზრით, რომ მატჩის დაწყებამდე იქვე გამოვიძინებდი. ეძინა ეშმაკს? არა! დამირეკეს, რომ მატჩი რვის მაგივრად... 2 საათზე გადმოიტანესო.

ვაი შენს პაატას?..

სხვა რა გზა იყო და გავედით სათამაშოდ. არ ვიცი, რა ძალა მომეცა, ან რა ბედი მმართავდა. ერთი კი ვიცი, რომ ზებუნებრივი ძალა მეხმარებოდა. ის გაბრუებული კაცი საკმაოდ კონცენტრირებულად ვთამაშობდი. მოკლედ, რომელ პოზიციაშიც მივიღებდი ბურთს - დაუყოვნებლივ ვგზავნიდი კალათში თან ზუსტად... ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. მგონი 65 ქულა მივითვალე და ახდა რექტორის სიტყვა.. მოვიგეთ!

გახარებულმა დამიბარა კაბინეტში. მგონია, რომ ახლა შემაქებს, შემამკობს...

- დღეიდან! - მეუბნება მკაცრად (არადა, იმ წელს მის ინსტიტუტს ვამთავრებდი) შენ უფლება გაქვს ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სიტუაციაში შემოხვიდე ჩემს კაბინეტში, მთხოვო რაც გინდა, ოღონდ ორი წელი დიპლომს ვერ მიიღებ. გუნდს ვერ მოცილდებიო.

ასე „დავჯარიმდი“ კეთილი საქმისთვის! ზუსტად ორ წელიწადში მომცა დიპლომი.

მურმან მერკვილიშვილი

ჰანდბური

● ქართული ლეგიონი იტალიაში

კანჯუმ გონდოლა ჩაძირა და ერთპიროვნულად გალიდერდა

იტალიის პირველობაზე მესამე ტურში სენსაცია დაფიქსირდა - მოქმედმა ჩემპიონმა „მონტეპასკიმ“ შინ „კასერტასთან“ 65:69 დათმო, რის შედეგადაც სატურნირო ცხრილში ერთპიროვნული ლიდერობა დაუთმო „კანტუს“. ამ გუნდში ორი ქართველი ირიცხება **მანუჩარ მარკოიშვილი** და **გიორგი შერმადინი**. კანტუელებს სამივე მეტჩი მოგებული აქვთ.

ვიქტორ სანიკიძის „ვირტუსმა“ ვერაფერი გაიწყო მილანში „არმანისთან“, თუმცა დასამშვიდებლად ისიც კმარა, რომ ვიქტორმა მილანელებს დიდი წინაალმდეგობა გაუწია. სადღეისოდ ბოლონიელებს სამი მატჩიდან ორი წაგებული აქვთ.

„კანტუს“ მსგავსად სტუმრად მოიგო **ნიკა მეტრეველის** „დინამო სისარიმ“ და სატურნირო ცხრილში „მონტეპასკის“ გაუთანაბრდა - 2 გამარჯვება, 1 წაგება.

მილანი-ვირტუსი 79:64

ვიქტორ სანიკიძე (ვირტუსი): 29 წუთი, 10 ქულა, 6 მოხსნა, 3 პასი.

მიმდინარე სეზონის წინ მილანის „არმანი“ სერიოზულად გაძლიერდა. ამის დასტურად რამდენიმე ახალწვეულის გვარიც საკმარისი იქნება: **ომარ კუკი, იოანის ბურუსისი, დრიუ ნიკოლასი, ანტონის ფოცისი, დანილო გალინარი...** მთავარ მწვრთნელად კი ესპანეთის ნაკრების თავკაცი **სერხიო სკარიოლო** მოგვევლინა.

„ვირტუსის“ ხელმძღვანელობამ კი ხან **მანუ ჯინობილი** „ჩამოიყვანა“, ხან - **კობი ბრაიანტი**, მაგრამ საბოლოოდ ერთიც ვერ დაიმატა. თუმცა, **მაკინტაირითა** და **დაგლას-რობერტსით** გუნდი მაინც გააძლიერა.

ასე და ამგვარად, მატჩის დაწყებამდე „არმანი“ ფავორიტი იყო, თუმცა ეს სტატუსი პირველ ტაიმში ვერ გაამართლა, მესამე პერიოდში კი ბოლონიელებს 29:14 მოუგო და თამაშის ბედიც გადაწყვიტა.

„ვირტუსის“ შემადგენლობაში ქულათა მონაგარი ორნიშნა რიცხვით სამმა კალათბურთელმა შეივსო - ვიქტორ სანიკიძემ (10), **ჯუზეპე პოეტამა** და **პეტრი კოპონენმა**. ვიქტორმა 6 ორქულიანი და 4 სამიანი ისროლა, რომელთაგან 2-2 გამოიყენა.

მატჩის ბომბარდირიც ვერ დაიკვეხნის ქულათა სიუხვით - მილანელმა **ფოცისმა** 15 ქულა ჩააგდო.





იტალიელმა ჟურნალისტმა **ლორენცო პალოტიმ** ყველაზე მაღალი შეფასება ომარ კუკს დაუწერა - 8, „ვირტუსიდან“ კი პოეტა გამოარჩია - 7. მას ნახევარი ბალით ორი კალათბურთელი ჩამორჩა: სანიკიძე და კოპონენი (6.5). აი, როგორ დაახასიათა პალოტიმ ქართველი კალათბურთელი: *„სანიკიძემ მეტოქეს თავისი გაბედული შეტევებით დიდი თავსატეხი გაუჩინა. განსაკუთრებით ეფექტური პირველ ტაიმში იყო - საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობები კარგად გამოამჟღავნა. იგი ბოლონიელებს ეხმარებოდა როგორც პერიმეტრიდან ტყორცნებით, ასევე მოხსნებითა და პასებით.“*

30 ოქტომბერს „ვირტუსი“ უმასპინძლებს „კრემონას“, რომელსაც ნიკა მეტრეველისა და მარკოიშვილი-შერმადინის გუნდებმა უკვე მოუგეს.

ვენეცია-კანტუ 76:80

მანუჩარ მარკოიშვილი (კანტუ): 8 წუთი, 6 ქულა.

გიორგი შერმადინი (კანტუ): 9 წუთი, 9 ქულა, 4 მოხსნა, 1 დაფარება.

მანუმ და გიორგიმ ჩრდილოეთიდან სამხრეთში, ქალაქ ვენეციაში „შეცურეს“. მათ ლიგის დებიუტანტ „უმანასათან“ გამარჯვება ჰქონდათ დაგეგმილი, თუმცა მოვლენები ისე არ განვითარდა, როგორც ჩრდილოელებს სურდათ.

მატჩის დასრულებამდე 8 წუთით ადრე „კანტუმ“ **მიკოვის** სამქულიანის შედეგად 7-ქულიანი ფორა მოიპოვა (67:60), თუმცა მალევე გაანიავა - **შევჩიკმა** და **ბოუერსმა** ორ-ორი სამქულიანი ჩააგდეს და ვენეციელები 76:73 დაანინაურეს. ეს სირენამდე წუთით ადრე მოხდა. კანტუელთათვის საბედნიეროდ ბოლო წუთზე „უმანას“ კალათბურთელებს მიზანი მოეშალათ, თავად კი ერთმანეთის მიყოლებით 7 ქულა მიითვალეს და 80:76 გაიმარჯვეს.

ბოლო პერიოდში შერმადინმა 2 წუთი ითამაშა, მარკოიშვილი კი 25-ე წუთის შემდეგ მოედანზე არ გამოჩენილა. მან მოედანზე 8 წუთი გაატარა. შერმადინმა - ერთით მეტი. მანუჩარმა და გიორგიმ ორქულიანები ასპროცენტიანი სიზუსტით ისროლეს (პირველმა 2-დან 2, მეორემ 3-დან 3), ხოლო მათ მიერ შესრულებული 6 საჯარიმოდან მხოლოდ ერთი ასცდა მიზანს.

საინტერესოა, რომ ექსბარსელონელ **ჯანლუკა ბაზილეს** ერთი ორქულიანიც არ უსვრია, მაგრამ მაინც მატჩის გმირი გახდა - 19 ქულა ჩააგდო (7-დან 4 სამქულიანი, 8-დან 7 საჯარიმო).

„კანტუ“ 30 ოქტომბერს „სკავოლინის“ მიიღებს, მანამდე კი, ევროლიგაზე ესპანეთს ეწვევა და „კახა ლაბორალთან“ ითამაშებს (26-ში).

კრემონა-სისარი 89:92

ნიკა მეტრეველი (სისარი): 10 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა.

კრემონაში 10 წუთი ითამაშა **ნიკა მეტრეველმა.** მწვრთნელმა ეს დრო ოთხივე პერიოდზე გადაუნაწილა. მთავარი ამბები კი ბოლო რაუნდში მოხდა. მეტრეველის „სისარიმ“ 34-ე წუთისთვის 7-ქულიანი ფორა დაიბევა, მაგრამ მისი შენარჩუნება ვერ შეძლო და ბოლო წუთზე „კრემონამ“ სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა (89:90). გადამწყვეტი აღმოჩნდა სტუმარი **ტრევის დიენერის** საჯარიმო ტყორცნები, რომლის დროსაც მწვრთნელმა მოედანზე მეტრეველი შეიყვანა, რათა აცილების შემთხვევაში ქართველს მოხსნისთვის ებრძოლა. თუმცა ორივე სროლის შედეგად ბურთი მიზანში მოხვდა - 92:89 „სისარის“ სასარგებლოდ.

ტრევისის ძმამ, **დრეიკ დიენერმა** 23 ქულა ჩააგდო და მატჩის ბომბარდირი გახდა, ხოლო საქართველოს ნაკრების ყოფილმა კალათბურთელმა **ქუინტონ ჰოსლიმ** „დინამო სისარის“ 20 ქულა შეაწია.

სისარელები მომდევნო ტურში, 30 ოქტომბერს „მილანს“ მიიღებენ.

● ქართველი თურქეთში

სასტარტო და ბრავმა...

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა **ზაზა ფაჩულიამ** „გალათასარაის“ მაისურით „ბანვიტთან“ საშინაო მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო, თუმცა სამ წუთში მწვრთნელმა მოედნიდან გაიყვანა და მას მერე მოედანზე აღარ გამოჩენილა. როგორც თურქული საიტები იუწყებიან, ამის მიზეზი ტრავმაა. თუმცა, რამდენად სერიოზულია, ამაზე არაფერია ნათქვამი. იმედი დავიტოვოთ, რომ ზაზა ფეხს მალე მოიშუშებს და 27 ოქტომბერს „გალათასარაის“ ევროლიგის მატჩში (რუსულ „უნიქსთან“) დაეხმარება.

მასპინძლებმა „ბანვიტთან“ მატში თავიდანვე ხელთ იგდეს სადავეები და შეხვედრა მშვიდად მიიყვანეს გამარჯვებამდე - 84:73. „გალათასარაის“ შემადგენლობაში 10-ქულიანი ბარიერი მხოლოდ **ჯოშუა შიპმა** გადალახა - 22 ქულა მოაგროვა.

ზაზა ფაჩულიამ 3 წუთში ერთი ორქულიანი ისროლა (არაზუსტად) და მატჩი 1 შედეგიანი გადაცემით დაასრულა.

● ესპანეთი

მესამე მეოთხეში

იბერიის ნახევარკუნძულზე წარუმატებელად დაიწყო ჩემპიონატი **ტორინ გრინისა** და **მარკიზ ჰეინსის** „გრან კანარიამ“, რომელმაც მეოთხე ტურში მესამე მატჩი წააგო.

ამჯერად კანარელები „მანრესას“ სტუმრობდნენ და 9 ქულის სხვაობით დათმეს - 60:69.

ჰეინსი სასტარტო ხუთეულში იყო, 20 წუთში 5 ქულა და 3 პასი მოაგროვა. გრინმა მატჩი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო, 10 წუთში სამი სამქულიანი ისროლა და მიზანში ერთიც ვერ მოარტყა. მის აქტივში 1 პასია.

მომდევნო ტურში, 30 ოქტომბერს „გრან კანარია“ მადრიდის „რეალს“ დაუხვდება.

● ქართველები კვიპროსში

ბესიკ ლეჟავა: ჩემპიონობისთვის...

გასულ უქმეებზე სტარტი აიღო კვიპროსის ჩემპიონატმა, რომელიც ამერიკელი კალათბურთელებითაა დახუნძლული. ოკეანის გაღმელებთან შედარებით ქართველთა რიცხვი უმნიშვნელოა, მაგრამ მთავარია, რომ ისინი თამაშობენ. პირველ ტურში **ბესიკ ლეჟავას** „აპოლონმა“ სტუმრად „კერავნოსთან“ ბოლოს დათმო...

- მართალია, პირველი პერიოდი წავაგეთ, მაგრამ მეორესა და მესამეში დამაჯერებლად ვითამაშეთ და სიტუაციასაც ვაკონტროლებდით. თუმცა ბოლო წუთებზე უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოვახერხეთ, სროლა არ წაგვივიდა და 78:89 დავმარცხდით, - გვითხრა ლეჟავამ, რომელმაც კვიპროსის პირველობა 6 ქულით, 4 მოხსნითა და 3 პასით გახსნა.

- ამხანაგურ მატჩებშიც და ოფიციალურშიც ძირითადად მსროლელის პოზიციაზე მიწევს თამაში, ზოგჯერ მესამე ნომრადაც, რადგან ამ ამპლუის ამერიკელი კალათბურთელი ტრავმირებულია. მეორე ნომრად ერთმანეთს მე და კვიპროსელი პანტურისი ვცვლით.

„კერავნოსი“ კვიპროსის ლიგის ერთ-ერთი გამორჩეული გუნდია. რადგან „აპოლონი“ სტუმრად მის დამარცხებასთან ახლოს იყო, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს გუნდიც სერიოზულ მიზნებს ისახავს. ვარაუდი ბესიკ ლეჟავასთან გადავამოწმოთ:

- გასულ სეზონში „აპოლონი“ მეოთხედფინალში დამარცხდა. მას მერე ხელმძღვანელობამ შემადგენლობა საგრძნობლად გააძლიერა. თავად განსაჯეთ - გუნდში 10 ლეგიონერი ვართ. მიზნებიც გაიზარდა, კვიპროსის ჩემპიონობისთვის ვიბრძვით. თუმცა ამის მიღწევა რთული იქნება, რადგან კუნძულზე ბევრი ძლიერი კლუბია.

მათ შორისაა „აპოელი“, რომელთანაც **ნიკა ჩხატარაშვილის** ენად-მა სტუმრად 17-ქულიანი სხვაობით ნააგო - 76:93. ქართველმა ფორვარდმა მატჩი 5 ქულით დაასრულა. სამწუხაროდ, კვიპროსში საკალათბურთო საიტები არცთუ გამართულად მუშაობენ და სრული სტატისტიკის მოპოვება ვერ ხერხდება.

მეორე ტურში (28 ოქტომბერს) „აპოლონი“ ისვენებს, ხოლო ენადი ჩემპიონეთა-ს უმასპინძლებს.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

ორი ქართული ლელო საფრანგეთში

ბურთით ვასილ კაკოვინი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მე-8 ტურის შეხვედრები გაიმართა, რომლის შემდეგაც მოწინავე, საპლეიოფო ექვსეულში ქართველ მორაგბეთა ხუთი გუნდია, „კლერმონსა“ და „კასტრს“ 30-30 ქულა აქვთ და პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ, მათ ოდნავ ჩამორჩებიან, „ტულონი“, „აჟენი“ და „ბრივი“.

გასული უქმეები საფრანგეთის ჩემპიონატში იმითაც იყო გამორჩეული, რომ პირველ და მეორე დივიზიონების გათამაშებაში თითო ქართული ლელო შედგა. ელიტაში თავი „მონპელიეს“ მესამეხაზელმა **მამუკა გორგოძემ** გამოიჩინა, ხოლო მეორე დივიზიონში ლელო „ორიაკის“ მეორეხაზელმა **ლევან დათუნაშვილმა** მიითვალა.

მერვე ტურის პირველი მატჩი პერპინიანში გაიმართა, სადაც ადგილობრივი გუნდი **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს“ დაუპირისპირდა. „ვულკანებმა“ მასპინძლები ყველა კომპონენტში დაჩაგრეს და დიდი ანგარიშით 39:3 დაამარცხეს. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 61-ე წუთზე შეცვალეს.

წლეულს შესანიშნავად ასპარეზობს **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრიც“, რომელმაც სტუმრად ურთულეს ბრძოლაში დაამარცხა **მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილის, გიორგი ულენტისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიე“ - 16:21.

გორგოძემ, რომელიც მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, ლელო პირველივე წუთზე გაიტანა და ანგარიში გახსნა. თუმცა კასტრელებმა მეტოქეს აიძულეს შეცდომები ხშირად დაეშვათ და მათმა სამხრეთაფრიკელმა დამრტყმელმა **რორი კოკოთმა** შვიდი საჯარიმო გაიტანა (21 ქულა), რაც მონპელიელთა დასამარცხებლად საკმარისი აღმოჩნდა.

გორგოძემ და ულენტმა თავიდან ბოლომდე ითამაშეს, ფეიქრიშვილი და ნარიაშვილი სათადარიგოთა შორის იყვნენ, თუმცა არ უთამაშიათ, შველიძე განაცხადში არ იყო.

დავით ქუბრიაშვილის „ტულონმა“, რომელიც 24 ქულით მე-4 ადგილზეა, სტუმრად უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა უშუალო კონკურენტ „მეტრო რასინგთან“ - 16:9. ტულონელებმა მასპინძლები ყველაფერში დაჯაბნეს, ანგარიშში თავიდანვე დაწინაურდნენ და უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს. თექვსმეტიდან თერთმეტი ქულა გუნდს ინგლისელმა მგეზავმა **ჯონი ვილკინსონმა** შესძინა (სამი საჯარიმო და ერთი გარდასახვა).

ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 58-ე წუთზე შეცვალეს.

ბექა შეყლაშვილის „აჟენმა“, რომელმაც წლეულს ყველასთვის მოულოდნელად წარმატებული სტარტი აიღო, მე-8 ტურში შინ დაამარცხა პარიზული „სტად ფრანსე“ - 37:13. ამ გამარჯვების შემდეგ ჩვენებურის გუნდმა 20 ქულა დააგროვა და სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილზეა. შეყლაშვილი განაცხადში არ იყო.

ვასილ კაკოვინის, დავით ხინჩაგიშვილისა და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივმა“ შინ მოუგო ბასკურ „ბაიონს“ - 30:10. ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 54-ე წუთზე კაკოვინმა შეცვალა, ერთ წუთში მოედანზე ნატრიაშვილიც გამოჩნდა. „ბრივი“ 18 ქულით მე-6 ადგილზეა.

გურამ კავთიძისა და **ტარიელ რატიანიძის** „ლიონი“ სტუმრად ფრეს დასჯერდა „ბიარიცთან“ მატჩში - 15:15. რატიანიძე თამაშში 50-ე წუთიდან ჩაერთო, კავთიძეს არ უთამაშია.

I დივიზიონი

VIII გური

პერპინიანი-კლერმონი 3:39, აჟენი-სტად ფრანსე 37:13, ბიარიცი-ლიონი 15:15, ბრივი-ბაიონი 30:10, მონპელიე-კასტრი 16:21, ტულუზი-ბორდო 56:6, მეტრო რასინგი-ტულონი 9:16.

საბურნირო მდგომარეობა

1. კლერმონი - 30 ქულა, 2. კასტრი - 30, 3. ტულუზი - 28, 4. ტულონი - 24, 5. აჟენი - 20, 6. ბრივი - 18, 7. მეტრო რასინგი - 17, 8. პერპინიანი - 17, 9. სტად ფრანსე - 15, 10. მონპელიე - 13, 11. ბორდო - 13, 12. ლიონი - 12, 13. ბაიონი - 11. 14. ბიარიცი - 10.

IX ტური

კასტრი-მეტრო რასინგი, ბაიონი-პერპინიანი, ბორდო-ლიონი, კლერმონი-ბიარიცი, ტულონი-ბრივი, ტულუზი-სტად ფრანსე, აჟენი-მონპელიე.

მეორე დივიზიონში ქართველ მორაგბეთა ექვსი გუნდიდან სამი, „ტარბი“, „ორიაკი და „პერიგო“ ისევ აუტსაიდერთა შორისაა. **ლევან დათუნაშვილის, გიორგი ნაცარაშვილისა** და **კარლენ ასეიშვილის** „ორიაკმა“ შინ დაამარცხა **კახაბერ კობერიძის** „ალბი“ 32:25.

დათუნაშვილმა მატჩის 48-ე წუთზე ლელო გაიტანა, რამაც საბოლოოდ მატჩის ბედი გადაწყვიტა კიდეც. „ჩაქუჩა“ 58-ე წუთზე შეცვალეს, ნაცარაშვილმა მოედანი 46-ე წუთზე დატოვა, ასეიშვილი კი 67-ზე. კობერიძე განაცხადში არ იყო.

თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილისა და **დავით დადუნაშვილის** „პერიგო“ შინ დიდი ანგარიშით დამარცხდა „კარკასონთან“ - 7:39. მარგველაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და მე-40 წუთზე შეცვალეს, ზიბზიბაძე და დადუნაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

მამუკა მაგრაქველიძისა და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა“ სტუმრად მოუგო ლანგედოკურ „ბეზიეს“ - 15:10. მაგრაქველიძე თამაშში 53-ე წუთიდან ჩაერთო, მირცხულავა განაცხადში არ იყო.

გიორგი მენაბდიშვილის „გრენობლმა“, ერთადერთი „ქართული გუნდია“, რომელიც ლიდერთა შორისაა, შინ დაამარცხა **დავით ლოსაბერიძისა** და **ზერო პეტრიაშვილის** „პო“ - 24:18. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

II დივიზიონი

VII ტური

ორიაკი-ალბი 32:25, ბურგუენი-ოში 25:10, ნარბონი-ექსი 16:9, ოიონაქსი-მონ დე მარსანი 34:12, პერიგო-კარკასონი 7:39, დაქსი-ლა როშელი 12:6, გრენობლი-პო 24:18, ბეზიე-ტარბი 10:15.

საბურნირო მდგომარეობა

1. ოიონაქსი - 26 ქულა, 2. დაქსი - 26, 3. გრენობლი - 22, 4. ექსი - 22, 5. ბურგუენი - 18, 6. პო - 17, 7. ალბი - 17, 8. მონ დე მარსანი - 17, 9. კარკასონი - 15, 10. ლა როშელი - 14, 11. ნარბონი - 14, 12. ოში - 14, 13. ტარბი - 13, 14. ორიაკი - 11, 15. პერიგო - 7, 16. ბეზიე - 6.

VIII ტური

ალბი-პო, კარკასონი-ორიაკი, გრენობლი-ოში, პერიგო-ოიონაქსი, ტარბი-ექსი, ბურგუენი-ლა როშელი, ბეზიე-ნარბონი, მონ დე მარსანი-დაქსი.

მამუკა გორგოძის საელლოვე შეტევა, მარჯვნიდან პირველი გიორგი ულენტი

ლაურეატები

ბიერი დუსოგუარი მსოფლიოში საუკეთესოა

რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) წლის საუკეთესო მორაგბედ საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი, მესამეხაზელი **ტიერი დუსოტუარი** აღიარა. „ლე ბლოს“ ლიდერმა სამ ახალზელანდიელს (პირი ვიპუ, მაა ნონუ, ჯერომ კაინო) და ორ ავსტრალიელს (ვილი გენია, დევიდ პოკოქი) აჯობა.

დაჯილდოების ცერემონია გუშინ ოქლენდში გაიმართა, სადაც წლის სხვა ნომინანტებიც დაასახელეს. 2011 წლის საუკეთესო გუნდი, ცხადია, მსოფლიოს თასის მფლობელი ახალი ზელანდიის ნაკრები გახდა. საუკეთესო მწვრთნელი კი ამ გუნდის თავკაცი **გრემ ჰენრია.**

წლის საუკეთესო ახალგაზრდა მორაგბის ჯილდო ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების მგეზავ **ჯორჯ ფორდს** ერგო. შვიდკაცა რაგბიში ყველაზე უკეთესი სამხრეთ აფრიკელი **სესილ აფრიკა** გამოდგა. ყველაზე ლამაზი ლელოს გამტანი კი ავსტრალიელი **რადიკე სამოა.**

IRB - ს დიდების დარბაზში შეიყვანეს მსოფლიოს თასის გათამაშების ფუძემდებლები და ორგანიზატორები, სულ 12 კაცი. ამასთან, ოთხ-ოთხი მორაგბე და მწვრთნელი, ვინც აქამდე გამართული მსოფლიოს თასის გათამაშებებში, თავიანთი თამაშით და საქმიანობით განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მსოფლიოს რაგბის განვითარებაში.

ყველა საუკეთესო

2010 - რიჩი მაქოა, 2009 - რიჩი მაქოა, 2008 - შეინ ვილიამსი, 2007 - ბრაიან ჰაბანა, 2006 - რიჩი მაქოა, 2005 - დენ კარტერი, 2004 - სხალკ ბურხერი, 2003 - ჯონი ვილკინსონი, 2002 - ფაბიენ გალტიე, 2001 - ქის ვუდი.

2011 წლის სეზონის ლაურეატები

საუკეთესო მორაგბე: ტიერი დუსოტუარი (საფრანგეთი)

საუკეთესო გუნდი: ახალი ზელანდიის ნაკრები

საუკეთესო მწვრთნელი: გრემ ჰენრი (ახალი ზელანდია)

საუკეთესო იუნიორი: ჯორჯ ფორდი (ინგლისი)

საუკეთესო მეშვიდკაცე: სესილ აფრიკა (სამხრეთ აფრიკა)

საუკეთესო ლელო: რადიკე სამო (ავსტრალია)

დიდების დარბაზის წევრები

დოქტორი როჯერ ვანდერფილდი, რიჩარდ ლაითლჯონი, სერ ნიკოლას შეჰადი, ჯონ კინდალ-კარპენტერი, დევიდ კირკი, სერ ბრაიან ლოჰორი, ნიკ ფარ-ჯოუნზი, ბობ დუირი, ფრანსუა პინარი, ქის ქრისტი, როდ მაკქუინი, მარტინ ჯონსონი, სერ კლაივ ვუდვორდი, ჯონ სმითი, ჯეკ ვაითი, გარეთ რისი, ავგუსტინ პიშო, ბრაიან ლიმა, ჯონა ლომუ, ჯონ ილზი.

მსოფლიოს თასი 2015

უელსი ითხოვს, მაგრამ...

ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასის გათამაშება ახლახან დასრულდა, მაგრამ უკვე დაიწყო პოლემიკა მომავალ, 2015 წელს ინგლისში გასამართ მსოფლიოს თასის გათამაშებასთან დაკავშირებით.

სადავო თემა უელსის რაგბის კავშირმა წამოჭრა, რომლის ნაკრებმაც ახალ ზელანდიაში შესანიშნავად იასპარეზა და მეოთხე ადგილზე გავიდა. IRB-იმ მსოფლიოს თასის გამართვის უფლება ინგლისს მისცა, მაგრამ უელსელები ითხოვენ, რომ მათმა ნაკრებმა ჯგუფური ტურნირის მატჩები კარდიფში, „მილენიუმზე“ გამართოს. ამის წინააღმდეგ სამხრეთნახევარსფეროს ბობოლა სარაგბო ქვეყნები არიან. მათი არგუმენტი სავსებით ლოგიკურია. თუ ინგლისის და უელსის ნაკრებები ჯგუფში ერთად მოხვდებიან, მათ თანაჯგუფელებს ორჯერ მოუწევთ მასპინძელ გუნდთან, ანუ სტუმრად თამაში, რაც სხვა გუნდებთან შედარებით არათანაბარ პირობებში ყოფნას ნიშნავს.

IRB-ს პრეზიდენტი **ბერნარ ლაპასე** უელსელებს გარანტიას ვერ აძლევს, რომ 2015 წელს მსოფლიოს თასზე შინ ითამაშებენ.

„ჩვენ ორი მიზანი გვაქვს, პირველი - უზრუნველვყოთ მაქსიმალური ფინანსური მოგება და მეორე, რაგბის ზეიმი იყოს საყოველთაო, ისე როგორც ეს ახალ ზელანდიაში მოხდა. აქ მსოფლიოს თასის მატჩები 12 ქალაქში გაიმართა, რითაც ამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა უშუალოდ გახდა ზეიმის მონაწილე. ასევე გვინდა მოხდეს ინგლისშიც, მაგრამ ჯერ არ ვიცით, ამ ქვეყნის რომელი ქალაქები უმასპინძლებენ მსოფლიოს რაგბის უდიდეს ფორუმს“ - თქვა ბერნარ ლაპასემ.

შეგახსენებთ, რომ ინგლისმა IRB-ს წარუდგინა „თვიქნემი“ და „უემბლი“ ლონდონში, „ვილფორდ როუდი“ ლესტერში, „კინგსჰოლმი“ გლოსტერში, „ელანდ როუდი“ ლიდსში. ასევე საფეხბურთო სტადიონები „ოლდ ტრაფორდი“ მანჩესტერში, „ენფილდი“ ლივერპულში, „სენტ ჯეიმზი“ ნიუკასლში და „ემირეიტსი“ ლონდონში.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

უცხოური სპორტი

● მოტოსპორტი

ტრაგიკული ქრონიკა

მარკო სიმონჩელის დაღუპვის შემდეგ საავტომობილო ჰრესამ გასული წლების ტრაგედიები გაიხსენა

მოტოსპორტი - ავტოსამყაროს განსაკუთრებული სახეობაა, სადაც საკმაოდ რთულია მრბოლელების დაცვა სხვადასხვა სახის დაზიანებებისა და ავარიებისგან. მთავარი დამცავი იარაღი - ჩაფხუტია, ყველაფერი დანარჩენი კი მეორეხარისხოვანი. სამწუხაროდ, მოტორბოლაში, ისევე როგორც სხვა სერიებში, არსებობს ფატალური შემთხვევები. დღეს მოტოგრანპრიში მომხდარ ტრაგედიებს გავიხსენებთ.

მსოფლიოს ჩემპიონატი ოფიციალურად 1949 წელს დაარსდა და სწორედ მაშინ, სადებიუტო რბოლის დროს დაიღუპა პირველი პილოტი. ეს გახლდათ ბრიტანელი **ბენ დრინკვოტერი**. ტრაგედია კუნძულ მენზე მოხდა. ბრიტანელი ვერ შევიდა მოსახვევში, რომელსაც მოგვიანებით მისი სახელი ეწოდა. ასე დაიწყო მოტოგრანპრის ისტორია.

უცნაურია, რომ მაშინდელი მინიმალური უსაფრთხოების პირობების გათვალისწინებით, შემდეგი ტრაგედია მხოლოდ წელიწადნახევრის შემდეგ მოხდა. საერთოდ, 1951 წელი ყველაზე ტრაგიკულია მოტოსპორტის ისტორიაში. იმ წელს რბოლებში დაიღუპა სამი პილოტი. თავიდან საფრანგეთის გრანპრის პრაქტიკის დროს დაიღუპა იტალიელი **დარიო ამბროზინი**, შემდეგ ჩრდილოეთ ირლანდიაში უელსტერის გრანპრიზე ორ იტალიელს არ გაუმართლა: პრაქტიკის დროს **სანტე ჯემინიანი** დაიღუპა, რბოლა კი **იანი ლეონისთვის** აღმოჩნდა სავალალო.

თუ მანამდე უბრალოდ პილოტები იღუპებოდნენ, 1953 წელს, პირველად ისტორიაში სიცოცხლეს გამოესალმა მსოფლიოს ჩემპიონი. 500 კუბური სანტიმეტრის კლასში უძლიერესმა **ლესლი გრეჰემმა** იმავე კუნძულ მენზე პარასკევის პრაქტიკის დროს დაკარგა მოტოციკლზე კონტროლი და სასიკვდილოდ დაიმტვრა.

მომავალ წელს კიდევ ერთი მსოფლიოს ჩემპიონი დაიღუპა. ეს გახლდათ ერთადერთი ავსტრიელი ჩემპიონი ისტორიაში - **რუპერტ ჰოლაუსი**. ის მონაცაზე ვარჯიშის დროს დაიმტვრა. რაც ყველაზე საინტერესოა, 125 კუბური სანტიმეტრის კლასში ის სიკვდილის შემდეგ გახდა ჩემპიონი. 16 წლის შემდეგ ანალოგიური რამ მოხდა ფორმულა 1-ში, როცა დაღუპული **იოხენ რინდტი** გამოაცხადეს ჩემპიონად.

ჰოლაუსის სიკვდილის შემდეგ მოტორბოლაში სიმშვიდემ დაისადგურა და მომდევნო 10 წლის განმავლობაში მხოლოდ ორი სასიკვდილო შემთხვევა დაფიქსირდა. უიღბლოთა სიაში ჩაეწერენ **რობერტო კოლომბო** (1957) და **ბობ ბრაუნი** (1960). ორივე ვარჯიშების დროს დაიღუპა.

ტრაგედიების მორიგი პიკი 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანების დასაწყისში დაფიქსირდა. საერთო ჯამში, 1969-1977 წლებში სარბოლო უქმეების დროს 10 პილოტი დაიღუპა. ტრაგედიების სერია **უილიამს აივომ** გახსნა, რომელიც რბოლის დროს მოტოციკლიდან ჩამოვარდა და თავის ქალის მძიმე დაზიანება მიიღო. ექიმებმა ვერ შეძლეს ბრიტანელის გადარჩენა.

ერთი წლის შემდეგ მენის კუნძულზე დაიღუპა ნიჭიერი ესპანელი პილოტი **სანტიაგო ერერო**. პილოტი ბოლო წრეზე მესამე ადგილისთვის იბრძოდა, მაგრამ მოსახვევში შეცდა და მთელი სისწრაფით ბარიერს შეეჯახა. ამის გამო ერეროს გუნდმა „ოსმა“ სამუდამოდ შეწყვიტა ავტოსპორტში გამოსვლა. იმავე წელს ნიურბურგრინგზე ვარჯიშების დროს დაიღუპა ბრიტანელი **რობინ ფიტონი**.

მომდევნო სამ სეზონში ორ-ორი პილოტი იღუპებოდა. 1972 წელს ჩემპიონატს გამოაკლდნენ **ანჯელო ბერგამონტი** და **გუინტერ ბარტუში**, მომდევნო სეზონში კი მონაცაზე საშინელი ავარია მოხდა.

იტალიის გრანპრის დროს, ფინიშამდე ოთხი წრით ადრე ტრასაზე დაეცა **რენცო პასოლილი**. მის უკან მიმავალმა **იარნო საარინენმა** რეაგირება ვერ მოასწრო და იტალიელს შეეჯახა. ჯაჭვური რეაქციით ავარიაში 12 პილოტი მოხვდა. ამ ყველაფერმა რენცოსა და იარნოს დაღუპვა გამოიწვია. ცნობისთვის, საარინენი ამ მომენტისთვის ისტორიაში ერთადერთი ფინელი ჩემპიონი გახლავთ.

მოგვიანებით ისევ მშვიდობიანმა პერიოდმა დაისადგურა. მართალია, ტრაგიკული შემთხვევები იყო, მაგრამ ისე მასობრივი არა, როგორც წინა წლებში. 1974 წელს დაიღუპა **ბილი ნელსონი**, 1976 წელს - **ოტელო ბუშერენი**, 1977 წელს - **ულრიხ გრაფი**.

მომდევნო ორ სეზონში ტრაგედია არ მომხდარა, მაგრამ 1980 წლიდან ისევ გაგრძელდა სამწუხარო ტრადიცია. სილვერსტოუნში დაიღუპა დიტონას რბოლის ჩემპიონი, ფრანგი **პატრიკ პონი**. ერთი წლის შემდეგ იუგოსლავიაში მისი ბედი გაიზიარა თანამემამულემ **მიშელ როგერმა**. კიდევ ერთი სასიკვდილო შემთხვევა დაფიქსირდა 1983 წელს საფრანგეთის გრანპრიზე - არ გაუმართლა **მიშელ ფრუტჩის**.

საბედნიეროდ, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში მოტორბოლებში სასიკვდილო შემთხვევები არ ყოფილა, მაგრამ 1989 წელს მომხდარ ავარიას არავინ დაუტოვებია გულგრილი. **ივან პალესიეზე** ძალიან ახლოს მოძრაობდა **ანდრეას პრინინგთან** და შეტევისთვის ემზადებოდა, როცა ამ უკანასკნელს ძრავამ უმტყუნა. სიჩქარე მკვეთრად დაეცა და მოტოციკლები ერთმანეთს შეეჯახნენ, რამაც ტრასაზე დაცემა გამოიწვია. საოცარია, მაგრამ არავინ ჩქარობდა პილოტებისთვის დახმარების აღმოჩენას. და პირველი, ვინც წაქცეულებს დახმარება გაუწია, მათი კოლეგა **ვირჯინიო ფერარა** იყო. მაგრამ ივანის გადარჩენა შეუძლებელი იყო - მან გულმკერდის არეში სიცოცხლისთვის შეუსაბამო ტრავმა მიიღო.

ამის შემდეგ, მთელი 17 წლის განმავლობაში ტრასებიდან სამწუხარო ინფორმაცია არ გავრცელებულა, მაგრამ მოტოსპორტი ყოველთვის რჩებოდა უაღრესად სახიფათო სპორტის სახეობად. 2003 წელს, იაპონიის გრანპრიზე დაიღუპა ადგილობრივი პილოტი **დაიჯირო კატო**. პილოტი ერთ-ერთ მოსახვევში შეცდა და ბარიერს შეასკდა. მან წამოდგომა ვეღარ შეძლო.

წელს კი მოტოსპორტმა ორი შესანიშნავი პილოტი დაკარგა. სან მარინოს გრანპრიზე დაიღუპა ნიჭიერი იაპონელი **სეია ტომიძავა**, რომელმაც **მარკო სიმონჩელის** მსგავსად ვერ დაიმორჩილა მოტოციკლი და ორი მეტოქის საბურავებქვეშ მოექცა. საკვირველია ის, რომ ინციდენტის შემდეგ ორგანიზატორებმა რბოლა არ გააჩერეს და არ იჩქარეს დაზარალებულისთვის დახმარების აღმოჩენა. რამდენიმე საათის შემდეგ სეია საავადმყოფოში გარდაიცვალა.

● ავტოსპორტი

რეიტინგში ცვლილებები

შემოდგომის შუა პერიოდი ტრადიციულად მდიდარია სარბოლო მოვლენებით - თითქმის ყველა სერია ფინიშს უახლოვდება და ცნობილი ხდება ჩემპიონთა ვინაობა. გასაკვირის არ არის, რომ ბოლო დროს უამრავმა სტარტმა არაერთი ცვლილება შეიტანა სარბოლო რეიტინგში. ბოლო თვეში ერთადერთი უცვლელი პოზიცია იყო - პირველი ადგილი, რომელიც მყარად უჭირავს ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონს **სებასტიან ფეტელს**.

სანამ გერმანელი პრიზებისა და ქულების დაგროვებით არის დაკავებული, მის ზურგს უკან საინტერესო ბრძოლაა გამართული. ასე მაგალითად, ბრიტანელმა **ლუის ჰემილტონმა**, რომელიც ერთი თვის წინ მხოლოდ მეხუთე ადგილს იკავებდა, მეორე პოზიციაზე გადასვლა შეძლო! ბრიტანელს არა მარტო საკუთარი ნარმატებები, არამედ მეტოქეთა ცუდი გამოსვლაც დაეხმარა - **ფერნანდო ალონსო, მარკ უებერი** და **სებასტიან ლოები** შარშანდელთან შედარებით არც ისე წარმატებით გამოდიან და რეიტინგში ქულებს კარგავენ.

ამ ყველაფერმა კი ქვეყნების რეიტინგზეც იმოქმედა. ავსტრალია, რომელიც დიდი ხანი ინარჩუნებდა მეორე პოზიციას, იძულებული გახდა ეს ადგილი ბრიტანეთისთვის დაეთმო. ამ ქვეყანამ ეს ნაბიჯი **ჯენსონ ბატონის** წარმატებული გამოსვლის წყალობით გადადგა. ჯენსონი ცოტა ხნის წინ მეცხრე ადგილამდე იყო დაქვეითებული, ახლა მეხუთე პოზიციაზეა.

საინტერესოა, რომ მეშვიდე ადგილისთვის ბრძოლაში ინდიკარის ჩემპიონი **დარიო ფრანკიტი** აგებს თავის ძირითად მეტოქესთან **უილ პაუერთან**. რეიტინგის ჩათვლაში შედის არა მარტო რბოლის საბოლოო შედეგები, არამედ სხვა უამრავი დამატებითი მაჩვენებელი, რომლის წყალობითაც პაუერი წინ არის.

ესპანეთის რალიში წარმატებამ პირველად მოუტანა რეიტინგის ათეულში ადგილი ფინელ **მიკო ჰირვონენს**, იმ დროს, როცა ნასკარის ვარსკვლავი **ჯიმი ჯონსონი** მისთვის სარეკორდოდ დაბალ მე-13 ადგილზე დაეშვა.

რეიტინგის ახალი ათეული

1. ს. ფეტელი (ფორმულა 1)	31 579
2. ლ. ჰემილტონი (ფორმულა 1)	20 316
3. მ. უებერი (ფორმულა 1)	20 203
4. ფ. ალონსო (ფორმულა 1)	18 926
5. ჯ. ბატონი (ფორმულა 1)	18 798
6. ს. ლოები (რალი)	17 775
7. უ. პაუერი (IndyCar)	17 427
8. დ. ფრანკიტი (IndyCar)	16 327
9. კ. ედვარდსი (NASCAR)	16 242
10. მ. ჰირვონენი (რალი)	15 158



ჰემილტონი
და ფეტელი

● რალი

ერთი ნაბიჯი მერვე ტიტულამდე

რალის მსოფლიოს ჩემპიონატში ბოლოსწინა ეტაპი ესპანეთში გაიმართა და ლეგენდარულმა ფრანგმა პილოტმა **სებასტიან ლოებმა** მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ კარიერაში ზედიზედ მერვე საჩემპიონო ტიტულის მოსაპოვებლად.

„სიტროენის“ 37 წლის პილოტს ივლისის შემდეგ არ ჰქონდა მოგებული რალის ეტაპი. ლოებმა სუსტად ჩაატარა ბოლო ორი რბოლა ავსტრალიასა და საფრანგეთში, რითაც კონკურენტებს დაწევის საშუალება მისცა. ესპანეთის რალის წინ „ფორდის“ პილოტ **მიკო ჰირვონენს** იმდენივე ქულა ჰქონდა, რამდენიც სახელოვან ფრანგს, ხოლო „სიტროენის“ ახალგაზრდა წევრი **სებასტიან ოჟიე** ამ დუეტს სამი ქულით ჩამორჩებოდა. ასე რომ, კატალონიაში დიდი ბრძოლა იყო მოსალოდნელი, მით უმეტეს, რომ ეს ეტაპი მხოლოდ ასფალტის საფარზე არ იმართებოდა. სპეცმონაკვეთების ნაწილი ღორღიან გზებზე გადიოდა, ამ საფარზე კი ლოებს არ აქვს დიდი უპირატესობა.

და მართლაც, რბოლა ფავორიტებს შორის თანაბარი ბრძოლით დაიწყო, მაგრამ პირველი დღის ბოლოს ჰირვონენი და ოჟიე საბურავების დაზიანებისა და საკუთარი შეცდომების გამო ჩამორჩნენ ლოებს. შესაბამისად, შაბათ-კვირას ასფალტის საფარზე მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის დაწევა შეუძლებელი ჩანდა. სებასტიანს ბოლო მომენტამდე მხოლოდ „ფორდის“ მეორე პილოტი **იარი-მატი ლატვალა** მისდევდა, მაგრამ არც მას გამოუვიდა არაფერი. ამიტომაც ფინიშამდე ცოტა ხნით ადრე ლატვალამ სპეციალურად დაგვიანა დროის კონტროლის პუნქტთან, რათა ჯარიმა მიეღო. ამით ის საბოლოო ოქმში ჰირვონენის უკან აღმოჩნდა, რადგან ამ უკანასკნელს ქულები უფრო მეტად სჭირდება.

საბოლოოდ, სებასტიანმა ორ წუთზე მეტით აჯობა ჰირვონენს და მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო ეტაპის წინ ფინელზე რვაქულიანი უპირატესობა მოიპოვა. თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, ქულათა ეს სხვაობა ლოებს ეყოფა იმისთვის, რომ სეზონის დასკვნით რბოლაში კარიერაში ზედიზედ მერვე ტიტული მოიპოვოს.

ოჟიემ ძრავასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ფინიშამდე ვერ მიაღწია. იმავე მიზეზით ვერ დაასრულა რბოლა **კიმი რაიკონენმა**, ნორვეგიელი **პეტერ სოლბერგი** კი პირველივე სპეცმონაკვეთზე ავარიაში მოხვდა - ამის მიზეზი გახდა წინა მანქანისგან წარმოქმნილი მტვერი.

ჩემპიონატის ბოლო ეტაპი 10-13 ნოემბერს უელსში გაიმართება.

XII ეტაპი. ესპანეთის რალი

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 4:05.39,3; 2. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - +2.06,9; 3. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - +2.32,4; 4. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, „მინი“) - +3.24,1; 5. **კრის მიკი** (ბრიტანეთი, „მინი“) - +5.15,0; 6. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „ფორდი“) - +5.54,2; 7. **ევგენი ნოვიკოვი** (რუსეთი, „სიტროენი“) - +9.31,8; 8. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი“) - +9.40,1; 9. **დენის კუპერსი** (პოლანდია, „ფორდი“) - +11.13,8; 10. **იუჰო ჰანინენი** (ფინეთი, „შკოდა“) - +13.49,2...

საერთო ჩათვლა

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 222 ქულა; 2. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - 214; 3. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 193; 4. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - 146; 5. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი“) - 110; 6. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „ფორდ სტობარტი“) - 70; 7. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, „მინი“) - 57; 8. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „ფორდი“) - 53; 843; 9. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი“) - 44; 10. **კიმი რაიკონენი** (ფინეთი, „სიტროენი“) - 34...

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ლოების ტრიუმვალური ფინიში

● კალათბურთი

საკალათბურთო ამბები

30 ოქტომბერს დაიწყება მსოფლიოს ტურნე NBA-ის რამდენიმე ვარსკვლავის მონაწილეობით. 18 მიწვეული კალათბურთელიდან 14-მა თანხმობა განაცხადა, სამოგზაუროდ გაემგზავროს ჰუერტო-რიკოში, მაკაოში, ლონდონსა და ავსტრალიაში. ისინი ჯამში ექვს საჩვენებელ შეხვედრას ჩაატარებენ.

ცნობილი კალათბურთელებიდან ტურნეში მონაწილეობას მიიღებენ **დერეკ როუზი, კობი ბრაიანტი, ლებრონ ჯეიმსი** და **დუეინ უეიდი**.

■ ■ ■

ტურნეში გამოსვლის სურვილი გამოთქვა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ესპანელმა ლეგიონერმა **პაუ გასოლმა**: *„თუ ასეთი შესაძლებლობა გაჩნდება, სიხარულით შევუერთდები სხვა მოთამაშეებს მსოფლიო ტურნეში“.*

სხვათა შორის, ძმები - **მარკ** და პაუ გასოლები ესპანეთიდან აშშ-ში დაბრუნდნენ და იქ გააგრძელებენ მზადებას ახალი სეზონისთვის. შეგახსენებთ, რომ ძმები ფორმის შესანარჩუნებლად 20 დღის განმავლობაში „ბარსელონას“ შემადგენლობაში ვარჯიშობდნენ.

■ ■ ■

მსოფლიო ტურნემდე ასოციაციის ვარსკვლავებმა ოკლაჰომაში მორიგი საჩვენებელი მატჩი ჩაატარეს. **კევინ დურანტის** 42-მა ქულამ და 26-მა მოხსნამ ამ კალათბურთელის გუნდს ანგარიშით 176:171 გამარჯვების საშუალება მისცა. მატჩი ოვერტაიმში დასრულდა.

დურანტის გარდა, მაყურებელმა მოედანზე იხილა **კრის პოლი**, ლებრონ ჯეიმსი, **კარმელო ენტონი** და **ჯეიმს ჰარდენი**.

„NBA-ის მოთამაშეები მომავალშიც აპირებენ საგამოფენო მატჩების ორგანიზებას, რათა დაუმტკიცონ გულშემატკივრებს, რომ ძალიან გვიყვარს ეს თამაში. იმედია, შევძლებთ მომდინარე კონფლიქტში კონსენსუსის მიღწევას“, - ამბობს დურანტი.

■ ■ ■

რა თქმა უნდა, გვერდს ვერ ავუვლით ლოკაუტის თემას. NBA-ის კომისრის თანაშემწემ **ადამ სილვერმა** კომენტარი გაუკეთა „პორტლენდის“ მფლობელის **პოლ ალენის** პოზიციას, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: მოთამაშეებმა არ უნდა მიიღონ ლიგის საერთო შემოსავლის 40 პროცენტზე მეტი.

დურანტი საჩვენებელი მატჩის დროს

„პოლი იმავე პოზიციაზეა, რომელსაც ჩვენ ვიზიარებთ. მას სურს არსებობდეს სისტემა, რომლის მიხედვითაც თითოეული გუნდი იბრძოლებს ტიტულისთვის და სწორი მართვის შემთხვევაში ფინანსურ მოგებასაც ნახავს“, - ამბობს სილვერი NBC-სთვის ინტერვიუში.

„ოკლაჰომას“ მცველი **ჯეიმს ჰარდენი** კი ამბობს, რომ მოთამაშეები არ აპირებენ ფინანსური მოგების საკითხში დათმობაზე წასვლას.

„ჩვენ არ ვეთანხმებით მოგების თანაბრად განაწილებას. ისედაც შევამცირეთ ჩვენი მოთხოვნები, მაგრამ ახლა 53 პროცენტზე დაბლა არ ჩამოვალთ“, - განაცხადა ჰარდენმა სააგენტო AP-სთან კომენტარში.

● ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

სამი გოლი სამ წუთში

იონას ჰილერი

„ანაჰაიმ დაქსის“ მეკარე **იონას ჰილერმა** სამი წუთისა და ათი წამის განმავლობაში სამი შაიბა გაუშვა „ფინიქს კოიოტისისგან“. ეს წარუმატებელი მონაკვეთი მეორე პერიოდს დაემთხვა და ფაქტობრივად გაუნაღდა გამარჯვება „ფინიქსს“. მატჩი „კოიოტსის“ გამარჯვებით დასრულდა - 5:4.

პირველ პერიოდში გუნდებმა ორ-ორი შაიბა გაცვალეს. მეორე პერიოდის მეხუთე წუთზე „ფინიქსის“ რიგებში თავი გამოიჩინა **ბოიდ გორდონმა**, წუთნახევრის შემდეგ გოლი **ლაური კორპიკოსკიმ** გაიტანა, კიდევ წუთნახევარში - **კიტ იენდლმა**.

ამის შემდეგ ჰილერი შეცვალეს. მის ნაცვლად შემოსულმა **დენ ელისმა** არც ერთი შაიბა არ გაუშვა, მაგრამ „ანაჰაიმმა“ ანგარიშის გათანაბრება ვერ შეძლო. „დაქსმა“ მხოლოდ ორი გოლი გაიტანა და მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა.

სეზონის საწყის შვიდ მატჩში „ფინიქსმა“ შვიდი ქულა დააგროვა. ეს გუნდი მე-11 ადგილზეა დასავლეთ კონფერენციაში. „ანაჰაიმს“ ერთი ქულით მეტი აქვს და დასავლეთში მერვე გუნდია.

ანაჰაიმი-ფინიქსი 4:5

2:2, 1:3, 1:0

გოლები: 0:1 ჰანჟალი-1 (ბოდკერი-2, ვრბატა-2), 1:1 ვიშნოვსკი-1 (პერი-1, სბისა-3), 2:1 გეტცლაფი-1 (სელიანე-2, ფაულერი-2), 2:2 ჰანჟალი-2 (იენდლი-4), 2:3 გორდონი-1 (პიატი-3, კორპიკოსკი-1), 2:4 კორპიკოსკი-2 (პიატი-4, ა. ოკუანი-1), 2:5 იენდლი-1 (დოუნი-5, რეი უიტნი-3), 3:5 ფოსტერი-1 (ბოშემენი-2, ს. კოივუ-3), 4:5 გეტცლაფი-2 (ვიშნოვსკი-3).

● ცურვა. მსოფლიოს თასი

არის რეკორდი!

მსოფლიოს საუკეთესო მოცურავეებმა უკვე დაიწყეს მზადება საგაისო ოლიმპიური თამაშებისთვის. ისინი ამისთვის ოქტომბერში მსოფლიოს თასის ეტაპებს იყენებდნენ.

ბოლო ეტაპი გასულ უქმეებზე ბერლინის 25-მეტრიან აუზში ჩატარდა. გერმანიის დედაქალაქის არენამ ისევ დაადასტურა ყველაზე სწრაფი აუზის სტატუსი. სწორედ აქ არის დამყარებული ისტორიაში ყველაზე მეტი მსოფლიოს რეკორდი „მოკლე წყალში“.

მაგრამ მოგეხსენებათ, რომ თანამედროვე ცურვაში მსოფლიოს რეკორდების დამყარება ძალიან გაჭირდა. ამის მიზეზი ჰიდროკოსტუმების გაუქმება გახდა. ორი წლის წინ, გერმანიის დედაქალაქში მსოფლიოს 12 რეკორდი დამყარდა და დღემდე არც ერთი არ არის გაუმჯობესებული. გასულ სეზონში მხოლოდ ფენომენალურმა **რაიან ლოხტემ** შეძლო ორი რეკორდის განახლება.

და აი, ნავსი მსოფლიოს თასის ბერლინის ეტაპზე ქალთა ცურვის ამომავალმა ვარსკვლავმა, ამერიკელმა **მისი ფრანკლინმა** გატეხა. 2009 წლის შემდეგ 25-მეტრიან აუზში პირველი რეკორდი სწორედ მან დაამყარა. ფრანკლინმა არ შეიმჩნია კონკურენტები და 200 მეტრი გულაღმა ორ წუთსა და 3 მეასედ წამში დაფარა! უახლოესმა მდევარმა **ჰოკინგმა** ფრანკლინთან წამზე მეტი დათმო.


მისი ფრანკლინი

დღეს ცურვის სამყარო ფრანკლინზე ლაპარაკობს. ეს არის უნივერსალი მოცურავე, რომელიც გულაღმა ცურვის გარდა სხვა დისციპლინებშიც ძლიერია, მაგალითად, კროლში (ბერლინში მან 100 მეტრზე თავისუფალში თვით **ბრიტა შტეფენი** დაამარცხა, 100 მეტრზე კომპლექსურში კი მხოლოდ ბრიტანელ **ფრანჩესკა ჰოლსოლთან** წააგო). უკვე დღეს ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ამერიკელი 2012 წელს ლონდონში **მაიკლ ფელპსის** რეკორდს შეუტევს - ერთ ოლიმპიადაზე რვა ოქროს მოგებას შეეცდება.

ბერლინს თავად ფელპსიც სტუმრობდა და ეტყობა, რომ ყველა დროის ტიტულოვანი სპორტსმენი იბრუნებს ოპტიმალურ ფორმას. გერმანიის დედაქალაქში ამერიკელმა ოთხი დისციპლინა მოიგო, აქედან სამი კომპლექსური დისტანცია იყო - 100, 200 და 400 მეტრი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ევრო 2012

UNDER 17

პოლონეთი-ესპანეთი	0:2
მალტა-ჩერნოგორია	0:3
რუმინეთი-ფინეთი	2:2
პორტუგალია-რუსეთი	1:1
შოტლანდია-სან მარინო	3:0
თურქეთი-მაკედონია	1:1
ირლანდია-ჩეხეთი	0:1
ლიხტენშტაინი-ყაზახეთი	0:8

ინგლისი

ჩემპიონშიფი

ბრაიტონი-ვესტ ჰემი	0:1

იტალია

სერია B

გუბიო-ტორინო	1:0

სერია C1/A

კაპრი-რეჯინა	3:1

საუდარაბეთი

II დივიზიონი

გულონი-ნანტი	2:1

პოლანდია

II დივიზიონი

ვოლენდამი-აპელდორნი	6:1

პორტუგალია

სპორტინგი-ჟილ ვისენტე	6:1

დანია

კოპენჰაგენი-ნორდსილანდი	1:3

ნორვეგია

ოლესუნდი-ვოლერენგა	2:1

შვეიცარია

ჩელენჯლიგა

ვადუცი-ვოლენი	1:1

თურქეთი

მერსინი-გეშიქთაში	0:1

II დივიზიონი

ერჩიესი-გირეშუნი	1:0
ქასიმფაშა-ბოლუ	1:1

კვიპროსი

ომონია-აეკ	2:0

ჩეხეთი

ტეპლიცე-სპარტა	0:1
ნალჩიკი-ლოკომოტივი	1:2
დინამო (მ)-რუბინი	0:2

II დივიზიონი

გაზოვიკი-დინამო (ბრ)	0:0
ხიმკი-ტორპედო	3:1
ურალი-შინიკი	0:2
ალანია-სკა ენერგია	3:1
გაზპრომი-ლუჩ ენერგია	0:0
ჩერნომორეცი-სიბირი	1:1
ფაკელი-ნ. ნოვგოროდი	0:0
ტორპედო-კამაზ	2:0
ბელტიკა-მორდოვია	0:0

პოლონეთი

კრაკოვია-პოლონია	0:0

რუმინეთი

ასტრა-ვასლუი	1:0
სტიაუა-რაპიდი	0:0

ბულგარეთი

ლიტექსი-ლუდოგორეტსი	2:1

არგენტინა

ოლიმპო-უნიონი	0:1

კალათბურთი

საბერძნეთი

პაოკ-ოლიმპიაკოსი	52:65

პოკერი

ჯეკ

სევერსტალი-ს. იულიანოვი	4:2
ვიტიაზი-ნეფტეხიმიკი	4:3
სპარტაკი-აკ ბარსი	2:3

ჩეხეთი

ვიტკოვიცე-პლზენი	0:3

შვედეთი

ფრიოლუნდა-ლულეო	3:2

ჩოგბურთი

ATP. სტ. პეტერბურგი

სტარაჩე-ნადელკო	6:0, 6:1
სელა-დოლგოპოლოვი	6:2, 6:2
სტახოვსკი-**იუჟნი**	3:6, 6:7
სიმონი-**მანარინო**	6:2, 4:6, 4:6

ATP. ვენა

სვიტინგი-**ბაღდატისი**	4:6, 2:6
ანდერსონი-ჰაიდერ მაურერი	6:4, 6:4

● TV პროგრამა

24 ოქტომბერი. ორშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ბაიერნი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ჯენოა.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ლიონი.
18:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ნორვიჩი.
21:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
22:45 იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ფიორენტინა.
00:45 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სევილია.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. ნიუ იორკი-ორლანდო.
14:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
14:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
15:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-პალერმო.
17:00 ცურვა. მსოფლიოს თასი. ბერლინი. გერმანია.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
21:00 საკალათბურთო მიმოხილვა.
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. გრანადა-ბარსელონა (LIVE).
23:50 კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. ნიუ იორკი-ორლანდო.

GMG-სპორტი 2

10:00 გოლფი.
10:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.
12:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.ვალენსია - ბილბაო
15:00 სპორტ-NEWS.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აუგსბურგი-ვერდერი.
19:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.
22:25 სუპერკოლაჟი.
22:45 ფეხბურთი. ინგლისის ლიგის თასი. 1/16 ფინალი. ალდერშოტი-მანჩესტერი იუნ (LIVE).
00:35 სპორტის ვარსკვლავები - ლეილა მესხი.

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. გრანადა-ბარსელონა (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რასინგი (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

17:25 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. რემატი-ზენიტი (LIVE).
04:30 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. ჯექსონვილი-ბალტიმორი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

22:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ფიორენტინა (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

12:45 ATP-ის ტური. სანკტ-პეტერბურგი-ჟალგირისი (LIVE).
18:00 WTA-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. სტამბოლი. თურქეთი (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

22:40 ევროლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. II ტური. უნიკახა-ჟალგირისი (LIVE).

SPORT+

22:40 ფეხბურთი. ინგლისის ლიგის თასი. 1/16 ფინალი. ალდერშოტი-მანჩესტერ იუნ (LIVE).

EUROSPORT

18:00 WTA-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. სტამბოლი. თურქეთი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიმმა ვარჯიში დაიწყო

წლის შესაჯამებელ ტურნირში არ თამაშობს ბელგიელი **კიმ კლაისტერსი**, თუმცა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა უკვე დაიწყო მზადება ახალი სეზონისთვის. შეგახსენებთ, რომ „დიდი სლემის“ ტურნირების ოთხგზის ჩემპიონმა თითქმის ნახევარი სეზონი გამოტოვა ტრავმების გამო და ახლა, კორტზე დაბრუნებას ამა წლის დეკემბერში გეგმავს.

„მარჯვენა ფეხი და მუცლის კუნთები, რომლებთან დაკავშირებითაც ბოლო დროს პრობლემები მქონდა, კარგად პასუხობს დატვირთვებს. იოლად ვუმკლავდები ვარჯიშებს, რომელსაც ფიზიკური ფორმის აღდგენისთვის ვატარებ“, - დაწერა თავის ვებგვერდზე კლაისტერსმა.

8 დეკემბერს, ბელგიის ქალაქ ანტვერპენში კლაისტერსი საჩვენებელი მატჩის გამართვას აპირებს მსოფლიოს მოქმედ პირველ ჩოგანთან **კაროლინ ვოზნიაცკისთან**.

„ამჟამად ჩვენ ვმუშაობთ ჩემი ამტანობის გასაუმჯობესებლად და ბევრს დროს ვუთმობთ ძალისმიერ მომზადებას. გარდა ამისა, კვირაში სამ-ოთხჯერ კორტზე გავდივარ სავარჯიშოდ, - წერს კლაისტერსი. - *საგამოფენო მატჩი - პირველი ნაბიჯია დაბრუნებისკენ. ნამდვილი მუშაობა მომდევნო რამდენიმე კვირაში გაჩაღდება. თანდათან გავზრდი დატვირთვებს კორტზე. ვგრძნობ, რომ შევძლებ ახალი სეზონისთვის კარგად მომზადებას“.*

კიმისთვის 2012 წელს ავსტრალიის ბრისბენი იქნება პირველი ოფიციალური ტურნირი: *„2012 წლის პირველ იანვარს ბრისბენში ჩემთვის ოფიციალურად დაიწყება ახალი სეზონი“.*

ამბები

ფორმულა 1

რაიკონენის ამბავი ირკვევა?

სულ უფრო და უფრო ხშირად ვრცელდება ხმები 2012 წლისთვის ფორმულა 1-ში 2007 წლის ჩემპიონის, ფინელი **კიმი რაიკონენის** დაბრუნების შესახებ. ფინური გაზეთის Turun Sanomat-ის ცნობით, რაიკონენს უკვე შეუძლია მომავალი სეზონისთვის „უილიამსთან“ კონტრაქტს მოაწეროს ხელი. გამოცემა ინფორმაციის წყაროდ ფორმულა 1-ის ყოფილ პილოტს **ტაკი ინუეს** ასახელებს, რომელსაც, როგორც ჩანს, კარგი კავშირები შეუნარჩუნდა „სამეფო რბოლების“ წარმომადგენლებთან.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე Turun Sanomat იტყობინებოდა იმის შესახებ, რომ რაიკონენთან კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში „უილიამსი“ მსხვილ სპონსორს მიიღებს კატარის ეროვნული ბანკის სახით.

ვირჯინში ცვლილება იგეგმება

სავჯინიგო „ვირჯინის“ პილოტის **ჟერომ დ'ამბროზიოს** მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშაა. როგორც ბელგიური გაზეთი De Morgen ვარაუდობს, 2012 წლის ჩემპიონატში ჟერომის ადგილი, შესაძლოა, **შარლ პიკმა** დაიკავოს, რომელიც მიმდინარე სეზონში GP2-ის სერიაში მეოთხე ადგილზე იმყოფება.

ჟურნალისტების ინფორმაციით, 21 წლის პილოტს სპონსორების სოლიდური პაკეტის მოზიდვა შეუძლია. აღსანიშნავია, რომ პიკმა „ტორო როსო“ უნდა წარმოადგინოს ნოემბერში აბუ დაბიში ახალგაზრდა პილოტების ტესტებზე.

მოტოსპორტი

როსი სპორტიდან არ წავა

მოტოგრან-პრიში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის, იტალიელი **ვალენტინო როსის** მენეჯერმა **დავიდე ბრივიომ** უარყო ჭორი იმის შესახებ, თითქოს მისი შეგირდი **მარკო სიმონჩელის** დაღუპვის შემდეგ კარიერის დასრულებას აპირებს. შეგახსენებთ, რომ 24 წლის სიმონჩელი როსისთან და ამერიკელ **კოლინ ედვარდსთან** შეჯახების შემდეგ სასიკვდილოდ დაშავდა.

„ბევრი მეკითხება - დატოვებს თუ არა ვალენტინო რბოლებს. ეს აბსოლუტური ტყუილია და სამწუხაროა, რომ ამის ახსნა მიწევს“, - ამბობს „როიტერთან“ კომენტარში ბრივიო.

როსიმ „ტვიტერზე“ მოკლე კომენტარი გააკეთა მომხდართან დაკავშირებით: *„სიმონჩელი ჩემთვის პატარა ძმასავით იყო. ის ხისტი გახლდათ ტრასაზე და ძალიან კარგი ყოველდღიურ ცხოვრებაში. მის გარეშე ძალიან მოვიწყენ“.*

დღეს დასასრული იწყება

ამ კვირას, სტამბოლში WTA-ის ტურის დასკვნითი ტურნირი გაიმართება და დასრულდება ქალთა წლევანდელი სეზონი. მანამდე კი წლის შემაჯამებელი ტურნირის წილისყრა ჩატარდა და სეზონის რვა საუკეთესო ჩოგბურთელი ორ ჯგუფში გადანაწილდა:

თეთრი ჯგუფი

მარია შარაპოვა
ვიქტორია აზარენკა
ნა ლი
სამანტა სტოსური

წითელი ჯგუფი

კაროლინ ვოზნიაცკი
პეტრა კვიტოვა
აგნიეშკა რადვანსკა
ვერა ზვონარევა

■ ■ ■

წლის შემაჯამებელი ტურნირი 41-ედ იმართება და პირველად მას თურქეთი მასპინძლობს. მოგებული ტიტულების რაოდენობით ლიდერი ლეგენდარული **მარტინა ნავრატილოვაა**. უახლოეს წლებში მის შედეგს - ზედიზედ რვა მოგებას, სავარაუდოდ, ვერავინ მიუახლოვდება. მეორე ადგილზე ხუთი მოგებით გერმანელი **შტეფი გრაფია**, ხოლო ტურნირის მოქმედ ჩემპიონს, ბელგიელ **კიმ კლაისტერსს** WTA-ის ჩემპიონატი სამჯერ აქვს მოგებული.

თუმცა კიმისთვის სეზონი რამდენიმე თვის წინ დასრულდა. ასე რომ, ბელგიელი სტამბოლში ტიტულს ვერ დაიცავს. წლევანდელი რვა მონაწილიდან შემაჯამებელ ტურნირში მხოლოდ **მარია შარაპოვას** გაუმარჯვია - 2004 წელს მან ფინალში **სერენა უილიამსი** დაამარცხა. გამარჯვების შანსი ჰქონდათ **ვერა ზვონარევასა** და **კაროლინ ვოზნიაცკის**, მაგრამ მათ წააგეს გადამწყვეტი მატჩები, შესაბამისად, 2008 და 2010 წლებში.

შარშანდელ სეზონთან შედარებით ტურნირის ჩატარების ფორმულა არ შეცვლილა. რვა მონაწილე ორ ჯგუფად არის დაყოფილი და პირველ ეტაპზე შეხვედრები წრიული სისტემით გაიმართება. თითო ჯგუფიდან ნახევარფინალში ორი საუკეთესო ჩოგბურთელი გადის.

■ ■ ■

„წითელ ჯგუფში“ მოხვდნენ: დანიელი კაროლინ ვოზნიაცკი, ჩეხი **პეტრა კვიტოვა**, რუსი ვერა ზვონარევა და პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკა**.

ვოზნიაცკი და კვიტოვა აქამდე ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და სამჯერ გამარჯვება დანიელმა მოიპოვა. ჰარდზე ჩოგბურთელებმა ერთხელ ითამაშეს. ეს იყო მათი ბოლო შეხვედრა - ერთი წლის წინ პეკინში უფრო ძლიერი ვოზნიაცკი იყო.

აგნიეშკა რადვანსკა ერთ-ერთი ყველაზე მოუხერხებელი მეტოქეა ვერა ზვონარევასთვის. ერთი მხრივ, ჩოგბურთელები ხუთჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და რუსი აგებს - 2:3-ს. მეორე მხრივ, ბოლო სამი მატჩი სწორედ აგნიეშკამ მოიგო. თანაც ეს სამივე შეხვედრა სულ ცოტა ხნის წინ ჰარდის საფარზე გაიმართა. ვერაზე ბოლო გამარჯვებამ რადვანსკას ტოკიოში ტიტული მოუტანა.

სამაგიეროდ, ზვონარევას ეხერხება მსოფლიოს პირველ ჩოგანთან თამაში. მისი და ვოზნიაცკის ურთიერთშეხვედრებში ანგარიში თანაბარია - 4:4. ამასთან, რუსმა ამ სეზონში ორივე მატჩი მოუგო დანიელს, სხვათა შორის, ორივე ჰარდზე. თუმცა ბოლო მატჩი საკმაოდ დიდი ხნის წინ, თებერვალში გაიმართა, როცა დოჰას ტურნირის ფინალში ზვონარევამ ორ სეტში გაიმარჯვა.

კვიტოვასა და რადვანსკას დაპირისპირება ორ მატჩს ითვლის. ორივე შეხვედრა ჩეხის სასარგებლოდ დასრულდა.

რადვანსკა და ვოზნიაცკი კარგი მეგობრები არიან, მაგრამ კორტზე კაროლინი თითქმის არ უტოვებს შანსს აგნიეშკას. მას შემდეგ, რაც ოთხი წლის წინ რადვანსკამ გამარჯვებას მიაღწია, ამ ჩოგბურთელთა მომდევნო ოთხი შეხვედრა დანიელის სასარგებლოდ დასრულდა. ბოლო შეხვედრა შტუტგარტის ტურნირზე გაიმართა, თუმცა მაშინ საფარი გრუნტი იყო.

დაბოლოს, კვიტოვასა და ზვონარევას დაპირისპირებაში ლიდერობს რუსი ჩოგბურთელი - 3:2. საინტერესოა, რომ ეს მოთამაშეები ერთმანეთს მორიგეობით უგებენ. ბოლოს რუსმა მოიგო, ამიტომაც ტრადიციის თანახმად, სტამბოლში კვიტოვას ჯერი იქნება.

■ ■ ■

„თეთრ ჯგუფში“ ითამაშებენ რუსი მარია შარაპოვა, ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა**, ჩინელი **ნა ლი** და ავსტრალიელი **სამანტა სტოსური**.

აზარენკასა და შარაპოვას დაპირისპირება ექვს შეხვედრას ითვლის და ჯერჯერობით ანგარიშია - 3:3. მიმდინარე სეზონშიც ფრეა დაფიქსირებული - თავიდან მაიამის ჰარდზე ბელარუსმა ჩოგბურთელმა მოიგო, შემდეგ რომის გრუნტზე ვიქტორიამ პირველი სეტი აიღო, მაგრამ მატჩი ვეღარ გააგრძელა.

რთულ მდგომარეობაშია ნა ლი. გარდა იმისა, რომ როლან გაროსის მოგების შემდეგ ვერ ახერხებს სპორტული ფორმის დაბრუნებას, ჩინელმა ქრონიკულად არ იცის სამანტა სტოსურის წინააღმდეგ თამაში. ჩინელისა და ავსტრალიელის ხუთივე შეხვედრა სამანტას გამარჯვებით დასრულდა, მათ შორის - ბოლო მატჩი ცინცინატიში. სწორედ ამ შეხვედრაში აიღო ნა ლიმ ერთადერთი სეტი.

მეორე მხრივ, სტოსურისთვის კატასტროფულია მარია შარაპოვასთან ურთიერთშეხვედრების სტატისტიკა. ცხრაჯერ შეხვედრიან ერთმანეთს ეს ჩოგბურთელები და ყოველთვის გამარჯვებული რუსი გამოდიოდა, მათ შორის, სამჯერ მიმდინარე სეზონში. ასე რომ, თუ სამანტა სტამბოლში მარიას დამარცხებას შეძლებს, ეს მისი მხრიდან ნამდვილი გმირობა იქნება.

თუ ნა ლიმ არ იცის სტოსურის წინააღმდეგ თამაში, სამაგიეროდ, აზარენკასთან დაპირისპირებაში ყველაფერი წესრიგში აქვს. ჩინელი წინ არის - 4:1. წელს მათი ორივე შეხვედრა „დიდი სლემის“ ტურნირებზე გაიმართა და ორივეჯერ ლიმ გაიმარჯვა. მეორეს მხრივ, ეს ორი მატჩი სეზონის პირველ ნახევარში გაიმართა, ამჟამად კი აზარენკა გაცილებით უკეთეს ჩოგბურთს აჩვენებს, ვიდრე ლი.

თუ პირადი მატჩების სტატისტიკას დავუჯერებთ, სამანტა სტოსურს სტამბოლში მხოლოდ ნა ლის დამარცხების შანსი აქვს. საქმე ისაა, რომ ავსტრალიელს არც აზარენკას წინააღმდეგ გამოსდის თამაში - მასთან ოთხიდან ოთხი მატჩი ისე აქვს წაგებული, რომ სეტიც არ აუღია. თუმცა ამ ჩოგბურთელებს წელიწადზე მეტია ერთმანეთის წინააღმდეგ არ უთამაშიათ.

რაც შეეხება შარაპოვასა და ნა ლის ურთიერთშეხვედრებს, აქ დამაჯერებლად ლიდერობს რუსი ჩოგბურთელი - 5:3, მაგრამ მთლად წესრიგში ვერ აქვს საქმე. საქმე ისაა, რომ შარაპოვას ხუთ მოგებას ჩინელის ზედიზედ სამი გამარჯვება მოყვა, მათ შორის, წლევანდელი როლან გაროსის ნახევარფინალში.

■ ■ ■

სტამბოლის ტურნირი დღეს იწყება და გუშინ გაირკვა პირველი სათამაშო დღის განრიგი, რომელიც სამ მატჩს მოიცავს.

პირველები კორტზე ვერა ზვონარევა და უიმბლდონის ჩემპიონი პეტრა კვიტოვა გავლენ. ეს შეხვედრა თბილისის დროით 18 საათზე დაიწყება.

ამის შემდეგ კორტი მსოფლიოს პირველ ჩოგანს კაროლინ ვოზნიაცკისა და აგნიეშკა რადვანსკას დაეთმობათ.

პირველი დღის პროგრამას დაასრულებენ „თეთრი ჯგუფის“ წარმომადგენლები - მარია შარაპოვა და სამანტა სტოსური.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა